სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 4 აპრილი 1998 №49 (584) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 ტური

1 აპრილი

ლოკომოტივი 1:1 თსუ

2 აპრილი

ვიტ ჯორჯია 2:1 ბათუმი
რუსთავი 3:0 მარგვეთი
დილა 2:0 მერანი
სამგურალი 0:1 ოდიში
გურია 0:1 კოლხეთი
მაღაროელი 3:3 სიონი

3 აპრილი

დინამო 3:0 ტორპედო

დინამო	20	17	2	1	57:7	48
ოდიში	20	13	2	5	33:25	41
ბათუმი	20	12	5	3	40:13	41
კოლხეთი	20	12	3	5	41:18	39
ტორპედო	20	10	6	4	33:19	36
თსუ	20	9	5	6	27:15	32
ვიტ ჯორჯია	20	6	7	7	20:23	25
მერანი	20	8	5	7	24:26	24
დილა	20	7	3	10	18:26	24
ლოკომოტივი	20	6	6	8	20:28	24
სიონი	20	7	6	7	32:25	22
რუსთავი	20	7	0	13	19:33	21
სამგურალი	20	5	4	11	19:36	19
გურია	20	3	6	11	20:42	15
მაღაროელი	20	3	3	14	17:48	12
მარგვეთი	20	1	5	14	13:49	8

„დინამოს“, „მერანს“ და „სიონს“ დაკლებული აქვთ 5-5 ქულა

მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე-მესამე-მეოთხე გვერდებზე

გუშინ მცხეთაში: „დინამო“ — „ტორპედო“. ქუთაისელთაგან საუკეთესო შალვა ხუჯაძე (მარცხნივ) და გივი დიდავა

ისევ დინამო — ბათუმი?

საქართველოს თასის ნახევარფინალში შესახვედრ გუნდთა გამოსავლენი კენჭისყრა ხუთშაბათს, ფეხბურთის ფედერაციაში პირველ საათზე იყო დაგეგმილი. მოგვიანებით გაცხადდა, რომ მეტოქეების დაწყვილებას ფედერაციელები ცივილიზებულად აპირებდნენ, ჟურნალისტების თანხლებით, ზემელზე, ერთ-ერთ მიწისქვეშა დარბაზში. ორ საათზეო, ასე თქვეს ფეხბურთის ფედერაციაში, თუმცა, ეტყობა, ხუშტურმა წამოუარათ და კენჭისყრა ისევ პირველ საათზე გადაიტანეს. დანიშნულების ადგილას მისულთ ოდენ ჩვენსავით გაწბილებული რამდენიმე ჟურნალისტი და ბარმენი გოგონა დაგვხვდა. კი, მეტოქენი ნახევარი საათის წინ დააწყვილეს და დაიშალნენო, ასე გამოგვისტუმრეს. რაღა გაეწყობოდა. დაპირისპირებული გუნდების წარმომადგენელთა მიერ ცხელ გულზე ნათქვამ-განცხადებულს ველარ შევესწარით, მაგრამ ვფიქრობთ, ახალს და საინტერესოს ისინი ვერაფერს იტყოდნენ. ბუნებრივია, დინამოელებს ის გაუხარდებოდათ, კენჭმა ბათუმელებს რომ არ გადაჰყარა, ისევე, როგორც ზღვისპირელებს — ჩემპიონებთან ნახევარფინალში გაკიბრებას გაცილებით სჯობს, სტუდენტებს დაუპირისპირდნენ. თსუ-მ და „დილამ“ იკითხოს. უკეთესი იქნებოდა, ერთმანეთს შევხვედროდითო, ალბათ, ასე ფიქრობენ, თუმცა, ეს ჩვენი ვარაუდია, სინამდვილეში კი რა აქვთ გულში, თავადვე უწყიან. ფავორიტები წინასწარვე ცნობილია, ფინალიც ბოლო ოთხი წლის დარია მოსალოდნელი, რადგანაც 14 აპრილს, „ბათუმი“ — თსუ და „დინამო“ — „დილა“ გველის. ვნახოთ, ვინ ვის. ყოველ შემთხვევაში, 26 აპრილამდე არაფერი გაირკვევა. განმეორებითი მატჩები სწორედ ამ დღესაა დანიშნული.

შნდათ, მაგრამ არ შნდათ

დორტმუნდი აღარ აპროტესტებს, მაგრამ გადათამაშებას ითხოვს

შესაძლოა, მსოფლიო ფეხბურთში არც მოიძებნება ანალოგი იმ შემთვევისა, ოთხაბათს საღამოს მადრიდში რომ მოხდა — თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე გულშემატკივართა გამო ერთ-ერთი კარის ძელები გადატყდა და მერე მის გამოელებას არც მეტი, არც ნაკლები, საათი და 15 წუთი დასჭირდა.

საინტერესოა, რას ფიქრობდნენ ამ ხნის განმავლობაში იქ მოფუსფუსე ჩინიანნი თუ უჩინონნი. ნუთუ ეგონათ, რომ გადატეხილ კარებს ჩაქუჩით, ლურსმნებით, თარაზოებით გაამთელებდნენ? სიტუაცია, უბრალოდ, კომიკური იყო, ძალიან კომიკური. სწორედ ამაზეა ნათქვამი, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო.

სახუმაროზე ვთქვით, სატირალი კი ისაა, რომ „რეალს“ „სანტიაგო ბერნაბეუს“ მომსახურე პერსონალის უმოქმედობა და ფანების უსაქციელობა შესაძლოა ძვირი დაუჯდეს. უეფა სამეფო კლუბს გვარიანი თანხით რომ დააჯარიმებს, ამას თქმა არ უნდა, მაგრამ ყველაზე სამწუხარო „რეალისთვის“ ის იქნებოდა, უეფას სადისციპლინო კომიტეტს დორტმუნდელთა, კერძოდ კი „ბორუსიის“ პრეზიდენტის გერდ ნიბაუმის ხუთშაბათს შეტანილი, მაგრამ პარასკევს უკან წაღებული პროტესტი რომ დაეკმაყოფილებინა და შეხვედრის გადათამაშება დაენიშნა.

„რეალის“ პრეზიდენტი ლორენსო სანსი, მიუხედავად იმისა რომ მისმა ვაჟმა ფერნანდომ, „ბორუსიის“ წინააღმდეგ პირველი მატჩი ითამაშა ჩემპიონთა ლიგაში, გასაგები მიზეზის გამო კარგ გუნებაზე სრულიადაც არ გახლდათ:

— ვინ უნდა დავსაჯოთ მომხდარის გამო? გულშემატკივრებს ხომ არ დავიჭერთ და გავასამართლებთ? კარების მტვრევაში უკლებლივ ყველა ჩვენთაგანია დამნაშავე და თითოეულმა უნდა გავაცნობიეროთ, რომ თავს ლაფი დაგვესხა. გუნდი გიჟმაყ გულშემატკივართა წინააღმდეგ გარკვეულ ზომებს მიიღებს, მაგრამ ამით საქმეს დიდად რომ არ ეშველება, ცხადია.

— ჩვენ აუცილებლად გავაპროტესტებთ. შეიძლება ესპანელებს ძალუძთ შუაღამით ფეხბურთის თამაში, მაგრამ დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ჩვენ არა. უეფას კანონმდებლობაში გარკვეული სწერია, რომ კარის დაზიანების შემთხვევაში სათადარიგო სტადიონისაც ტერიტორიაზე უნდა გამოიძებნოს, აქ კი ახალი კარი ქალაქის მეორე ბოლოში მდებარე კლუბის სავარჯიშო მინდვრიდან მოიტანეს. ესეც არ იყოს, ვეჭვობთ რომ ახალი კარები ორი სანტიმეტრით დაბალი იყო განსაზღვრულზე — თქვა ნიბაუმმა ხუთშაბათს, მაგრამ გუშინ:

— გადავწყვიტეთ პროტესტი უკან გავიტანოთ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მოვითხოვთ შედეგი გაუქმდეს და მატჩის გადათამაშება დაინიშნოს — განაცხადა ჩემპიონთა თასის მფლობელთა პრეზიდენტმა პარასკევს საღამოს.

მადრიდის და საერთოდ მადრიდთან დაკავშირებულ ყველაფრის მოძულე ბარსელონის გაზეთებს თუ დავუჯერებთ, „რეალი“ საჯაროდ შერცხვა, თავი საშინელიშვილოდ მოიჭრა, ერთი სიტყვით, მიწასთან გასწორდა. ასეთი საუბარი, ცხადია, გადამეტებულია, მაგრამ კარგი საქმე რომ არ მოხდა, ცხადია.

რაც არ უნდა დაარქვან შემთხვევას, ფაქტია, რომ ეს მართლაც კურიოზი იყო, კურიოზი, რომელიც აღვილი შესაძლებელია, მასპინძელთათვის ცუდად დასრულდეს.

ხუთშაბათს უეფას სადისციპლინო კომიტეტმა დორტმუნდელთა პროტესტი მიიღო, კერას უნდა განეხილა კიდეც, მაგრამ...

REUTERS მადრიდიდან

ახალ კარებს საკმაოდ გრძელი მაყრიონი ჰყავდა

იხილეთ მეორე გვერდი

მცხეთა „არმაზი“ 3 აპრილი

დინამო 3:0 ტორპედო

დინამო: გ. ქანტარია, ლობჟანიძე, გუჩუა, დიდავა, ცქიტიშვილი, პეტრიაშვილი (ჯულაძე 61), კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, მუჯირი (ლ. ბურდული 82), ხომერიკი

ტორპედო: ასლანაძე, ვაჩიბერაძე (გ. შენგელია 32), ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, მალლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტნაძე, შ. ხუჯაძე, დ. ჯანაშია (მეტრეველი 74), მეგრელაძე, ჩხაიძე

1:0 ხომერიკი (26), **2:0** მუჯირი (56), **3:0** ალექსიძე (84)

გაფრთხილებები: ლობჟანიძე, ვაშაკიძე, გუჩუა

გაძევებები: ხუჯაძე

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან

ჩვენში ყველას ჰგონია, რომ ფეხბურთი კარგად იცის. ნებისმიერს სურს, თანამედროვეობას მხარი აუბას, სინამდვილეში კი ჯერაც ქვის ხანაში ვცხოვრობთ. ყველა მოწადინებულია, რაღაც უცხოური შემოიღოს, იქაურს მიბაძოს, მაგრამ არავინ დაფიქრებულა, ის საზღვარგარეთული როგორ მოერგება ქართულ ხასიათს. ნელ-ნელა ყველაფერს ვეგუებით და პირველ რიგში სწორედ ეგ არის დამღუპველი. არა, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენს ფეხბურთს დაღუპვა უწერია.

ჩვენთვის ყველაფერი ადრეა

გვეგონა, გუშინდელი მატჩი პატარა ზეიმად გადაიქცეოდა. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გაიმარჯვებდა. განა მცხეთაში ქართული გუნდები არ თამაშობდნენ. სანაცვლოდ რა მივიღეთ. არც არაფერი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ჩვენს უსუსურობასა და გაუტანლობაში. მცხეთაში ჩინებულ ხასიათზე ჩასულები, უკან გულგატეხილები და განერვიულებულები დავბრუნდით.

მისასალმებელი იყო, ქუთაისიდან ამდენი მაყურებლის ჩამოსვლა. ჩვენს გუნდებს გულშემატკივრობა და გამხნევება ნამდვილად აკლიათ. დედაქალაქს ბევრი ქუთაისელი ეწვია, ერთი იმდენიც ვერ ჩამოვიდა. ტრანსპორტი ყველას არ ეყო. ჰოდა, მცხეთაში მისულთაგან ნახევარი თუ იქნებოდა ნამდვილი ქომაგი. დანარჩენები ნაადრევად დამთვრალიყვნენ და ვინების გარდა არა უკეთებიათ. აგინებდნენ ყველას — თბილისელებს, დინამოელებს, ყოფანს.

— დავლეწოთ აქაურობა, მოვსპოთ, დავწვათ — ასეთი ფრაზებიც ხშირად გაისმოდა. იყო ქვების სროლა. ჩვენს ქვემოთ ერთ-ერთ მაყურებელს მოხვდა ყბაში და კინაღამ გონება დაკარგა. ქვები მინდორზეც საკმარისად ცვიოდა. აბობოქრებული მასის დაშოშმინება იმერეთის გუბერნატორმა თეიმურაზ შაშიაშვილმა იკისრა. ხალხში ჩადგა და ვნებათაღელვაც შადარებით ჩაცხრა.

მწვრთნელის საქმე გუნდის დამოძღვრა გახლავთ, ფეხბურთელისა კი ბურთის გორება. არც ერთმა უნდა მიაქციოს ყურადღება ტრიბუნიდან შეძახილს და არც მეორემ, მაგრამ ჩვენ მაინც ქართველები ვართ. ძნელია, კაცმა მთელი თამაშის მანძილზე ითმინო დედის და ოჯახის გინება. ყიფიანმაც ითმინა და ბოლოს დასაკვეთელი შეიქნა, ბურდაც ორმაგი დაუბრუნა.

„ტორპედოს“ ასეთი ქომაგები რომ არ ჩამოჰყოლოდა, დარწმუნებული ვარ, გუნდი უკეთ ითამაშებდა. ბიჭებმა ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვერ გაუძლეს. გულშემატკივარი მათგან მოგებას ითხოვდა, მეტოქედ კი „დინამო“ ჰყავდათ. ის „დინამოს“, რომლის შიში და რიდი დანარჩენ ქართულ გუნდებს ჯერაც შერჩენიათ.

განა მარტო მათ, „დინამოს“ რიდი თავად მსაჯებსაც აქვთ, ემახე რამე არ შეგვეშალოსო, დაძაბულები არიან. გუშინდელი არბიტრებიც ასე იყვნენ და არავისზე ნაკლები არ უნერვიულიათ. მწყობრიდან გამოსული კი იდეალურად ვერ განსჯი, მოქმედებას დამსჯერებლობა დააკლდება.

„დინამო“ ხომერიკმა დააწინაურა. ეს მას შემდეგ, როცა მუჯირმა კუთხურიდან ბურთი კარში ჩაახვია. ასლანაძემ კი მოიგერია, მაგრამ კიკნაძემ ბურთი კარისკენ შეატრიალა, რომელსაც ლეკანმა მიუსწრო და ანგარიში გაიხსნა. თამაშის შემდეგ სტუმართა დამრიგებელი სოსო ფრუიძე იტყვის, ასპროცენტიანი თამაშგარე იყო, ორდენიძე ასეთს მეორედ მიკეთებსო. დანამდვილებით ძნელია, რაიმე ამტკიცო. იმედია, ფედერაციაში ვიდეოფირს არაერთხელ დაატრიალებენ.

რაც შეეხება მუჯირისა და ალექსიძის გოლებს, ესენი წესების სრული დაცვით გავიდა და საკამათო არ ყოფილა. მუშემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საჯარიმოს ხაზთან მისი ეულად დატოვება არაფრით შეიძლება. მისი მოქნეული ხომ მიზანს ხშირად აღწევს. რატისაც მარჯვე ფეხი აქვს. მის ცაცაია მაღლაკელიძემაც უბიძგა და „დინამომ“ დიდი ანგარიშით იმარჯვა. ჩემპიონმა სძლია „ტორპედოს“, 2 აპრილს, ღამით, 69 წლისა აღესრულა დიდი ქართველი სპორტსმენი, კაცობისა და ჭიდაობის უბადლო ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კლასიკური სტილის ფალავანი, ოლიმპიური და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი

გივი ჯართოზია

სარბიელელები სამძიმარს გუცხადებთ განსვენებულის ოჯახს

ლანჩხუთი
„ავჭრაფი შუკარდნაძე“
2 აპრილი

ᲒᲣᲠᲘᲐ 0:1 ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ

ᲒᲣᲠᲘᲐ: ვარდანიძე, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, ზ. კვეკვესკირი, ფაცურია (ჯაშიაშვილი 68), თიბილაშვილი, ქიქავა, განგვი, ჩხეტია (ხოსროშვილი 68), ბუკია, ბულუშია
ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ: ქვაჩახია, მიქაბერიძე (ქუტიძე 88), ჯღამაძე, გიორგაძე, გიორგობიანი, ღლონტი, ნოზაძე (ვ. გვასალია 56), ჩხენკელი (დ. მახარაძე 60), სუხიაშვილი, ნავნიავაძე, მ. ქობულაძე
0:1 მიქაბერიძე (24)
ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ: განგვი, ჩხენკელი
ᲛᲡᲐᲯᲣᲓᲘ: მ. მალაღურაძე (თბილისი)

გურულები ავტოკატასტროფას გადაურჩნენ, კოლხეთთან წაგებას ვერა

გორა ჯანაშია ლანჩხუთიდან

„გურია“ ნამდვილად გამოსალოცია. თითქოს თავისი გაჭირვება არ ჰყოფნიდათ, მატჩამდე კიდევ ერთი პრობლემა გაუჩნდათ — „კოლხეთი“ თამაშამდე კარგა ხნით ადრე ჩამოვიდა, აი, „გურია“ კი სტადიონზე არ ჩანდა. დაგვიანებული გურულები დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოვიდნენ და უმალ გასახდელს მიაშურეს. მათი დაგვიანების მიზეზი კი ის ყოფილა, რომ ბაზიდან სტადიონზე დიდი სიჩქარით მიმავალ გურულთა ავტობუსს მოულოდნელად საბურავი დაეშვა და შემხვედრ თურქულ ავტობუსთან შეჯახებას ბეწვზე გადაურჩა.

კეთილი მეზობლების შეხვედრა თითქოს საკმაოდ საინტერესო და დაძაბული უნდა გამომდგარიყო, მაგრამ სტადიონზე მოსულმა მაყურებელმა ერთობ უინტერესო და უღიმღამო ბრძოლა იხილა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. „გურია“ შინ გოლს სწრაფად რომ ვერ გაიტანს, არახალია, მაგრამ ამ დღეს ეს სიხარული სულაც არ ეწერა. უკვე მეორე წუთზე შეეძლოთ მათ ეხეირათ, როცა ბუკიას მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულს საჯარიმოში პენალტის ნიშნულის სიახლოვეს მყოფი ჩხეტია გამოეხმაურა, მაგრამ მისი ცაციათი შეუერთებელი დარტყმული ბურთი ქვაჩახიამ ლამაზი ნახტომში უკუაგდო. ამის შემდეგ კარგა ხანი თვალსასეირო არაფერი შექმნილა. ბურთის აღმა-დაღმა უაზრო გორების შემდეგ გასაკვირი არ იქნებოდა, ტაიმი უგოლოდ რომ გალეულიყო, მაგრამ კოლხებს მშველელად მიქაბერიძე მოევლინათ — 24-ე წუთზე გიორგობიანის საჯარიმოში ჩამოწოდებულ და ზაზა კვეკვესკირის თავით უხეიროდ მოგერიებულ ბურთს საჯარიმოს მისადგომებთან მყოფი მიქაბერიძე დაუხვდა, უმალ გაისწორა და ვარდანიძის კარის მარცხენა დაბალ კუთხეში აუღებელი გაისროლა.

ამის შემდეგ „კოლხეთმა“ ცენტრი მასპინძლებს დაუთმო, თავად კი შემთხვევას უცდიდა, რომ მეტოქის კარს როგორმე მიახლოვებოდა.

მასპინძლები კი ცდილობდნენ, მაგრამ ხეირიანი არაფერი გამოსდიოდათ და ტაიმის დარჩენილი დრო ისე ჩამთავრდა, ბუკიას საჯარიმოს წინა ხაზიდან სახიფათოდ დარტყმულის მეტი ვერაფერი გაახერხეს.

შესვენების შემდეგ „გურიამ“ უფრო იმძლავრა, ტემპს უმატა, კოლხები საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვა და ერთიორი სახიფათო ჩხვლეტაც განახორციელა. მთელი მატჩის განმავლობაში ერთობ გარჯილმა ბუკიამ მარცხნიდან გამოზომილი პასი მისცა საჯარიმოში უმეთვალყურეოდ მყოფ ჩხეტიას, მაგრამ მან მხოლოდ გარედან შეარხია სტუმართა კარის ბადე. იქვე კვლავაც ჩხეტიას მიეცა კარგი შანსი, როცა განვეის ჩაწოდებული ბურთი ქვაჩახიამ მუშტებით გამოიტანა, მოგერიებულს ღურწკაიამ აბრაგანი დაჰკრა, მაგრამ ბურთი ფეხზე აეჭრა და კარში დარტყმის ნაცვლად გადაცემა გამოუვიდა. კარიდან ათიოდ მეტრში ხელსაყრელ პოზიციაში მყოფმა ჩხეტიამ მოულოდნელი ძლვენი ვერ შეირგო და უხეიროდ გაისარჯა.

კოლხთა დამრიგებელმა სოსო ფილიამ იგრძნო მოსალოდნელი ხიფათი და ზედიზედ ორი შეცვლა გააკეთა. საუკეთესო თავდაცვა თავდასხმააო, გაიხსენა სტუმართა თავკაცმა და ნახევარმცველების მაგივრად მოედანზე ორი მოიერიშეს უხმო. მისმა ასეთმა თამამმა გადაწყვეტილებამ გაამართლა — ელდარ გვასალიამ და დავით მახარაძემ საგრძნობლად გააქტიურეს წინა ხაზი, რის ხარჯზეც თამაში თანდათან გათანაბრდა. ბოლო 15 წუთი კი საკმაოდ უსახური გამოდგა და მხოლოდ ორი ეპიზოდის გახსენება თუ ღირს, როცა გიორგობიანის მოედნის ცენტრიდან ჩაწოდებულზე სუხიაშვილმა თავით დაასწრო წინ გამოსულ ვარდანიძეს, მაგრამ ცარიელ კარში დარტყმული ბურთი ოდნავ არაზუსტი გამოდგა, ხოლო მატჩის მიწურულს თიბილაშვილის უხეიროდ დარტყმული შეცვლაზე შემოსულ ჯაშიაშვილს მოხვდა, მაგრამ ზემოთხსენებული ეპიზოდის დარად ბურთმა კარის ხაზი არ გადაკვეთა.

მოკლედ, „გურიამ“ მორიგი (შინ მხოლოდ მეორე) მარცხი განიცადა და ვინძლო ისეც მოხდეს, რომ გურულები სეზონის ბოლოს „კოლხეთს“ ისევ შეხვდნენ, ოღონდ ამჯერად ფოთისას კი არა, ხობისას. თუმც მანამდე დიდი დროა.

ლაცაბიძემ ამ მომენტში რატომღაც ვაშაკიძე დააჯარიმა

ჩვენთვის ყველაფერი ადრეა

დასაწყისი პირველ გვერდზე

მის გულშემატკივრებს და 16 ათას ლარსაც.

ქუთაისელთა წინააღმდეგ აშვეთიამაც ითამაშა. ეტყობოდა, მთელი ძალით არ ირჯებოდა. პირიქით, ბიჭი ორ ცეცხლშუა იწვოდა. კიდევ კარგი, ვერ შეაგდო...

რა ვთქვათ „ტორპედოზე“. იბრძოლეს, შეეცადნენ, მაგრამ არაფერი გაუვიდათ. სუსტად გამოიყურებოდნენ ჯაბანაშია და ჩხაიძე. ამათ თავიანთი სისწრაფე ვერაფერში გამოიყენეს. ფაქტობრივად, სტუმრები ფლანგების გარეშე დარჩნენ. მოედნის ცენტრში კვეტენაძემაც ვერ ივარგა. აქტიური კი იყო, მაგრამ მეგრელიძეს და შენგელიას პასი ვერ გადაუგდო. ქუთაისელთა რიგებში ყველას ისევ ხუკაძე სჯობდა. შალვამ ორიოდეჯერ ჭანტურია გადაახტუნა, წინ და უკან მუშაობდა და კიკნაძესთან ორთაბრძოლაში ლაცაბიძემ ბოლო იმედის ჯარიმისთვის გაძევა კიდეც.

გეჯობნიან თამაშში და რას ემართლებით, თქვა ერთ-ერთმა ქუთაისელმა გულშემატკივარმა. მუდამ ერთის პრინციპით ვის რად არგია, ნეტავი, შეეპასუხა მეორე. „დინამო“ რომ ჩემპიონი გახდება, ეს ხომ ნაღდია, მაგრამ უბედურება ის არის, დანარჩენები კონკურენციას რომ ვერ უწევენ. საქართველოში მეორე გუნდი არ გვყავს, მეორე კი არა, ერთიც სანატრელია. „დინამო“ პირველი კია, მაგრამ უგულშემატკივრო გახლავთ. სირცხვილიც კია, გუნდს საშინაო მატჩში 10 კაცი ამხნევებდეს. ეს ფაქტია, მწარე სინამდვილე. ბოლომდე ვერც იმ ქუთაისელს ვამტყუნებ. მას გულშემატკივრობა თავისებურად ესმის. გინება ეხერხება კარგად და ივინება. თუ ბიჭი ხარ და „დინამოს“ მოგება გსურს, შენ შენი დაუპირისპირე. საკალდებულო არ არის, შენც შეიგინო.

იმის ნაცვლად, რომ ერთმანეთს მეტად ძოვეფეროთ, ერთიმეორეს ვწუხლავთ. ჭირსაც წაუღია ისეთი ფეხბურთი, ერთმანეთს რომ დავგვხოცინებს. არა, ძმებო, ჩვენთვის ევროპული ცივილიზაცია ჯერაც ნაადრევია. ერთიც საოქმელია, ჩვენი აზრით, ყველაფერი ეს იმის ბრალია, ჩემპიონატში მდგომარეობა ხელოვნურად რომ იძაბება. ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ საკეთებელს არავინ აკეთებს.

ოდიშელ ზურაბ ქოიავას (№10) სამგურალელი ჰელიძე დასდევდა

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ
„26 მაისი“
2 აპრილი

ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ 0:1 ᲝᲓᲘᲨᲘ

ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ: ბობოხიძე, გ. ჯანელიძე (ჯ. ჯანაშია 64), გ. თევზაძე, კოღუაშვილი, ჭელიძე, ძაგნიძე, ზ. ქუთათელაძე, მოსიკაშვილი (ფრანგიშვილი 81), ი. ხაჭაპურიძე, ხურცილავა, დარსაძე (თევდორაძე 46)
ᲝᲚᲘᲨᲘ: სოღოლაშვილი, ახვლედიანი, ღურსმანაშვილი, ცქიფურაშვილი, ტყემალაძე, ებრალიძე, ისიანი (ჯ.ურხანძე 80), ენდელაძე, გელა ქორიძე (დათუაშვილი 89), ქოიავა (ჭედია 87), კალანდაძე
0:1 ენდელაძე (29)
ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ: ტყემალაძე, ცქიფურაშვილი
ᲛᲡᲐᲯᲣᲓᲘ: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

ძუნძულ-ძუნძული...

იუზა კაციტაძე წყალტუბოდან

თუ გახსოვთ, მეშვიდე ჩემპიონატში მაჩანჩალა „დურუჯს“ ზედიზედ ათ მატჩში ვერ გაეტანა. თუნდ საცალალო, მაგრამ ესეც რეკორდია. ყვარელელთა ამ „ნავაუკაცარს“ ძნელად თუ მისწვდება ვინმე. თუმცა, ვინ უწყის... აი, მიმდინარე გათამაშებაც... მეჩვიდმეტე ტურში ზესტაფონში დაბეჩავებულ „მარგველთთან“ რომ ვერ ეხეირა, ახლა ამ რეკორდთან „სამგურალი“ იქნებოდა სულ ახლო. წყალტუბოელებს ერთმანეთს მიყოლებული სამი უგოლო მატჩი პირველი წრიდან გამოჰყვათ, ხოლო ჩემპიონატის განახლების შემდეგ გუშინწინდელის ჩათვლით, ხუთიდან ოთხში ვერ მოახერხეს გატანა. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ საკუთარ მოედანზე წყალტუბოელებმა ბოლოჯერ გასული წლის 31 ოქტომბერს გაუტანეს „გურიას“. მას შემდეგ ხუთი თვე გაეიდა.

„სამგურალი“ — „ოდიში“. ამათი შეხვედრები მეტწილად მძაფრი და უშედავათო გახლდათ. სტატისტიკა ამას მოწმობს. ერთმაც შვიდჯერ იმარჯვა და მეორემაც, ზავი კი ორჯერ დაიდო. ესენი ამხანაგურადაც ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. ამასწინაც სამეორეწრეო სამზადისში წყალტუბოელებმა ორჯერ აჯობეს ოდიშართ. საანგარიშო მატჩის წინ მასპინძელთა ეს კოზირი უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იგი გარკვეულ უპირატესობას წყალტუბოელებს ანიჭებდა, თუმცა სავარაუდო ის უფრო იყო, რომ „ოდიში“ მეტოქის ამ კოზირს არად ჩააგდებდა და თავისას შეეცდებოდა. პირველ სამეულში დასამკიდრებლად მებრძოლ ზუგდიდელებს ხომ ჰაერივით სჭირდებათ ქულები და „სამგურალის“ დარ მეტოქეებთან მათი გაფლანგვა არანაირად აძლევთ ხელს. „ოდიშზე“ ვთქვით და დასათმობი არც „სამგურალს“ გააჩნია რამე. გუნდი სახიფათო ზონიდან თავის დაღწევას ლამობს. წინა ტურში წყალტუბოელებმა მართალია წააგეს „ტორპედოსთან“, მაგრამ მეზობელს დიდი ბრძოლა გაუმართეს. წესითა და რიგით ახლაც ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ იყო კი?

ორივე გუნდმა ძირითადის თითო მოთამაშე გაფრთხილებების გამო მოისაკლისა, მასპინძლებმა — ფხაკაძე, სტუმრებმა — ჩადუნელი. „ოდიშს“ განაცხადში მეცხრე ნომრად გლუნჩაძე ჰყავდა შეყვანილი. ამან კი მოთელვაზე ფეხი იტკინა და მისი ადგილი ზუგდიდელთა ახალწვეულმა გელა ქორიძემ დაიკავა. სტუმრებმა კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელიც შეიმატეს — კახა სიდამონიძე, მაგრამ ამას ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე მოუხდა ჯდომა.

თავიდან მასპინძლებმა თითქოს გაიბრძოლეს, იერიშზე გადასვლა სცადეს, მაგრამ ნამეტანი უხეიროდ. ზუგდიდელებმა მალე შეატყვეს, მეტოქე რომ არაფრის მაქნისი იყო და მეოცე წუთიდან თავად დაეპატრონნენ ინიციატივას. მალე „სამგურალის“ კართან პირველი საგოლე მომენტიც შეიქმნა. ენდელაძემ კუთხურიდან საჯარიმო მოედნის შუაგულში ჩააწოდა. იქ ბურთზე ისიანი გავიდა კარგად, თაურიც მოასწრო, მაგრამ ხარიხას ოდნავ აცილა. ბევრი არც ფიქრობდა მასპინძლები საკუთარ ნახევარზე დაჯარიმდნენ. კარამდე საკმაოდ შორი იყო და კუთხეც მახვილი. ერთი შეხედვით, ამ ადგილიდან კარში დარტყმას აზრი არ ჰქონდა. ბურთთან ენდელაძე რომ მივიდა, მისგან ყველა საჯარიმოში ჩაწოდებას ელოდა, მაგრამ ზუგდიდელმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო. გამოცდილმა ფორვარდმა შეამჩნია, რომ წყალტუბოელთა მეკარეს არასწორი პოზიცია ეჭირა და სწორედ მას დაურტყა ოდნავ მოჭრილი. ბობოხიძე მოსაგერიებლად მზად არ იყო, ბურთს ვერ მისწვდა და იგიც მის ზურგსუკან ბადეში ჩაეშვა. ეს ეპიზოდი ახალგაზრდა გოლკიპერისთვის ჭკუისასწავლებელი გამოდგა. აქედან მოყოლებული, იგი პრაქტიკულად უშეცდომოდ თამაშობდა და ბევრჯერაც იხსნა თავისიანები. 34-ე წუთზე ბობოხიძემ ქოიავას აუღო ახლოდან დარტყმული და იქვე კალანდაძის მიერ დამატებულიც მოიგერია. 42-ე წუთზე ქოიავა — ბობოხიძის დუელში ისევ მეკარემ იმარჯვა, ათიოდე მეტრიდან კარში მიმავალი უძნელესი ბურთი აიღო.

მასპინძელთა რიგებში ბობოხიძე მეორე ტაიმშიც ყველაზე შესამჩნევი ფიგურა იყო. აბა, სხვათა უაზრო ტუნტულს თამაში ხომ არ ეთქმოდა. პირდაპირ პარადოქსია, წყალტუბოელებს მარცხის ასაცილებლად ბევრი არაფერი უღონიათ, ერთხელაც ვერ დაარტყეს სოღოლაშვილის კარში, არც შესვენებამდე და არც მას შემდეგ. ეგ კი იყო, თევდორაძე ორჯერ წაიქცა „ოდიშის“ საჯარიმოში, ეგებ მსაჯს პენალტი დავსტყუოო, მაგრამ ლორთქიფანიძე მაგის ჩიტი იყო?.. ზუგდიდელებს მეორე ტაიმში ანგარიშის გაორებაც შეეძლოთ, გასამებაც და უფრო მეტიც, მაგრამ როგორც ვთქვით, ბობოხიძე ვარგობდა, მან ორჯერ ქორიძის და ერთხელ ენდელაძის ურთულესი დარტყმები მოიგერია. ამის გარდა, კალანდაძემ ააცილა მეტად ხელსაყრელი პოზიციიდან, ისიანმა კი ნამეტანი მოინდომა. 79-ე წუთზე მან გაუმართლებლად ათრია ბურთი და ასპროცენტიანი შანსი გაუშვა ხელიდან. ისიანი იქვე შეცვალეს ჯურხანძეთი. მერე ამასაც მიეცა გატანის შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენა. რა თქმა უნდა, ყველა ამათ ეპატიათ. „ოდიშმა“ ხომ თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულა, სამი ქულა უპრობლემოდ მიითვალა. „სამგურალმა“ კი ვერც ამჯერად გაუმართლა თავის ქომაგთ. ბურთი ხომ ვერ გაიტანა, ეგ კიდევ არაფერი, უხალისოდ რომ ითამაშა, ყველაზე საწყენი ეს იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲘᲚᲐ
ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ
2 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ᲓᲘᲚᲐ 2:0 ᲛᲔᲠᲐᲜᲘ

ᲓᲘᲚᲐ: გრ. ჭანტურია, ბალაშვილი, ხოხობაშვილი, ჩიტაია, რ. ხაჭაპურიძე (ნკრალაშვილი 78), რევაზიშვილი, მარეხაშვილი (ციცქიშვილი 69), ლომიძე, მარღიშვილი, ხორგუაშვილი, კაიდარაშვილი (შატაკიშვილი 46)
ᲛᲔᲠᲐᲜᲘ: ნაჭყვიბია, ივანიშვილი, ვ. ალადაშვილი, გოგიტაძე, ბუხრიკიძე, გუნაძე, კაპანაძე (აბაზაძე 53), ინიაშვილი (დავითაშვილი 58), ა. ხორხელი, მაზანაშვილი, მესხი (ჩიგოშვილი 74)
1:0 მარღიშვილი (68), **2:0** რევაზიშვილი (90)
ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: ხორგუაშვილი, ივანიშვილი, ბალაშვილი
ᲛᲡᲐᲯᲘ: თ. მაჭარაძე (ხონი)

ᲛᲐᲠᲦᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲐ

ბერო რომ აკლდათ. ვაჟა თარხნიშვილი „დილასთვის“ ბევრს ნიშნავს და ერთვნულ ჩემპიონატში მისნაირი ლიბერო ბევრიც არ მოიძევება. ვაჟას ფეხი ასტკეივა, სანდო მცველია ბალაშვილი. გუშინწინ ლიბერო იყო, მაგრამ მიუხედავად მონდომებისა, ეტყობოდა, უკანა მცველობას ჩვეული რომ არ გახლავთ.

პირველ ტაიმში გუნდებმა სახეირო ვერაფერი მოახერხეს. მეკარეები ერთხელაც არ გადამხტარან. ბურთის აღმადაღმა უსარგებლოდ გორებაში კი 45 წუთი საშინლად გაიწელა.

მეორე ნახევარიც ანალოგიურად წარიმართა. თითქოს არც არაფერი უნდა მომხდარიყო, მაგრამ გორელები შეფუცხუნდნენ და რევაზიშვილის გარღვევის შემდეგ მარღიშვილმა პირველი ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან.

ამას „მერანმაც“ შეტევით უპასუხა. დავითაშვილის სახიფათოდ დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

მასპინძლებმა გოლი არაფრისგან შექნეს. ჭანტურიამ კარიდან ძლიერად დარტყა. ხორგუაშვილმა მცველთა დაბნევით ისარგებლა და საჯარიმოში შეჭრილმა მარღიშვილს საგოლედ უპასა. რონინს ამჯერადაც შანსი ხელიდან არ გაუშვია.

ამ მომენტში ბევრს ასე მოეჩვენა, ხორგუაშვილმა თანაგუნდელს პასი წინ მისცა და თამაშგარე იყოო. გოლის შემდეგ სტუმრებს პროტესტი არ გამოუთქვამთ, თანამსაჯმაც თამაშის გაგრძელება ინება, ხოლო იმ ადგილიდან, საიდანაც მატჩს თვალყურს ვადევნებდით, დარწმუნებით ვერაფერს მოგახსენებთ.

ამ გოლმა ცხადყო, რომ „მერანი“ დამარცხდა, ბოლო წუთზე მარღიშვილმა რევაზიშვილს ვალი დაუბრუნა. გიორგის ბურთი თავზე დაასვა და მასპინძელთა ნახევარმცველმაც გაიტანა.

ᲛᲐᲛᲣᲨᲙᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲝᲠᲘᲓᲐᲜ

გორში ყველა დაძაბულ, საინტერესო შეხვედრას ელოდა. „მერანი“ ხომ ერთ-ერთი იმ გუნდთაგანია, „დილასთან“ თამაში რომ არ უჭირს. მოლოდინი არ გაგვიმართლდა. ეს იყო უსუსტესი მატჩი სტუმარ-მასპინძლის შესრულებით.

ჩვენ გვესმის ჯონი ჯანელიძის. მწვრთნელს ფაქტობრივად ახალი გუნდის ჩამოყალიბება უწევს და მაღალ შედეგებს უმალ ვერ მიაღწევს, მაგრამ რა იყო გორელთა ინერტული თამაშის მიზეზი, ძნელი სათქმელია. „დილა“ საშინაო შეხვედრებს მუდამ მოზღვავებული ენერგიით ატარებდა.

მთელი ორი ტაიმი მხოლოდ ხისტად, ჯარიმის ზღვარზე ირჯებოდნენ ფეხბურთელები. ასეთი თამაშით სტუმრები მასპინძლებს რას დააკლებდნენ. ამიტომაც დაზარალდნენ კიდეც. ჯანელიძეს მესხი დაემტვრა, ჩიგოშვილს ცხვირიდან სისხლი წასკდა, მაზანაშვილს ეჭიმთა დახმარება დასჭირდა.

გორელთა მოდუნებული, ფრთხილი თამაში იმითაც იყო გამოწვეული, ლიდერობა ჯერ კიდევ ჰქონდა. ამ ორ ტაიმში ერთხელაც არ გაუსწრეს ერთმანეთს. ეს ფრე ორივეს ერთნაირად აწყობდა.

ᲓᲘᲚᲐ 2:0 ᲛᲔᲠᲐᲜᲘ

ᲓᲘᲚᲐ: გრ. ჭანტურია, ბალაშვილი, ხოხობაშვილი, ჩიტაია, რ. ხაჭაპურიძე (ნკრალაშვილი 78), რევაზიშვილი, მარეხაშვილი (ციცქიშვილი 69), ლომიძე, მარღიშვილი, ხორგუაშვილი, კაიდარაშვილი (შატაკიშვილი 46)
ᲛᲔᲠᲐᲜᲘ: ნაჭყვიბია, ივანიშვილი, ვ. ალადაშვილი, გოგიტაძე, ბუხრიკიძე, გუნაძე, კაპანაძე (აბაზაძე 53), ინიაშვილი (დავითაშვილი 58), ა. ხორხელი, მაზანაშვილი, მესხი (ჩიგოშვილი 74)
1:0 მარღიშვილი (68), **2:0** რევაზიშვილი (90)
ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: ხორგუაშვილი, ივანიშვილი, ბალაშვილი
ᲛᲡᲐᲯᲘ: თ. მაჭარაძე (ხონი)

ბათუმელ პაატა მაჭუტაძეზე მაღლა ამჯერად მალხაზ ბურდული ახტა

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ?

ტი დაკარგა. „დინამო“ კი ასეთ რამეს საკუთარ თავს არ კადრებს. რატომ? იმიტომ, რომ დარწმუნებულია — ჩემპიონობას მერვედ მოიპოვებს.

ზღვისპირელებს არაფერი ამართლებთ. ძალიანაც რომ გინდოდეს, მაინც ვერ შერაცხავ „ბათუმს“ საჩემპიონო გუნდად. რა, გაუჭირდებოდათ ისანში მოგება? მოერიდნენ სირბილს, ეტყობა, იფიქრეს, ამათ ნახევარი ძალითაც დავამარცხებთო. ჩვენი ბედი, რომ ეროვნული ჩემპიონატი ისე არ დაუძლურებულა, ნახევარი ძალით გუნდმა იმას მოუგოს, ვინც მონდომებითა და სიქის გაცლამდე იბრძვის.

„შევარდენზეც“ ასე იყო. „ბათუმი“ თავისი უძლიერესი შემადგენლობით დაუბრისპირდა მეტოქეს. ნელ-ნელა გამოიკვეთა სტუმრების უპირატესობა და თხუთმეტი წუთის შემდეგ უკვე თვალშისაცემი გახდა. გოლი მწიფდებოდა, ბათუმელები უტევდნენ, ჯანელიძე აქეთ-იქით დახტოდა, საბოლოოდ არაფერი გამოვიდა. ის კი არა, ყველაზე რეალური მომენტი მასპინძელ გოჩაშვილს შეექმნა, როცა მცველთა მიერ უყურადღებოდ დატოვებულმა ტოგონიძე ვერ გააცურა. ამას მთელმა იტალია-მოლდოვამ ვერ გაუტანა, ესენი რის მაქნისები არიან, ურტყით და იყვით, ტოგონიძე ტოგონიძეაო — ასეთ რეპლიკებს მრავლად მოისმენდით ტრიბუნაზე. მოკლედ, ტაიმი ჩამთავრდა. სტუმრებისგან ჩვეულებრივ ამბავს ველოდით, ახლა არა, მაგრამ როდესაც გოლს მაინც გაიტანენო. ისე აგიხდათ ყველაფერი, როგორც გუშინწინ, მაგრამ...

ტაიმი ისევ სტუმართა უპირატესობით განახლდა. არაორგანიზებულად უტევდნენ, ვიტელები კი გონიერულად იცავდნენ თავს, განსაკუთრებით მათი ლიბერო მაისურაძე გამოირჩეოდა — წინასწარი გათვლით ბათუმელთა ყველა შეტევას იქ ხვდებოდა, სადაც საჭირო იყო. ბოლოს ყოფილ მორკინალთა გამოუცდელობამ თავისი ქნა: მაჭუტაძე მარცხნივ რამდენიმე მცველს შუა გაძვრა და დაბალი ჩაწოდა, თორლაშვილი ჯანელიძეს ცხვირწინ აღმოჩნდა, თუმცა მის უკან დარჩენილმა დვალიშვილმა ფეხი უშნოდ გაიქნია და თორლაშვილი წაიქცა. სილაგავამ პენალტი დანიშნა, მგონი, სამართლიანად, რომელიც აფხაზავამ უნაკლოდ შეასრულა.

უკვე ეჭვს არ იწვევდა ბათუმელთა გამარჯვება. მატჩიც ჩვეულებრივ გაგრძელდა, სანამ... სტუმრებმა ანგარიშის გაზრდა მოინდომეს. ისევ ეკვეთნენ ვიტელებს და დაისჯნენ: ჭუმბურიძემ გამოზომილი კუთხური მოაწოდა, ტანმაღალი ჭოხონელიძის აღნაგობა სტუმრებმა ვეღარ გაითვალისწინეს და თავურით ანგარიშიც გათანაბრდა. ისევ „ბათუმის“ სრული უპირატესობა, მით უმეტეს, გაშვებული გოლის შემდეგ — უტევდნენ, უტევდნენ, თუმცა ვერა და ვერ იხეირეს. ბოლოს კულმინაციური მომენტიც დადგა: მასპინძლებმა აუტი მოაწოდეს, მასპინძელთა დებიუტანტმა ნოზაძემ მეტად გამოცდილ მიხო მახარაძეს სირბილში გაასწრო და ტოგონიძესთან პირისპირ დარჩენილმა მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი. დამთავრდა? გახდება „ბათუმი“ ჩემპიონი? სჯობს, უახლოეს ტურებს დაველოდოთ, როცა ყველაფერს ნათელი მოეფინება. ისე, მატჩს „დინამოს“ მწვრთნელი და ფეხბურთელებიც ესწრებოდნენ. ალბათ, ადგილად წარმოსადგენია, როგორი იყო მათი რეაქცია სლავას სასტვენის შემდეგ.

ᲕᲘᲢᲔᲚᲘ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ 2:1 ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

ᲕᲘᲢᲔᲚᲘ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ: ჯანელიძე, იღურიძე, მაისურაძე, ჭოხონელიძე, მ. ბურდული (დამბაშიძე 83), დვალიშვილი, ქუთათელაძე (ალავიძე 56), დ. დოლიძე (ნადირაძე 57), ლ. ნოზაძე, ჭუმბურიძე, გოჩაშვილი
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ: ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, გ. შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, სოლოღაშვილი, მაჭუტაძე, მაქაცარია (ჭიჭვეიშვილი 58), აფხაზავა
0:1 აფხაზავა (623), **1:1** ჭოხონელიძე (70), **2:1** ნოზაძე (85)
ᲛᲡᲐᲯᲘ: ვ. სილაგავა (თბილისი)

ᲙᲣᲒᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

სათაური, ალბათ, დაგაფიქრებთ. იკითხავთ, რა დამთავრდაო. მოგახსენებთ — ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ ადრეა, მაგრამ ინტრიგისა უკვე რა მოგახსენოთ. პირველობას ორი კანდიდატი ჰყავდა, ერთი „დინამო“, მეორეც „ბათუმი“. სხვაობა ოთხი ქულა გახლდათ... „ბათუმი“, უბრალოდ, ვალდებული იყო, ქულა არ დაეკარგა. „დინამოც“ ანალოგიურ სიტუაციაში გახლდათ, მაგრამ ხუთშაბათს „შევარდენზე“ ისეთი რამ მოხდა, აჭარლების გასამართლებლად სიტყვა არ დაგცდება კაცს. განა შეიძლება ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს თამაში ეზარებოდეს? დაგვეთანხმებით, იშვიათი გამონაკლისია. არა, ვერ დავიჩემებთ, „ბათუმს“ პირველობა არ უნდაო, თუმცა კი ფაქტია, ქულებს იქ კარავაც, სადაც გამარჯვება თითქოს უეჭველი უნდა იყოს. ასე მოხდა ბოლნისში, ერთ-ერთ აუტსაიდერთან, ასე მოხდა თბილისში, ისანში, იმ გუნდთან, რომელმაც პირველი წრის შემადგენლობიდან ნახევარზე მეტი დაკარგა. „დინამო“ კი ასეთ რამეს საკუთარ თავს არ კადრებს. რატომ? იმიტომ, რომ დარწმუნებულია — ჩემპიონობას მერვედ მოიპოვებს.

ზღვისპირელებს არაფერი ამართლებთ. ძალიანაც რომ გინდოდეს, მაინც ვერ შერაცხავ „ბათუმს“ საჩემპიონო გუნდად. რა, გაუჭირდებოდათ ისანში მოგება? მოერიდნენ სირბილს, ეტყობა, იფიქრეს, ამათ ნახევარი ძალითაც დავამარცხებთო. ჩვენი ბედი, რომ ეროვნული ჩემპიონატი ისე არ დაუძლურებულა, ნახევარი ძალით გუნდმა იმას მოუგოს, ვინც მონდომებითა და სიქის გაცლამდე იბრძვის.

„შევარდენზეც“ ასე იყო. „ბათუმი“ თავისი უძლიერესი შემადგენლობით დაუბრისპირდა მეტოქეს. ნელ-ნელა გამოიკვეთა სტუმრების უპირატესობა და თხუთმეტი წუთის შემდეგ უკვე თვალშისაცემი გახდა. გოლი მწიფდებოდა, ბათუმელები უტევდნენ, ჯანელიძე აქეთ-იქით დახტოდა, საბოლოოდ არაფერი გამოვიდა. ის კი არა, ყველაზე რეალური მომენტი მასპინძელ გოჩაშვილს შეექმნა, როცა მცველთა მიერ უყურადღებოდ დატოვებულმა ტოგონიძე ვერ გააცურა. ამას მთელმა იტალია-მოლდოვამ ვერ გაუტანა, ესენი რის მაქნისები არიან, ურტყით და იყვით, ტოგონიძე ტოგონიძეაო — ასეთ რეპლიკებს მრავლად მოისმენდით ტრიბუნაზე. მოკლედ, ტაიმი ჩამთავრდა. სტუმრებისგან ჩვეულებრივ ამბავს ველოდით, ახლა არა, მაგრამ როდესაც გოლს მაინც გაიტანენო. ისე აგიხდათ ყველაფერი, როგორც გუშინწინ, მაგრამ...

ტაიმი ისევ სტუმართა უპირატესობით განახლდა. არაორგანიზებულად უტევდნენ, ვიტელები კი გონიერულად იცავდნენ თავს, განსაკუთრებით მათი ლიბერო მაისურაძე გამოირჩეოდა — წინასწარი გათვლით ბათუმელთა ყველა შეტევას იქ ხვდებოდა, სადაც საჭირო იყო. ბოლოს ყოფილ მორკინალთა გამოუცდელობამ თავისი ქნა: მაჭუტაძე მარცხნივ რამდენიმე მცველს შუა გაძვრა და დაბალი ჩაწოდა, თორლაშვილი ჯანელიძეს ცხვირწინ აღმოჩნდა, თუმცა მის უკან დარჩენილმა დვალიშვილმა ფეხი უშნოდ გაიქნია და თორლაშვილი წაიქცა. სილაგავამ პენალტი დანიშნა, მგონი, სამართლიანად, რომელიც აფხაზავამ უნაკლოდ შეასრულა.

უკვე ეჭვს არ იწვევდა ბათუმელთა გამარჯვება. მატჩიც ჩვეულებრივ გაგრძელდა, სანამ... სტუმრებმა ანგარიშის გაზრდა მოინდომეს. ისევ ეკვეთნენ ვიტელებს და დაისჯნენ: ჭუმბურიძემ გამოზომილი კუთხური მოაწოდა, ტანმაღალი ჭოხონელიძის აღნაგობა სტუმრებმა ვეღარ გაითვალისწინეს და თავურით ანგარიშიც გათანაბრდა. ისევ „ბათუმის“ სრული უპირატესობა, მით უმეტეს, გაშვებული გოლის შემდეგ — უტევდნენ, უტევდნენ, თუმცა ვერა და ვერ იხეირეს. ბოლოს კულმინაციური მომენტიც დადგა: მასპინძლებმა აუტი მოაწოდეს, მასპინძელთა დებიუტანტმა ნოზაძემ მეტად გამოცდილ მიხო მახარაძეს სირბილში გაასწრო და ტოგონიძესთან პირისპირ დარჩენილმა მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი. დამთავრდა? გახდება „ბათუმი“ ჩემპიონი? სჯობს, უახლოეს ტურებს დაველოდოთ, როცა ყველაფერს ნათელი მოეფინება. ისე, მატჩს „დინამოს“ მწვრთნელი და ფეხბურთელებიც ესწრებოდნენ. ალბათ, ადგილად წარმოსადგენია, როგორი იყო მათი რეაქცია სლავას სასტვენის შემდეგ.

ლევან ხომერიკის გოლი ტორპედოელთა კარში არბიტრის და თანამსაჯის აზრით თამაშგარიდან არ გასულა

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘ 3:3 ᲡᲘᲛᲜᲘ

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘ: გვენცაძიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, შ. ბინაძე, შევლაშვილი, აბრამიშვილი, ბარამიძე, ბუიშვილი, თ. სამხარაძე, კავთელაძე (ტეფნაძე 84), მწყერაშვილი
ᲡᲘᲛᲜᲘ: დ. ბინაძე, გ. ჩომახიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, გოგოლაძე, მ. სამხარაძე (ფოფხაძე 84), ტარტარაშვილი, ჯაფარიძე (ბერიძე 30), ჯ. წიკლაური, ტყავაძე (ჯაგიდისი 79), ღ. გაგუა
0:1 ტყავაძე (2), **0:2** წიკლაური (9), **0:3** ტყავაძე (25), **1:3** სამხარაძე (65), **2:3** კავთელაძე (80), **3:3** იობაშვილი (87ბ)
ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: კიპაროიძე, შ. ბინაძე, მწყრაშვილი, გ. ჩომახიძე, შაკიაშვილი, ღ. გაგუა
ᲛᲡᲐᲯᲘ: ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

ᲐᲠ ᲒᲐᲘᲡᲐᲠᲯᲨᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲨᲜᲔᲜ

დამთავრებინათ, რომ ბოლნისელებმა პირველივე შეტევისას გოლი გაუტანეს. მოედნის ცენტრში ჯარიმა დაინიშნა. შაკიაშვილმა ბურთი საჯარიმოში ჩააგდო. იქ კი კარისკენ ზურგით მდგარმა ჯაბა წიკლაურმა ერთი შეხებით კარგად მოძებნა უმეთვალყურეოდ დარჩენილი ტყავაძე, რომელმაც ასევე ერთი შეხებით უსაქმოდ დატოვა ჭიათურელთა გოლკიპერი. ტრიბუნებზე ავის მომასწავებელი სიჩუმე გამეფდა. ზემოთქვერი დაიბნენ, მოულოდნელმა დასაწყისმა მათზე გამანადგურებლად იმოქმედა. შვიდი წუთის შემდეგ კი ფაქტობრივად ბოლნისელთა მეორე სახიფათო შეტევა მათი კარის აღებით დამთავრდა. ამჯერადაც მთავარი მოქმედი გმირები ტყავაძე და წიკლაური გახლდნენ. ამ უკანასკნელმა საჯარიმოში მკერდით მიიღო ტყავაძის გადაცემა, შემობრუნებით დაარტყა და გველესიანმა რეაგირება ოდნავ დააგვიანა. მეორე გაშვებული გოლის შემდეგ მასპინძლები ოდნავ შეფუცხუნდნენ, სახიფათოდაც შეუტიეს, 23-ე წუთზე მწყერაშვილს ახლო მანძილიდან შეეძლო კიდეც კარის დალაშქრა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა და ბიწაძემ აუღო. სამაგიეროდ, ორიოდ წუთში ისევ სტუმრებმა იყოჩაღეს. ამჯერადაც ბუბა ტყავაძეს მოუწია თავისი ოსტატობის დემონსტრირება. მან წამით დაასწრო გველესიანს გაგუას მიერ მარცხენა ფრთიდან გაკეთებულ გამჭოლ გადაცემაზე, ლამაზად, თავს ზემოდან შემოატარა მას ბურთი და ანგარიში გაასამა.

ყველაზე დიდი შეცდომა, რაც სტუმრებმა დაუშვეს, ის გახლდათ, რომ მეორე ნახევარში მათ მასპინძლებს მთლიანად დაუთმეს მოედნის ცენტრი და ამასთანავე ინიციატივაც. ბოლნისელები თითქმის მთელი გუნდით დაცვაში ჩაჯდნენ და წინ მხოლოდ წიკლაური და ტყავაძე დატოვეს. აბა, ასეთ საჩუქარზე ჭიათურელები უარს როგორ იტყოდნენ და მთელი ძალებით შეტევაზე გადავიდნენ. შედეგმაც დიდხანს არ დააყოვნა, და 65-ე წუთზე თითქმის ყველაზე აქტიურმა თემურ სამხარაძემ სხვაობა ერთით შეამცირა. მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა. ბოლნისელები ისევ დუმას და მხოლოდ ბურთის მოგერიებას ამჯობინებდნენ. თუმცა არც წიკლაური და ტყავაძე იყვნენ უქმად. და აქ ბოლნისელთა თავკაცი მეორე შეცდომას უშვებს — ტყავაძის ნაცვლად მოედანზე ჯაგიდისი შემოდის. ბუბას გასვლამ ხომ მასპინძლებს მთლად გაუხსნა ხელ-ფეხი. სულ რაღაც ერთ წუთში კავთელაძემ ჯარიმიდან ულამაზესი გოლი გაუტანა თავდაჯერებულ სტუმრებს. ულიდეროდ დარჩენილი ბოლნისელები მთლად აირევნენ. აღარ იყო მათ რიგებში ის სიმწყობრე და სიჩაუქე, რაც მანამდე მკვეთრად შეიმჩნეოდა. ადრე ირწმუნეს გამარჯვება და მატჩის მიწურულს მწყერაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით იობაშვილმა მათ საბოლოო განაჩენი გამოუტანა. სტუმრად, უშუალო კონკურენტთან მოპოვებული ქულა, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ ასეთი?

ᲞᲔᲡᲘᲮ ᲯᲐᲜᲒᲘᲚᲐᲫᲔ ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲓᲐᲜ

ასეა, მატჩი ოთხმოცდაათი წუთი გრძელდება და მისი დამთავრების ნიშანს მთავარი მსაჯი იძლევა. ეტყობა, ბოლნისელებმა ეს ვერ გაითვალისწინეს ან სულაც დაავიწყდათ, რის გამოც დაისაჯნენ კიდეც. პირველ ნახევარში შრომითა და ჯაფით მოპოვებული სამბურთიახი უპირატესობა, როგორც იტყვიან, ქარს გაატანეს. ის რაც ჭიათურაში მოხდა ჩვენში არა, უფრო ხშირად ინგლისში ხდება. ჩვენი გულშემატკივარი ამის შემსწრე ოდენ ჩაწყობილ შეთანხმებულ მატჩში თუ გახდება. არა, ამ შეხვედრას ჩაწყობილ-შეთანხმებულის არაფერი ეცხო. მინდორზე ლაღი, უშეღავათო, ვაქკაცური ბრძოლა რომ მიმდინარეობდა, ამის დასტურად უხვგოლიანობასთან ერთად ყვითელი ბარათების სიმრავლეც გამოდგება.

მასპინძლებს წესიერად სალამიც არ

„ᲡᲐᲠᲒᲘᲔᲚᲘ“ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲓ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ

ჟურნალისტებს, გამოცდილთ და დამწყებთ, რომელთაც სურთ წერონ ფეხბურთზე, კალათბურთზე, რაგბიზე, ჭიდაობასა და ჭადრაკზე;

მთარგმნელებს, გამოცდილთ და დამწყებთ, ინგლისურიდან გადმოსაქართულებლად.

მსურველებმა შემოდგომის სემესტრში ჩაბარების 12-დან 15 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო გაზაფხულის სემესტრში ჩაბარების 14-დან 16 იანვრის ჩათვლით

ტელ: 39 48 29 ან 39 40 08;

მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, მეორე კორპუსი, მე-4 სართული

მეოთხე დარჩა... ფუი ეშმაკს!

ამბობს პაატა მაჭუტაძე

ყველაფერით, წარსულითა თუ აწმყოთი, „ბათუმი“ საქართველოს ჩემპიონატში კოლორიტული გუნდია. ყველაფერში მართლაც რომ ყველაფერი იგულისხმება. თუნდაც ის, მწვრთნელი შოთა ჭეიშვილი ნაცად შემადგენლობას ათასში ერთხელ რომ ცვლის. მერამდენე სეზონია, „ბათუმი“ თითქმის ერთი და იმავე თერთმეტეულით თამაშობს. შინაურ ფეხბურთში ჩახედულთ, პირველ ყოვლისა, თვალში ეს ეცემათ, მერე კი... არანაკლებ კოლორიტული ფიგურა ქართულ ფეხბურთში. მას თითქოსდა ძირითადში ადგილი დაუკავშნული აქვს, მას თითქოსდა ყოველ მატჩში დაბეჭებული აქვს გოლის გატანა, მას, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რეცეპტი აქვს გამოწერილი — შენ ამ დროს, აქ უნდა იყო, ბურთი შენთან გამოგორდება და მარჯვენას მოიქნევ თუ მარცხენას, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, გოლი გაიდესო. ეს რეცეპტია, აფთიაქს კი მიგნება უნდა, სწორად დამიზნებაა საჭირო, რათა იქ მოარტყა, სადაც ხელისშემშლელი არაგინაა. ამისთვის ნიჭი და მონდომებაა აუცილებელი. ეს ყველას არ შეუძლია. აი, „ბათუმის“ ფორვარდი პაატა მაჭუტაძე ამ მხრივ მუდამ გაოირჩეოდა. რეცეპტიც აქვს და აფთიაქის მისამართზეც გზის გაუმრუდებლად მიდის. იშვიათად, მაჭუტაძემ ითამაშოს და მინდორი უგოლოდ დატოვოს.

მაჭუტაძის ხსენებაზე რეცეპტი და აფთიაქი რომ გაგვახსენდეს, რა გასაკვირია. ეროვნული ჩემპიონატის დასაბამიდან დღემდე თუ ვინმეზე ითქმის, უღიღესი ფეხბურთელიაო, მათ შორის პაატა მაჭუტაძეს პირველობას ვერავინ შეეცილება. იმდენი, რამდენიც მას გაუცდა, ტყუილია, ნურავინ დაიტრაბახებს. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ანალოგი არ ყოფილა. ახლა ნულარ გაიოცებთ, ერთ-ერთი რიგითი ინტერვიუ ცოტა უჩვეულოდ რომ დავიწყეთ. — ტრავმები როდემდე, აღარ გამოჯანმრთელდე? როცა პაატას ვკითხე, გაიღიმა და მიპასუხა:

— 1989 წლიდან დაიწყო ჩემი უიღბლობა. იქიდან მოყოლებული თითქმის მუდამ საოპერაციო მაგიდაზე ვარ. მაშინ მარჯვენა წვივზე ჯერ ერთი ძვალი მოვიტეხე, მერე — მეორე. მოვიშუშე, მაგრამ ამას რამდენი დრო დასჭირდა, თავად წარმოიდგინეთ. როგორც იქნა, ფეხზე დავდექი, თამაშიც დავიწყე. „სელტიკთან“ განმეორებითი მატჩის მოახლოებისას კი ბეჭიც მოვიტეხე. ლამის ხელი ჩავიქნიე, მაგრამ ნებისყოფა მეყო, ისევ გამოვჯანმრთელდი და... ერთმანეთის მიყოლებით თითქმის მარტო მუხლზე სამი ოპერაცია დამჭირდა. ახლა გადავრჩი. ბაკურიანში შეკრებაზე რომ ვიყავით, ისევ ტკივილმა შემაწუხა, შემდეგ თურქეთში გამრთულდა. ვიფიქრე, მორჩა, მეოთხე მენისკის ამოჭრა უკვე ყველაფრის დასასრულია-მეთქი. საბედნიეროდ, მხოლოდ ანთება მქონდა. საბედნიეროდ იმიტომ, რომ მენისკის ოპერაციას ნულარ გამახსენებთ. ახლაც ვმკურნალობ. მგონი, უახლოეს დღეებში საბოლოოდ მოვშუშდები.

— ექიმები რას გეუბნებიან? შენისთანა ხშირი პაციენტი მათთვის იშვიათი იქნება.

— რა ვიცი, ვერაფერს მეუბნებიან. დენენ, რაღა აზრი აქვს შენს მოედანზე დაბრუნებას, მაინც ვერ ითამაშებო, მაგრამ გულით მეწადა „ბათუმის“ მაისური კვლავ მომერგო, ვთვარჯიშე და შრომით ისევ დავიმკვიდრე ადგილი ძირითად შემადგენლობაში. ორი წლის წინანდელ ფორმაზე რაღა გითხრათ. ყველაფერს რომ შევეშვათ, მაშინ ორი წლით ახალგაზრდა ვიყავი. იმდროინდელი თამაში მოგონებად დამრჩა.

— ამბობენ, მაჭუტაძე მაინცდამაინც რეჟიმის მოყვარული არ არისო.

— რეჟიმის მოყვარულიო? დასვენების დღე როცაა, ვისვენებ, თამაშამდე კი ნურას უკაცრავად — ისე ვემზადები, როგორც ყველა. ეტყობა, სხვებზე უკეთ ვიყენებ თავისუფალ დროს და ამტომაც ამბობენ. თუ დასვენებაა, დასვენება უნდა იყოს.

— გოლები პანტა-პუნტით გაგაქვს. ნუთუ, ყველაფერი თანდაყოლილი ნიჭის წყალობით?

— ბავშვობიდანვე, ბათუმის სპორტსკოლაში, ცენტრალური თავდამსხმელის ამპლუაში ვთამაშობდი. მაშინაც ხშირად გამქონდა. ეტყობა, შევეჩვიე, თითქმის ყველა ტურნირში ბომბარდირი ვხდებოდი. ალბათ, მაინც მონდომებას უნდა ვუმადლოდე. ძირითადი ესაა, თორემ მონაცემები სხვებს ჩემზე გაცილებით უკეთესი აქვთ, თანაც იმ ადგილას ვთამაშობ, სადაც სხვა არაფერი მევალება. საგოლე მომენტი სწორედ ცენტრალური თავდამსხმელის გამოსაყენებელია.

— ბევრი მცველის მარწუხები გამოგვლია. ვისთან გიჭირდა, ან გიჭირს თამაში?

— ადრე შელიას ვერ ვუხერხებდი ვერაფერს, ძალიან მჭიდროდ მეთამაშებოდა და მასთან ჭიდილისას თავს მთლად არხეინად ვერ ვგრძნობდი. იგი რომ საქართველოდან წავიდა, ფაქტობრივად მეც დროებით ჩამოვშორდი ფეხბურთს. თუმცა ქუთაისელი ხვადაგიანი და დინამოელი ჯელაძე მაინც დამმახსოვრდა. ორივესთან ბათუმში მომიწია თამაშმა. ამათთანაც გამიჭირდა.

ბადრი ჯმულიანის ფოტო

უამრავ ტრავმაგადატანილი მაჭუტაძე ისევ ძველებური ჟინით ბურთაობს

— პარტნიორთაგან ვის გამოარჩევდი? თავდამსხმელს პასის მიმცემი სჭირდება.

— კანტიძეს. არ შემომხედავს, პასს ისე მომცემს. გრძნობს, მას რომ ბურთი აქვს, თავდამსხმელიც იქ უნდა იყოს, სადაც გადაცემას აკეთებს. თვალდახუჭული ხვდება და იცის, პასს სათ უნდა მისცეს მიმართულება, საით აჯობებს. თავდამსხმელებს ძირითადად ის გვამარაგებს. მასთან ძალიან მიადვილდება. ვიცი, როცა გავიხსნები, ბურთს ჩემამდე მოღწევა არ დაავიანდება.

— საქართველოს ჩემპიონატისთვის უკვე სტაჟიანი ფორვარდი ხარ. უცხოეთისკენ არ აპირებ?

— უკვე ასაკიც მომეძალა. სადაცაა, აპრილში 30 შეისრულდება. ტრავმებმაც ამოსუნთქვის საშუალება არ მომცა. სიმართლე ვითხრა, ჩემით არავინ დაინტერესებულა. არც არავის სურს ისეთი ფეხბურთელის შეძენა, რომელსაც ფეხი როდის გადაუბრუნდება, არ იცი-ან. კარიერას ალბათ ისევ „ბათუმში“ დავამთავრებ, მშობლიურ ქალაქში.

— კარგია, სხვებივით გაქცევაზე რომ არ გიჭირავს თვალი. ახლა ეგ თქვი, გუნდში ახალგაზრდები რომ მომრავლდნენ, კონკურენციის არ გეშინია?

— ჯერჯერობით არაფრის მეშინია. ვგრძნობ, ჩვენი პირობებისთვის ნორმალურად ვთამაშობ. მთავარი ისევ ტრავმებია. თუ არაფერმა შემაწუხა, კიდევ შემიძლია გუნდისთვის სარგებლობის მოტანა. თუ დავუძლურდი, ვარჯიშიც აღარ შემეძლება, უკვე სხვა საქმეა. ისე, კარგია, კონკურენცია რომ არის, ისეთ გუნდს რა ვუთხრა, სადაც ფეხბურთელს ძირითადში ადგილი გარანტირებული აქვს.

— გუნდზეც ვთქვათ. ახალმა პრეზიდენტმა ჩემპიონობაც და თასიც დაგისახათ მიზნად. შეგწევთ კი ძალა პირველობისა?

— აღარ მგონია, ჩემპიონები გავხდეთ. ვიბრძოლებთ, როგორ არა, არაფერს დავიშურებთ, მაგრამ „დინამო“ ასეთ შანსს ხელიდან არ გაუშვებს. მეორე ადგილისთვის კი დიდი ამბებია მოსალოდნელი. ბევრი გუნდი შეგვეცილება ვიცე-ჩემპიონობას, მაგრამ ჩვენი სიძლიერე ჩვენვე უნდა დავამტკიცოთ.

— თასის ნახევარფინალზე რას იტყვი? ისევ ტრადიციულ ფინალს ველოდოთ?

— ჩვენ მზად ვიყავით ნახევარფინალში „დინამოსთან“ სათამაშოდ. ყოველ შემთხვევაში, განწყობა ისეთი გვქონდა, თითქოს „დინამოს“ ვხვდებოდით. კარგია, მათ რომ ავცდით, ახლა ჩვენ ვიცით. მგონი, ტრადიციული ფინალი გველის.

— და 26-ში ისევ წაგებას აპირებთ?

— წასაგებად არავინ თამაშობს, მით უმეტეს ფინალში. ვეცდებით, იქნებ როგორმე ნავსი გავტეხოთ, მაგრამ იქამდე ფინალში გასვლაა საჭირო.

— ოქნებ შენ მაინც გვიპასუხო, რა გუნდია „ბათუმი“? შეუძლია „დინამოს“ მოუგოს, აუტსაიდერთან კი...

— საუბედუროდ ასეა. გამარჯვების შემდეგ რატომღაც დამშვიდებულები ვართ, გვგონია, ყველას მოვუგებთ. ალბათ მონდომება გვაკლია. შეიძლება კლასით უფრო მაღლა ვიდგეთ, მაგრამ მარტო ამის ხარჯზე ვერაფერს მივაღწევთ.

— მოკლედ, ისევ „ბათუმში“ დარჩები და ის მეოთხე მენისკი აღარ შეგაწუხებს.

— ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, კარგია. მე საერთოდ ყველაფერს ჯანმრთელობა მირჩევნია. უკეთეს მომავალს ველოდები, დავრჩები ზღვისპირეთში და აღრე თუ გვიან ჩემპიონობისთვის გავემზადები.

ძოზა ინასარიძე

გიო ახვლედიანის

ეროვნული სვეტია

სადა ხარო, ქალაქელო ფანებო?

აი, გაზაფხული მოვიდა, მეორე წრის უმთავრეს ორთაბრძოლად დასახული „დინამო“ — „ტორპედო“ კი მცხეთაში გაიმართა. იქ, სადაც არსაკიძეს, ასე ვოქვათ და ... მაგრამ ეს ლეგენდაა.

ჩვენ კი ლეგენდა ფეხბურთში გვჭირდება, რადგან ასეა, გულშემატკივარმა უკან უნდა მოიხედოს და თქვას, შვიდი წლის წინ „ხიონსა“ და „მორკინალს“ შორის დაუვიწყარი თამაში გაიმართა. ეჰ, ახლანდელი თამაში იმასთან ვერ შევა, მაგრამ თავისებურად ესეც მაგარიაო.

მოკლედ, ჩვენი „რეალ“-„ბარსა“ გვჭირდება.

შინაური „რეალი“ ვეგებ როგორღაც გამოვძებნოთ, მაგრამ მეორეს სანთელი უნდა, ასე ვთქვათ, დიოგენი.

პაიჭაძის საზელობის მინდორზე ბალახია დათესილი. „დინამო“ მცხეთაში თამაშობს.

და სად არიან „დინამოს“ ქომაგები? პასუხი ნათელია, „დინამოს“ ქომაგები შინ არიან.

მოვა შემოდგომა, დაგვეჯახება რომელიმე „ვაალვაიკი“ და პაიჭაძე-გრაუნდიც შეიქნება. „დინამო“, „დინამო“ და მთელი ამბავი შეიქნება, პროგრამები გაიყიდება და მოკლედ სტადიონი სტადიონს დაემსგავსება.

მაგრამ განა ეს არის კლუბთან ძმობა?

აგერ მეორე დივიზიონისკენ უჭირავს გეზი ჩვენს ბედკრულ „სატის“ და ყოველ გასვლით თამაშზე ბარე ეჭვი ათასი კაცი დაჰყვება, „მეინ როუდს“ კი სასახელოდ ჭედავს.

თუმცა, ეს შორეული მზარეა და მაგალითად თუ გამოდგება.

ჩვენს ქვეყანას უკვე ჰყავს შინაური ქომაგები.

აგე ჭუთაისელთა ფანობა ავტობუსებით, დროშა-ბუშტებით და სიმღერა-სიმღერით დაჰყვება გუნდს. და ვინ არ იცნობს დაუცხრომელ ბოლნისელ ფანებს, რომლებსაც სახელგანთქმული ალა მეთაურობს? ანდა თბილისის „შერანის“ გარეუბნელ ქომაგებს? და ზუგდიდს ხომ ყოველთვის ჰყავდა ერთგული და კარგად ორგანიზებული ფანობა.

ეს საუცხოო რამ არის ჩვენი ფეხბურთისთვის, რადგან სანამ არსებობს ფანი, ფეხბურთიც ცოცხლობს.

ყოველივე ამის ფონზე არსად ჩანს თბილისის „დინამოს“ ფანობა. სეზონის ერთ-ორ საერთაშორისო თამაშს თუ არ ჩავთვლით, „დინამოს“ საცქერლად თითქმის არავინ, უფრო სწორად კი, ძალიან ცოტა ხალხი დაიარება. ხოლო ის საქმე, რასაც „ფანობა“ ჰქვია, „დინამოსთან“ მიმართებაში საერთოდ არ არსებობს.

რა თქმა უნდა, გასაგებია:

„დინამოს“ გულშემატკივარი განებივრებულია დიდი ფეხბურთით, მას გული საერთოდ თამაშისკენ თუ მიუწევს. თანაც, აბა რა ფანობა დასჭირვებია „დინამოს“, როცა ჩემპიონატს და თასს ისედაც იგებსო, ფიქრობს ახალგაზრდობა.

ეჰ, განა „ლივერპულს“ არ მოუგია ტიტული ხუთჯერ და ექვსჯერ ზედიზედ? ანდა „იაქსს“ და მადრიდის „რეალს“? განა ამათ ფანებს უდიადესი საერთაშორისო გამარჯვებები არ უხილავთ? აბა, „ეწყინდა“ დაცარიელებულა, „დე მეერი“ თუ „ბერნაბეუ“?

განა გუნდის სიცარიელე და ერთგულება მხოლოდ მისი გამარჯვებით გამოწვეული სიხარულია? ეგ, ისე, ფეხბურთის არამხარულ კაცსაც გაუხარდება. მაგრამ რა გინდა რომ ქნა? ჯობით ხომ არ შეიქნა ხალხს სტადიონზე

პაიჭაძეზე მშვენიერი ფანური შარფები იყიდება. „თბილისის დინამო. კავკასიის საუკეთესო გუნდი“ — ასე აწერია იმ შარფებს და მოვა დრო, სხვა რამეც დაეწერება, უფრო დიდი და შთამბეჭდავი, მაგრამ ის ხალხი, ვისაც ეს შარფები უნდა ეკეთოს, არ ჩანს.

იმის გულისთვის, რომ ჩემპიონს ფანები გაუჩნდნენ, ჩემპიონი ველარ უნდა გახდეს?

ეჰ, ღმერთმა იცის ეს ამბავი.

ისე კი, აბა ჩადი და ბოლნისური პუბლიკის წინაშე ითამაშე ან იმსავე განა აღვილია?

ვერავინ იტყვის ამას, ვერც „დინამოს“ ფეხბურთელები და ვერც სხვანი.

ჯერჯერობით „დინამო“ ხმაურის გარეშეც წვდება მოწინააღმდეგეებს. როგორც შემიტყვია, მისი სახელი, ერთი-ორი გუნდის გარდა, ყველაზე დამთრგუნველად მოქმედებს. მაგრამ მოვა დრო და „დინამოსაც“ დიდად წაადგება თავისი ადა და მისი ლაშქარი.

ეგეც არ იყოს და, რატომ შემოაველეს მინდორს ტრიბუნები?

მგონი, ეს საიდუმლო არ უნდა იყოს.

მეტალურგები სართ თქვენცა და ჩვენცა

რუსთავი
„ფოლადი“
2 აპრილი

რუსთავი 3:0 მარგვეთი

რუსთავი: მ. ქორიძე, მენთეშაშვილი, ზ. გვაზავა, კუდინოვი, მ. სახვაძე (ლაბაძე 75), ბ. შენგელია, ცომაია, ბოკერია (დ. არჩვაძე 68), ჩუხუა (გ. მიქაძე 81), ყიფიანი, კ. ალადაშვილი

მარგვეთი: ნიქაბერიძე, კაკაბაძე, გურიელიძე, ფანია, ღონღაძე, კაციაშვილი, სულაკაძე, თ. გაბრიჭიძე, მუშლაძე (მალაღურაძე 46), მაღრაძე, შავგულიძე (ქურციკიძე 66)

1:0 ჩუხუა (55), **2:0** ჩუხუა (75), **3:0** გურიელიძე (88წ.კ.)

მაყურებელი: ყიფიანი

მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

ვახტანგ ბზიკაძე რუსთავიდან

გუშინწინ მეტალურგთა დერბი შედგა. გარდა იმისა, რომ ორივე გუნდი მეტალურგიული ქალაქიდანაა, სხვაც ბევრი აქვთ საერთო. აქამდე „რუსთავი“ და „მარგვეთი“ ცხრილშიც საკმაოდ ახლო მეზობლები იყვნენ. მაგრამ ესაც რომ არა, ან ერთს ან მეორეს შარშანწინდელ დრამატულ მატჩს რა დაავიწყებთ. ზესტაფონელებს ამქვეყნად თუ რამე ეშინებათ, რუსთავში მოგებული მატჩით უეფას თასზე გასვლაა. რუსთაველებს კი მაშინდელზე დიდი სირცხვილი ჯერ არ შეუმთხვევიათ, გუნდს ევროტურნირის საგზურის მოსაპოვებლად საშინაო თამაშის მოგება კმაროდეს და წააგოს? ეს წარსულია, არც ისე შორეული. უახლესი წარსულიდან საგულისხმო ეს იყო — პირველ წრეში „მეტალურგში“ მოთამაშე გურიელიძე და გაბრიჭიძე გუშინ ორად-ორმა რუსთაველმა მოიკითხა. „რუსთავის“ ძირითადში მეტი ძველებური არც დარჩენილა, ერთიანად გადახალისებულ შემადგენლობას ეტყობა ფიზიკური მზადყოფნა, მაგრამ ახალგაზრდებს გამოცდილება, შეთამაშება აკლიათ.

ტური არ ჩაიელის, „რუსთავმა“ მორიგი დებიუტანტი არ ითამაშოს. ცხადია, ჯგუფში დასარჩენად მებრძოლი გუნდის ასეთი საქციელი კარგი ცხოვრებით არაა ნაკარნახევი. დალხენილი არც „მარგვეთია“, მაგრამ მათ სტაბილური ბოლო ადგილი ცხრილში ახალგაზრდათა გამოცდის საშუალებას უფრო აძლევთ.

ხუთშაბათს მარგველნი უმწვრთნელოდ დარჩნენ. არა, ზაურ ჩუბინიძე არავის დაუთხოვია. უბრალოდ, თამაშამდე გაციებულა და სიცხიანი რუსთაველი გუნდს ვერ გაუძღვა. და მაინც, ასეთ დღეში მყოფმა „მარგვეთმა“ მასპინძლებს საკადრისი წინააღმდეგობა გაუწია, ეგებ არც წაეგო, რომ არა მსაჯის შეცდომა.

„რუსთავი“ სტუმარს კი სჯობდა, მაგრამ გააჩნია, რაში. „მარგვეთმაც“ გვარიანად იბრძოლა და თუ ორთაბრძოლებს აგებდა, ეგ არაფერი. მოგება ხომ გატანაზეა. ვატანით კი მასპინძლებმა მანამ ვერ გაიხარეს, ვიდრე მსაჯებმა ჩუხუას თამაშგარედან დარტყმა არ დააცალეს.

ზოგისგან მოვისმინე, რაღა მნიშვნელობა აქვს, „მარგვეთი“ გავარდნილია და „რუსთავმა“ მაინც იხეიროსო. ერთი, რომ „მარგვეთი“ ჯერ თეორიულად არც გავარდნილა. მეორეც, ნებისმიერი გუნდი ჩემპიონატს იმიტომ ასრულებს, რომ ვიღაცას წინააღმდეგობა გაუწიოს, მოუგოს, დაუზავდეს ანაც წააგოს. და თუ რომელიმე უკვე დაქცეულია, წაქცეულს წიხლს რაღად აჭერენ?

უსამართლობამ სტუმრები გატეხა, მასპინძლებს გოლმა რწმენა შეამატა. მაინც კი ნიქაბერიძე შენგელიას სხვაგვარად ვერ აჩერებდა

ულიმღამოდ, შეცვლა-შეცვლაში მიილია მატჩი. მხოლოდ აქტიურ ბესიკ შენგელიას და კარგ კომბინაციას მოყოლილ ჩუხუას გოლს თუ გამოყოფდა კაცი.

ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲰᲤᲐᲠᲕᲘᲓᲔ ᲚᲘᲒᲐᲡ

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲤᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ 4:1 ᲛᲝᲜᲐᲙᲝ

ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ: პერუცი, ტორიჩელი (კონტე 57), იულიანო, მონტერო, პესოტო (ბირინდელი 46), დი ლივიო (ტაკინარდი 65), დელ შამპი, ზიდანი, დვვიდსი, ინძაგი, დელ პიერო

ᲛᲝᲜᲐᲙᲝ: მარკეზი, სენტოლი, კონჯინი, კრისტენვალი, მარკინი, დიავარა, ჯეტუ, პინოლი (და კოსტა 40), ბენარბია (კარნო 73), ტრეზეგე, იკპბა

1:0 დელ პიერო (34), 1:1 და კოსტა (45), 2:1, 3:1 დელ პიერო (453, 623), 4:1 ზიდანი (88)

— დღესდღეობით „იუვენტუსი“ მსოფლიოს უძლიერესი კლუბია. ამაში ეჭვი წამითაც არ შემეპარება. მარჩელო ლიპპი უდავოდ უწია სრულყოფილებას, იმას, რაზეც ნებისმიერი ქვეყნის კლუბების მწვრთნელები ოცნებობენ — ამგვარად საუბრობდა ტურინელთაგან განადგურებული „მონაკოს“ მწვრთნელი ჟან ტიგანა მოწინააღმდეგეზე და მეტოქის ფეხბურთისგან მინიჭებულ განცვიფრებას სრულიადაც არ მალავდა. იმას ხომ ვერ ვიტყვით, ტიგანას „მონაკოს“ დამარცხება გაუხარდაო, მაგრამ კაცი გულახდილი იყო, „იუვენტუსისა“ და „მონაკოს“ ძალთა შეფარდებას ობიექტურად აფასებდა. ფეხბურთში გამობრძმედილ ტიგანას იტალიელთა ძლიერი თამაში ან კი როგორ არ მოხიბლავდა?

„დელე ალპიზე“ მასპინძლები თამაშობდნენ ეულად, მეტოქე მათი ძლევამოსილებისთვის მხოლოდ ხელის შეშლას ცდილობდა, თუმცა ამაოდ. „იუვენტუსი“ უდავოდ ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე. ფრანგთა ჩემპიონი ურიგო გუნდი სულაც არაა, პირიქით, ასეთი პრესტიჟული ტურნირის ნახევარფინალში რომ ასპარეზობ, ეს უკვე ძლიერებაზე მიუთითებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეტოქესთან შედარებით „მონაკოს“ ჩამორჩენა თვალშისაცემი გახლდათ.

— ჩემი აზრით, გადამწყვეტი მეორე გოლი აღმოჩნდა. შესვენებაზე ტოლ-სწორად რომ გავყრილიყავით, სტუმართა ძლევა უფრო გამიჭირდებოდა, შეიძლება „მონაკო“ ვერც დავემარცხებინა. არა, დელი პიეროს პენალტმა მეტოქეზე დამღუპველად იმოქმედა. ჩვენთვის კი პირიქით, ფსიქოლოგიურად სასიკეთო ბიძგი გამოდგა — იტყვის ტურინელთა მცველი ჯანლუკა პესოტო და მართალიც იქნება. მაგრამ, სამწუხაროდ, ოთხშაბათს საღამოს პესოტო სიზუსტეს უფრო მატჩისშემდგომ საუბარში იჩენდა, ვიდრე მოედანზე — ფრანგებმა ხომ ანგარიში მისი შეცდომის წყალობით გააყალბეს.

–ევროთასებზე ხანგრძლივი ასპარეზობის მანძილზე ნახევარფინალებში „იუვენტუსი“ შეიდჯერ გადაეყარა ფრანგულ კლუბებს, მაგრამ აქამდე არ მომხდარა, ტურინელთ მათი წინააღმდეგობა ვერ დაეძლიოთ. შეხვედრამდე ბევრი ამ შესანიშნავი მაჩვენებლის დასასრულს ელოდა, მაგრამ ისინიც კი დარწმუნდნენ მარჩელო ლიპის რჩეულების ძლიერებაში, ვისაც ჟან ტიგანას და მისი ამჭრის ძლევამოსილების სჯეროდა — ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში იმარჯვო სამი ბურთის სხვაობით, ეს მართლაც დიდი მიღწევაა. მართალია, ტურინელებმა ბარტეზის კარში გატანილი ოთხი გოლიდან ორი პენალტით შეავდეს, მაგრამ ჯერ ერთი, ორივე შემთხვევაში თერმოტეტმეტრიანი საჯარიმო მათ თავდასხმებს მოჰყვა, მეორეც, პენალტი თითქმის გოლი კია, მაგრამ თუ ზუსტად არ გაისარჯე, ვერ გამოიყენებ და მორჩა. ისე კი, როგორი მეტოქეც არ უნდა გყავდეს, რა გათამაშებაშიც არ უნდა მონაწილეობდე, ოთხ ბურთს შეგდება უნდა. გოლებს გულხელდაკრეფილი ვერ გაიტან. „იუვენტუსი“ უძლიერესად უტევდა.

33-ე წუთზე მონაკოელთა მცველი მარტინ ჯეტუ, რომელმაც საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრის უკანასკნელ წამებზე ბრწყინვალე „მარატელათი“ „მონაკოს“ გამარჯვება განაპირობა, ბარტეზის კარის მისადგომებთან მასსავით ფრანგ, ოღონდ ამავდროულად ტურინელთა ნახევარმცველ ზინედინ ზიდანს უხეშად ეთამაშება და ერთი შეხედვით მეტად სახიფათო ჯარიმა ინიშნება. მატჩის შემდგომ დელ პიეროსგან სამჯერ დალახვრული ფაბიენ ბარტეზი იტყვის — იმ მომენტში (ჯეტუს მიერ ზინედინის წაქცევა იგულისხმება) გულმა ცუდი მიგრძნო, ვაგლახ, წინათგრძნობა რომ ამისრულდაო. სტუმართა მეკარეს ავი გულისთქმა აუხდა — ალესანდრო დელ პიეროს ულამაზესი ჯარიმა შეაგდო. ბარტეზი მართალია თითებით შესწვდა ბურთს, მაგრამ მეტი ვერაფერი იღონა.

ზინედინ ზიდანი რომ უნიჭიერესი ფეხბურთელია, ცნობილია, მაგრამ ეს მან თანამემამულეებთან თამაშში კიდევ ერთხელ დაამტკიცა — „მონაკოს“ კარში გატანილი ოთხი გოლიდან სამი უშუალოდ ექსპონირებული ზინედინის მონაწილეობით გაუდა. პირველზე ზემოთ ვთქვით, რაც შეეხება დანარჩენ ორ შემთხვევას, ეს იტალიელთა მეორე და მეოთხე გოლებისას მოხდა. შესვენებამდე დელ პიერომ კვლავ რომ დააწინაურა თავისიანები — ეს სწორედ საჯარიმოში შეჭრილ ზიდანზე ბარტეზის წესებით აკრძალული თავდასხმის შედეგი გახლდათ. სულ ბოლოს კი ზინედინმა გაწამებული მონაკოელები თავიდანვე დასჯა. სხვათა შორის ეს გოლი „იუვენტუსისთვის“, ევროთასებზე მონაწილეობის მანძილზე, საიუბილეო მეხუთასე გამოდგა.

— დღევანდელი შედეგი უდავოდ ლოგიკურია. ჩვენ გვწამდა ჩვენი შესაძლებლობების და მხოლოდ ერთი რამ, გამარჯვება გვეწადა. რწმენამ ძალები გაგვიორკეცა, საქმიანადი სერიოზულმა მიდგომამ კი ნაყოფი გამოიღო. საპასუხო შეხვედრის წინ საკმაო უპირატესობა მოვიპოვეთ — ვფიქრობ, შევძლებთ, ვუწიოთ ფინალს — გამარჯვებულთა თავკაცი მარჩელო ლიპი მტკიცედ კი საუბრობდა, მაგრამ მეტოქის განადგურებით გამოწვეულ სიხარულს სახეზე არ იტყობდა.

თითქმის მეხუთე წელია, ლიპი „იუვენტუსს“ თავკაცობს და ტურინელი ზებრებისთვის წარმატება მუდმივი თანამდევია — მისი თავკაცობით „იუვენტუსი“ ყოველ სეზონში მინიმუმ ორ პრესტიჟულ ტიტულს იხვეჭს. ოთხშაბათს „იუვენტუსი“ სხვა ბევრ რეკორდთან ერთად კიდევ ერთის მფლობელი გახდა — გუნდმა 1994-95 წლების სეზონიდან მოყოლებული ევროტურნირებზე ზედიზედ 43-ე შეხვედრა გამართა ეტაპის გამოუტოვებლად. აქამდე რეკორდსმენი 90-იანი წლების „მილანი“ გახლდათ.

...ერთი წამით დავფიქრდეთ და წარმოვიდგინოთ, რომ შარშან, აწ უკვე გასრულებული ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში „იუვენტუსმა“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძლევა ვერ მოახერხა და მეოთხედფინალის „რუსენბორგმა“ უწია. საეჭვოა, ნორვეგიელთ შემდგომ ეტაპზე ლობანოვსკის და მისი კარგად დაზეთილი მანქანის — კიევის „დინამოს“ ძლევა მოეხერხებინა. იქნებოდა ოთხშაბათს ფეხბურთი ისეთივე ლაღი და ლამაზი უკრაინელთა შესრულებით? ძალიან საეჭვოა. ვგონებ, ლიგა ღმერთმა დაიფარა.

ᲠᲔᲐᲚᲘ 2:0 ᲓᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘ

რეალი: ილგნერი, რობერტო კარლოსი, სანსი, სანჩისი, პანუჩი, რედონდო, კარემბუ, რაული, ზეედორფი, მორიენტესი (სანჩესი 88), მიატოვიჩი (შუკერი 51)

დორტმუნდი: კლოსი, რაინჰარდტი, ჟულიო სეზარი, ბინდი, კრუე, რეიტერი, ბუტი, რიკენი (ცორკი 81), ფროინდი, ჰერლიხი (დუშეიცერი 46), შაპუიზა

1:0 მორიენტესი (24), 2:0 კარემბუ (68)

— უეფაში აუცილებლად განვაცხადებ პროტესტს. ის, რაც დღეს მადრიდში მოხდა, უეფას კანონებს ეწინააღმდეგება. ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ — დორტმუნდელთა პრეზიდენტი გერდ ნიბაუმი გაცხარებული იყო. მანვე ისიც დასძინა, სანამ მატჩი დაიწყებოდა, მარიო ვან დერ ენდეს (მსაჯი) ეუთხარი, შეხვედრას ვაპროტესტებ-მეთქი, მაგრამ მან მომიგო, თავად ვერაფერს გადავწყვეტ, უეფას წერილობით უნდა აცნობო, მომხდარის ოფიციალური გამოძიება რომ დაიწყოსო.

ნიბაუმმა უეფას მადრიდში გადატეხილი კარის ამბავი ოფიციალურად მართლაც აცნობა, მაგრამ, საკმაოდ საფუძვლიანი პროტესტის მიუხედავად (სათადარიგო კარი, უეფას წესდების თანახმად, მატჩის მასპინძელი სტადიონის ტერიტორიაზე უნდა გამოიტანონს, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადატეხილი კარი კი ესპანელებმა სხვა არენიდან მოტანილით შეცვალეს) საეჭვოა, შეხვედრის შედეგი გაუქმდეს და გადათამაშება დანიშნონ.

მაინც რა ხალხია ეს გულშემატკივრები. ხანდახან ვნებები ისე მოაწვებათ, თავიანთ რჩეულთა ინტერესებს არად დაგიდევენ. განა გუშინ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ასე არ მოხდა? — ქომაგებს, რომლებიც მატჩის მოლოდინში ადგილს ვერ პოულობდნენ, დამცავმა ზღუდეებმა ვეღარ გაუძლო და დაიმტვრა, რკინებზე მიბმულმა კარის ბადემ კი შესაბამისად ჩონჩხი დაჩაჩა, აქ ძელებმა ვერ გაუძლო და გადატყდა. ისე, რამდენიმე გულშემატკივარიც დაშავდა.

აი, მერე დაიწყო, რაც დაიწყო — ჯერ იყო და სტადიონის მოხელეებს მოეჩვენათ, ყველაფერს იოლად მოევლებაო და საქმეს ზერელედ მოეკიდნენ — მატჩის დაწყებამდე ხომ კიდევ რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი, მაგრამ მერე, როცა ხეირიანი ვერაფერი მოიმოქმედეს, ცივმა ოფლმა დაასხათ. ამაოებაში მინდორზე მეტოქენიც გამოჩნდნენ, თუმცა დიდხანს იცადეს თუ ცოტა, კვლავ გასახდელში გაუჩინარდნენ. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, საათითა და 15 წუთით.

მალე კარის ნარჩენებთან მოფუსფუსე მუშებს კოსტუმიანებიც შეუერთდნენ, დაიწყეს სჯა-ბაასი, პრობლემის მოგვარების გზებს ეძებდნენ. შესაძლოა, საქმის შემსწავლელი კომისიის გამოყოფა და კარის მტვრევის გამომწვევი მიზეზების დადგენაც გადაწყვიტეს, მაგრამ კამათში გართულთ საიდანღაც მოტანილმა მთელმა კარმა დროზე მიუსწრო — „სანტიაგო ბერნაბეუზე“ საფეხბურთო მატჩისთვის აუცილებელი ყველა კომპონენტი ადგილზე იყო და შეხვედრაც მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც შედგა.

ანდრეას მიოლერი, იორგ ჰაინრიხი, იურგენ კოლერი, კარგა ხნის ტრავმირებული მატიას ზამერი — ოთხშაბათს ნევიო სკალას გუნდს სწორედ ესენი, ლიდერები აკლდნენ, ფეხბურთელები, რომლებიც „ბორუსიის“ თამაშს სათადარიგოს გახდიდნენ. „ბორუსიას“ შესუსტებული შემადგენლობით ადრეც უთამაშია და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ფავორიტებად შერაცხულნიც დაუმარცხებია, მაგრამ მადრიდში მათ, უბრალოდ ძალა არ ეყოთ.

— სწორ გზას ვადგავართ. ვფიქრობ, შევძლებთ, ვუწიოთ იმას, რაც „რეალისთვის“ აგერ უკვე 17 წელია, ოცნებად ქცეულა (ჩემპიონთა თასის ფინალში მადრიდელებმა ბოლოს 1981 წელს ითამაშეს „ლივერპულთან“ — 0:1) — მატჩის გმირი ფერნანდო მორიენტესი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ესპანეთის ნაკრებში დებიუტი შეედების კარში შეგდებული ორი გოლით აღნიშნა, ემოციებს ვერ იოკებდა.

— ჩემი აზრით, გერმანელებს გაუჭირდებათ, ორბურთიანი დეფიციტის დაფარვა. ორი გოლის გაათილება „რეალზე“ გაცილებით სუსტ გუნდებთან ჭირს და ჩვენთან რა იქნება, ხომ წარმოგიდგენიათ — თქვა მადრიდელთა ერთ-ერთმა ბოლო შენაძენმა კრისტიან კარემბუმ.

ზემოთ იმ ორი მადრიდელი მოთამაშის აზრი გაგაცანით, რომლებმაც შექმნეს და გაიტანეს „რეალის“ ორი გოლი. ის ბურთები, რომლებმაც შესაძლოა ესპანელთ ჩემპიონთა ლიგის ფინალისკენ გაუხსნას გზა, გზა, რომელიც 17 წლით იყო დაკეტილი ევროპის ყველაზე პრესტიჟული თასის ექსკლუზის მფლობელთათვის.

ᲚᲐᲖᲐ ᲒᲝᲓᲣᲐᲫᲔ

ᲐᲚᲑᲘᲝᲜᲖᲔ ᲜᲘᲨᲚᲘ ᲒᲐᲘᲤᲐᲜᲢᲔᲑᲐ

UEFA Cup Winners' Cup

ᲗᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲕᲘᲩᲔᲜᲪᲐ 1:0 ᲩᲔᲚᲡᲘ

ვიჩენცა: ბრივიო, ვივიანი, ბელოტი, დიკარა, მენდესი, ამბროზეტი (სტოვანი 73), ამბროზინი, დი კარლო, შუნარდი (ბეგუტო 73), ლუიზო, ზაული (ფირმანი 87)

ჩელსი: დე გუი, კლარკი, დაბერი, ლებეფი, ლე სო, პეტრესკუ (ტ. ფლო 59), უაიზი, ნიუტონი, დი მატეო, ძოლა (მორისი 89), ვიალი

1:0 ზაული (15)

— შედეგმა ძალიან გამახარა, გარკვეულწილად ჩვენმა თამაშმაც. საპასუხო შეხვედრის წინ იმედიანად ვიქნებით. მთავარია, ჩვენს შესაძლებლობებში რწმენა არ შეგვერყას. ისე კი ეფექრობ, შეგვწევს ძალა, ლონდონელებს გავცდეთ — „ვიჩენცას“ მწვრთნელ ფრანჩესკო გუიდოლინს გამარჯვებამ ფინალში გასვლის იმედები გაუღვივა.

მოიგებს თასების მფლობელთა თასს „ჩელსი“? მეოთხედფინალების შემდეგ ამ რეპუტაციაშელახული გათამაშების უპირველეს ფავორიტად სწორედ ლონდონელები მიიჩნეოდნენ — მათ მიერ „პეტისის“ ორჯერ ძლევა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელობა გახლდათ, მაგრამ ამჯერად „ჩელსის“ თამაშს სასურველი ნამდვილად არ ეთქმოდა. ინგლისური გუნდი, უფრო სწორედ კი ინტერნაციონალური „ჩელსი“ უღიმღამოდ ირჯებოდა, პირველ ტაიმში კი მისი ფასი სულაც კაპიკი იყო.

— იტალიაში ვთამაშობდით და ეს ჩვენზე გარკვეულ ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენდა. ძნელია, როცა ორიასამი წელი უცხოური კლუბების ღირსებას იცავ, უცებ კი თანამემამულეებს უპირისპირდები. მიუხედავად ამისა, ეს „ჩელსის“ საშინელი თამაშის გამართლება არ არის, ჩვენ მართლაც ცუდად გამოვიყურებოდით — სტუმართა მოთამაშე-მწვრთნელ ჯანლუკა ვიალის ხასიათი ერთობ წახდენოდა. სამშობლოში ჩასვლამდე ომახიანი ტონით საუბრობდა, ფინალში გასვლა ძალვეძს, „ვიჩენცა“ ის გუნდი არაა, „ჩელსისთვის“ გადაულახავი ბარიერი რომ გახდესო, მაგრამ მწვრთნელობაში ახალბედა „დონ ლუკას“ ნაფიქრალი არ აუხდა — იტალიის თასის მფლობელებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

ის, რომ მასპინძლები მეტოქის შებოჭვას თავიდანვე ეცდებოდნენ, ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ რახან ვიჩენცაში „ჩელსი“ თამაშობდა, იტალიელებს სტუმართა უცაბედი დაჩაგვრა, ცოტა არ იყოს, აეჭვებდათ. მასპინძელთა გასახარად, ინგლისელებმა ცუდად ითამაშეს, ეს კი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, იტალიელებს დე გუის კარზე მასირებული შეტევები რომ წამოეწყოთ. სანამ გოლი გაეიდოდა, სტუმართა კარის ჰოლანდიელმა დარაჯმა ორჯერ მოასწრო გუნდს ხიფათიდან დახსნა, გარდა ამისა, ათამდე დარტყმული მოიგერია. ისე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „ჩელსის“ დაცვა შეუთამაშებლად მოქმედებდა, თანაგუნდელები ერთმანეთს ვერ უგებდნენ, რის გამოც „ვიჩენცას“ თავდასხმები უფრო და უფრო სახიფათო ხდებოდა. „ჩელსი“ ვერც წინახაზელთა მოქმედებით დაიკვეხნიდა — ვიალის შხარში თანამემამულე ჯანფრანკო ძოლა ამოეყენებინა, მაგრამ ამათი თამაშიდან გამოთიშეა მასპინძელთა მცველებს — დეკიდ ბეკლოტის და ჯაკობო დიკარას სრულადაც არ გასჭირვებიათ. ვერც „ჩელსის“ მესამე იტალიელი, რობერტო დი მატეო ირჯებოდა სათანადოდ — მან გაფრთხილებაც მიიღო და ორ კვირაში „სტემფორდ ბრიჯზე“ საპასუხო შეხვედრას გამოაკლდება.

— დანაკლისი მართლაც სამწუხაროა. რობერტო ხომ იმათგანია, ვისაც გოლების შექმნაც ძალუძს და გატანაც. შესაძლოა მისმა არყოფნამ ნახევარდაცვაში გარკვეული პრობლემებიც შეგვიქმნას, მაგრამ „ჩელსი“ მხოლოდ ფინალში გასასვლელად იბრძოლებს — ვიალის ბოლო სიტყვა მაინც ოპტიმისტური გახლდათ.

... „ჩელსმა“ ევროთასი ბოლო 1971 წელს მოიგო, „ვიჩენცას“ კი ევროტურნირებზე აქამდე მხოლოდ ერთხელ უასპარეზია და მაშინაც პირველივე ეტაპზე გამოეთიშა გათამაშებას.

ᲨᲢᲣᲢᲒᲐᲠᲢᲘ 2:1 ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ

შტუტგარტი: ვოლფარტი, სპენრინგი, ბურტოლდი, ვერლაატი, მუ. იაკინი, მა. იაკინი (ლიშტვეი 69), ბალაკოვი, ბობიჩი, აკპობორი, პოშნერი, სტოიოვსკი (ბაბარი 46)

ლოკომოტივი: ნიგმატულიანი, სოლომატინი, დროზდოვი, ხარლამოვი, არიფულინი, ჩუგაინოვი, გურენკო, ჩერევჩენკო, გარასი (სმირნოვი 53), ჯანაშია, კოსოლაპოვი (მამინოვი 53)

0:1 ჯანაშია (23), 1:1 აკპობორი (43), 2:1 ბობიჩი (90)

23-ე წუთი. „ლოკომოტივის“ ქართველი თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია თანაგუნდელისგან ბურთს იღებს, ზურგსუკან შყოფ სპენრინგს იშორებს და უძლიერესად არტყამს. შტუტგარტელთა მეკარე ვოლფარტი ბურთს მარჯვენა კუთხეში ელის, იგი კი მისგან მარცხნივ შეევარდება — 0:1. დასაწყისისთვის ეს არცთუ ურიგო შედეგია.

პირველ ტაიმში რუსეთის თასის მფლობელები კარგად თამაშობდნენ, ერთი შეხედვით ძლიერ მეტოქეს ტოლს არ უდებდნენ, თუმცა შესვენებამდე გათანაბრებულმა ანგარიშმა მათ თამაშს მეორე ნახევარში შესამჩნევი ღალი დაასვა.

— შესვენებამდე ორიოდ წუთით ადრე გაშვებულმა ბურთმა მორალურად დაგვცა. დარწმუნებული ვარ, ტაიმი რომ მოგვეგო, ამ შეხვედრას აღარ წავაგებდით. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ასე არ მოხდა — იური სიომინი, რუსთა თავკაცი დანაღვლიანებული ჩანდა. სამაგიეროდ, მის გერმანელ კოლეგას, იოახიმ ლეუს სიხარულისგან ფრთები შესხმოდა:

— ბოლომდე ვიბრძოლეთ და შეხვედრის ჩვენს სასარგებლოდ დასრულება სწორედ ტაიმების ბოლო წუთებზე შეგდებული გოლებით მოვახერხეთ. საპასუხო შეხვედრისთვის დღევანდელი მოგება მართლაც საჭირო გახლდათ.

რა იქნება ორი კვირის შემდეგ მოსკოვში? გადალახავს „შტუტგარტი“ რუს რკინაგზელთა ბარიერს? ძნელი სათქმელია. გადაჭრით ვერაფერს იტყვი, რაც არ უნდა იყოს, დღეს „შტუტგარტი“ აშკარად არაა კარგი გუნდი.

— ეს ცალკეული მოთამაშეების გამარჯვება კი არა, მთლიანად „შტუტგარტის“ წარმატებაა — იტყვის მასპინძელთა თავდამსხმელი ფრედი ბობიჩი. იგი სავსებით მართალი გახლდათ. გამარჯვება „შტუტგარტის“ ფეხბურთელთა ერთიანმა სულისკვეთებამ, გუნდურმა თამაშმა განაპირობა და არა კონკრეტულად ერთი-ორი ფეხბურთელის გონივრულმა მოქმედებამ.

...1989 წელს „შტუტგარტმა“ ჯერჯერობით პირველად და უკანასკნელად მიაღწია ევროთასების გათამაშების ფინალს. მაშინ, უეფას თასის ბოლო ეტაპზე, გერმანელები დიეგო მარადონამ და მისმა „ნაპოლიმ“ დაამარცხეს.

ᲚᲐᲖᲐ ᲒᲝᲓᲣᲐᲫᲔ

REUTERS ვიჩენციდან

იუვენტუსი — მონაკო. ჯეტუს (მარცხნივ) ზიდანი რომ არ წაეჭცია, დელ პიეროს ანგარიშს ვერ გაბსნიდა

REUTERS ვიჩენციდან

ვიჩენცა — ჩელსი. ლებეფს (მარცხნივ) და ვიალის ნერვიულობისგან თმები გაცვივდათ

ლაციო

გუნდის ბრული სახელია „სოსიეტა სპორტივა ლაციო“. დაარსდა 1990 წლის 9 იანვარს. იგი არის რომაულ კლუბებს შორის უძველესი, თანაქალაქელ „რომაზე“ 27 წლით ადრეა დაფუძნებული.

იტალიის ჩემპიონი: 1974
იტალიის თასი: 1958
სტადიონი: „სტადიო ოლიმპიკო“ — 82922 მაყურებელი
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
ყველაზე მეტი მატჩი ლიგაში: ალდო პუკინელი — 339
ყველაზე მეტი გოლი ლიგაში: სილვიო პიოლა — 143

იუვენტუსი

დაარსდა 1897 წელს.
იტალიის ჩემპიონი: 1905, 1926, 1931, 1932, 1933, 1934, 1935, 1950, 1952, 1958, 1960, 1961, 1967, 1972, 1973, 1975, 1977, 1978, 1981, 1982, 1984, 1986, 1995, 1997
იტალიის თასი: 1938, 1942, 1959, 1965, 1979, 1983, 1990, 1995
ევროპის ჩემპიონთა თასი: 1985, 1996
ევროპის თასების თასი: 1984
უეფას თასი: 1977, 1990, 1993
ევროპის სუპერთასი: 1985, 1997
საკონტინენტთაშორისო თასი: 1986, 1996
სტადიონი: „სტადიო დელე ალპი“ — 71012 მაყურებელი
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
ყველაზე მეტი მატჩი ლიგაში: ჯამპაოლო ბონიპერტი — 444
ყველაზე მეტი გოლი ლიგაში: ჯამპაოლო ბონიპერტი — 178

LAZIO vs JUVENTUS

პატარა რესტორნიდან სკუდეტომდე მხოლოდ მასწავლებლის გადათვლით მიხვალ

1974 წლის თებერვალი. რომის „ოლიმპიური სტადიონი“. „იუვენტუსის“ კარში მსაჯი თერმომეტრად საჯარიმო დარტყმას ნიშნავს. „ლაციოს“ მოთამაშეებს ჯორჯო კინალია გამოეყოთა, ბურთთან მიდის და მას ცარცით აღნიშნულ იმ თეთრ, მრგვალ ლაქაზე დებს, საიდანაც მეკარე როგორც წესი, განიარაღებულია. ამჯერად განიარაღება დინო ძოფს ემუქრება. კინალია გამორბის, არტყამს... გოლ! იმ სეზონში „ლაციომ“ „სკუდეტო“ მოიპოვა, ისტორიაში პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად.

დღეს, 24 წლის შემდეგ, მაშინდელი ენთუზიაზმი მართალი და გაბუნებულია. გონებაში ფაქტიღა დარჩენილა.

დღეს, 24 წლის შემდეგ, დინო ძოფი, რომელიც მაშინ პენალტის მოგერიებას შესთხოვდა მეკარეთა ღმერთებს, თავდამსხმელთა ღმერთებს „იუვეს“ კარში გოლის გატანას ევედრება. დიახ, სწორედ იმ „იუვეს“ კარში, რომელსაც თავგანწირვით იცავდა. დიახ, სწორედ იმ „ლაციოს“ სასარგებლოდ, რომლისგანაც იცავდა.

დღეს, 24 წლის შემდეგ, დინო ძოფი „ლაციოს“ პრეზიდენტია.

ხვალ, „სტადიო ოლიმპიკოზე“ ისევ „ლაციო“ — „იუვეა“. ვინც მოიგებს, იქნებ ჩემპიონიც გახდეს. „ლაციო“ „იუვენტუსს“ ორი ქულით ჩამორჩება.

„ლაციოს“ „იუვენტუსის“ მოსწავლეს უწოდებენ. დედაქალაქის ეს კლუბი არ თაკილობს „ბებერი ქალბატონისგან“ სიბრძნე ისწავლოს, რათა მასავით დიდი გახდეს. ბოლო ათ წელიწადში ტურინიდან რომში ანუ ჩრდილოეთიდან სამხრეთში ბევრი ჭკუის მოსაკითხი ადამიანი გადაბარგდა: მენეჯერი ნელო ვოვერნატა, მწვრთნელის ასისტენტი ლუჩანო სპინოზი, დირექტორი ენრიკო ბენიონი, ფეხბურთელები პიერლუიჯი კაზირაგი, ალენ ბოკშიჩი, ვლადიმირ იუგოვიჩი...

„იუვე“ ინდუსტრიული გიგანტის, „ფიატის“ გუნდია.

„ლაციო“ სერჯო კრანიოტის კეების მრეწველობის კომპანია „ჩიროს“ ეკუთვნის.

„ეჭვი გამორიცხულია, „ლაციომ“ წარმატებისკენ სავალად „იუვენტუსის“ გზა აირჩია“ — წერს რომაული ფეხბურთის მეისტორიე ლინო კაშლილი.

არსებობს გზა გასაველი და გზა განვლილი. განვლილი გზა დიდია.

„ლაციო“ 98 წლის წინ ტიბროსის სანაპიროზე ერთ პატარა რესტორანში იშვა და დღემდე უხმაუროდ მოვიდა. აბა რა არის ერთი ჩემპიონობა და ერთი თასი „იუვენტუსის“ 24 ჩემპიონობასა და რვა თასთან შედარებით? იტალიის გარეთ მხლწეულ წარმატებებზე ხომ ჯობს აღარაფერი ვთქვათ.

ბედი არ გინდა, ერთხელ მიეცათ რომაელებს ჩემპიონთა თასზე გასვლის უფლება და მაშინაც უეფას თასის ერთ-ერთ თამაშში გულშემატკივართა აყალმაყალის გამო 12-თვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

ერთხელ, ერთადერთხელ წაართვეს ჩრდილოელებს „სკუდეტო“ კინალიას გოლებისა და ტომაზო მასტრელის სამწვრთნელო ნიჭის წყალობით, მაგრამ შემდეგსავე წელიწადს შურნაძეები დარჩნენ — „იუვე“ ისევ ჩემპიონი გახდა.

მას მერე ოც წელიწადზე მეტია, ტურინელები ვეღარც ვეღარაზე ტიტულს ტიტულზე ამატებენ, ხოლო „ლაციო“ ორჯერ ლეგიდან გავარდა. ერთხელ დიდი ქრთამის სკანდალი გადაიტანა და სერია C2-ში სამარცხვინო დაქვეითებას ვეღაც „კამპიასოსთან“ პლეი-ოფშიღა გადარჩა. ეს ამბავი 1987 წელს იყო.

და აჰა, 1990-იანი წლებიც. „ლაციოს“ ფინანსისტი სერჯო კრანიოტი ყიდულობს და იწყება რომაული „იუვენტუსის“ შენება მოედანზე თუ მის გარეთ. „ლაციო“ კომპანია „ჩიროს“ ერთ-ერთი განშტოება ხდება.

გასულ სეზონში, ერთიხანობა, გუნდის გაწვრთნა თავად დინო ძოფს მოუხდა და იცით რითი ახსნა?

— ეს „ჩიროს“ გადაწყვეტილება იყო, მე ხვალ კი „ლაციო“ „იუვენტუსს“ შედგისთვის შეებრძოლება. ჰორიზონტზე „სკუდეტოა“. „ლაციომ“ „ბებერ ქალბატონს“ რომ სძლიოს, საკვირველი სულაც არ იქნება, მაგრამ მოიგებს თუ წააგებს, ერთ კომპონენტს ვერაფრით შეცვლის — გულშემატკივრებს აქ „იუვესთან“ ყველა წაგებულია. „ლაციოც“.

დიახ, რომაელებს უკიდურესობამდე ემოციური ტიფოზები ჰყავთ, მაგრამ რაოდენობით შავ-თეთრ ქომაგებთან როგორ მოვლენ?

ისე, რაკილა „ლაციოს“ ქომაგთა ზნე ვახსენეთ: ამ სეზონის დასაწყისში გუნდს საქმე კარგად რომ ვერ აეწყო, მწვრთნელს სვენ გორან ერიკსონს ლამის აფურთხეს, ხოლო თებერვალში, „სამპდორიასთან“ 4:0 გამარჯვების შემდეგ ფორმელოში, საწვრთნელ ბაზაზე ჩვეულებრივი ვარჯიშის სანახავად სამი ათასი კაცი მივიდა.

„იუვეს“ მწვრთნელი, მარჩელო ლიპი არ მალავს, რომ მიზად ჩემპიონობა აქვს დასახული, ერიკსონი კი ჩუმადაა. გასაგებია რატომაც. 1986 წელს რომის მეორე გუნდს, „რომას“ რომ ხელმძღვანელობდა შინ ბოლო მატჩი წააგო, თან „ლეჩესთან“ და ტიტული „იუვენტუსს“ გადაულოცა. მწარედ ახსოვს შვედს ის დღე.

„და „ლაციომ“ როგორც იქნა, შექმნა ის გუნდი, რომელიც „იუვენტუსს“ გაუკიბრება“ — ამბობს მეისტორიე კაშლილი.

პაპუნა ქედია

სურათიდან არ ჩანან

„ლაციო“ და „იუვენტუსი“ ამ სეზონში ერთხელ ჩემპიონატზე და ორჯერ თასზე შეხვდნენ ერთმანეთს. ხვალ მეოთხე თამაშია.

სპორტლოტო 9 1 კითხვა-პასუხი

— მსოფლიო ფეხბურთისთვის რომელი უკეთესია, პლატინი, თუ იუპანსონი?

— მსოფლიო ფეხბურთისთვის მარადონა იყო უკეთესი. კრუიფიც, ასე ვთქვათ... დი სტეფანო.

— რატომ? განა შენ აუცი გეთქმის აველანჯზე? მთელი აზია და აფრიკა, იაპონია-კორეა თვალებში გამოაზედა.

— ოო, იაპონელების თვალებში გამოხედვას მართლაც დიდი შრომა უნდოდა. სამაგიეროდ სხვებს დაუხუჭა.

— რა ვინდა, რას ემართლები?

— რას უნდა ვემართლებოდე, კაცი სახლის გზას ვეღარ აგნებს და ბლუკუნებს რაღაცეებს...

— როგორ არ გრცხვენია? ოთხმოცს გადააბიჯა და თვითმფრინავში ათენებს და აღამებს.

— იმიტომაც ათენებს და აღამებს, რომ სახლისთვის ვერ მიუნია.

— ხუმრობ?

— ხუმრობით ეგ ხუმრობს, დაგეცინის.

— რას დაგცინის, რახან ტეიშეირას სიმამრია, იმიტომ?

— ჩვენი ბედი რომ ტეიშეირას სიმამრია, თორემ მთლად დავილუპებოდით.

— რატომ?

— ტეიშეირას დასვამდა.

— ა-ჰა-ჰა-ჰა. ტეიშეირას ვერ დასვამდი. პელე მაგას დაანებებდა?

— თუ ძმა ხარ, პელეს თავისი ორიენტაცია ვერ გაურკვევია, დადის და ილრიჯება. პელე კი არა ედი მერფია. მეფე გყავდეს და ეგეთი? რა დავაშავეთ, ვერ გავიგე. მეფე გვყავს ედი მერფი და ფიფას პრეზიდენტი ბრეჟნევი. მერე იტყვი, გოლები აღარ გადისო. რა გოლი გავა მაგათ ხელში.

— არა უშავს. იუპანსონი ხომ გაიმარჯვებს?

— იუპანსონიც ფიდელ კასტრო გახდება ერთ-ორ წელიწადში.

— მაშინ პლატერი.

— პლატერი კიდევ უარესი. მაგან წილისყრებს მიხედოს.

— აბა რა ექნათ, მეთაურის გარეშე ხომ ვერ დავრჩებით?

— დიდი ომი იქნება, დიდი ომი. იუპ ანსონმა შვედურ კედელზე უნდა დაიყენოს პრესი.

— აფრიკა ვის მხარესაა?

— აველანჟის მხარეს.

— აველანჟი ხომ მიდის?

— მაგას აფრიკისთვის არა აქვს მნიშვნელობა. აფრიკა ყოველთვის აველანჟის მხარესაა.

— და თვითონ აველანჟი ვიღას უჭერს მხარს?

— საკუთარ თავს.

— ესე იგი, პლატერის საქმე წასულია?

— არა, პლატერი აველანჟს უჭერს მხარს.

— ეგ როგორ?

— როგორ და პლატერი აველანჟს უჭერს მხარს, აველანჟი თავის თავს, აქედან გამომდინარე კი პლატერს.

— მაშ, პლატერი გაგვიხდება?

— ჩვენ რა, მსოფლიო ფეხბურთმა იკითხოს.

— მაშინ იუპანსონი.

— ჩვენ რა, პლატერმა იკითხოს.

— და გაზა?

— გაზა რა შუაშია?

— გაზა როდის გახდება ფიფას პრეზიდენტი?

— როცა აველანჟი, პლატერი და იუპ ანსონი „მიდლსბროში“ ითამაშებენ.

— მაგათ თუ უთამაშიათ ოდესმე ფეხბურთი?

— ფეხბურთისა არ ვიცი, მაგიდის ჩოგბურთი კი ნაღდად ექნებათ ნათამაშევი.

— მაშინ მაგიდის ჩოგბურთის უფროსობაში ეყარათ კენჭი.

— გაგიყდი? იქ იაპონია-კორეას უკვე გახელილი აქვს თვალი.

— გაზასი კი მაინც ვერ გაეგერა უნდა?

— ეს შტანგაც როგორ წაგვიტყდა მადრიდში...

ფეხბურთის რუკასთან

ფრანგი თავდამსხმელი სტეფან გივარში, შესაძლოა, „გლაზგო რეინჯერსში“ გადავიდეს 5 მილიონ გირვანქად. „ოსერის“ თავდამსხმელის გლაზგოში ყოფნის ამბავი BBC-მ გააჟრცელა, თუმცაღა „რეინჯერსის“ თავმჯდომარე დევიდ მურეიმ უარი თქვა რაიმეს კომენტირებაზე. გივარში საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლეა 20 ბურთით და ასე ჩანს, რომ ნაკრების წინა ხაზის ლიდერიც იქნება მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე. ამ ამბის გახმაურებით „რეინჯერსი“ შეუერთდა „ლივერპულს“, „ბლეკბერნსა“ და „არსენალს“, რომელთაც ასევე აინტერესებთ მისი თავიანთ კლუბებში ხილვა. 1 ივნისიდან „რეინჯერსში“ ჰოლანდიელი მწვრთნელი დიკ ადვოკაატი მივა, როგორც ამბობენ, მის სატრანსფერო სიაში გივარში გამოსაჩენ ადგილას წერია.

ჰონდურასის ფეხბურთის მამებმა თანამდებობიდან დათხოვეს ნაკრების მთავარი მწვრთნელი მიგელ კომპანი. ამის მიზეზი ნაკრების ცუდი თამაშიც ყოფილა და ისიც, რომ ფედერაციას კომპანისა და მისი ასისტენტების ხელფასის ფული ვერ უშოვნიათ. თავად კომპანის, რომელიც პერუელია და ორი წლის წინ ამ ქვეყნის გუნდს თავკაცობდა „კოპა ამერიკაზე“, სულაც არ გაჰკვირვებია ეს ამბავი. უთქვამს, ოქტომბრიდან ხელფასი არ ამილია და ეგეც არ იყოს, აქ ფეხბურთისა ინნი-ბინჩი არ ესმით, პირდაპირ შედეგს ითხოვენო.

ჰოლანდიის „ეინდჰოვენის“ ბელგიელმა ნახევარმცველმა მარკ დეგრიხმა განაცხადა, რომ მომავალი წლიდან სამშობლოს დაუბრუნდება და „გენტში“ ითამაშებს. 32 წლის ფეხბურთელს წლეულს უიღბლო სეზონი ჰქონდა. „სირცხვილი მჭამს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის გარეშე ვრჩები, მაგრამ ყველაფერი ამ დაწყევლილი სეზონის ბრალია“ — თქვა მან. დეგრიხს 63-ჯერ უთამაშია ბელგიის ნაკრებში და „ეინდჰოვენში“ შარშან გადავიდა „შეფილდ უენსდეიდან“.

ბერმუდის შარშანდელი ჩემპიონის, მიუხენის „ბაიერნის“ უფროსობამ ცხოვრების ნირის შეცვლისკენ მოუწოდა თავის ნახევარმცველ მარიო ბასლერს. საქმე ისაა, რომ პირველი ასრილის „ბილდმა“ დაწერა, „ბაიერნმა“ დეტექტივები იქირავა, რათა ბასლერის კლუბსგარეთა ცხოვრებას აღეწეროს თვალი. ეს საპრილო ხუმრობად ჩაითვლებოდა, მაგრამ „ბაიერნის“ ერთ-ერთ თანამშრომელს მართლაც შეუმჩნევია შინ გამთენიისას დაბრუნებული სუპერ-მარიო. თანაც ბასლერი ყველას დასანახად აბოლებს სიგარას და ღამის კლუბებს ეტანება. „მას ახალგაზრდები ბაძავენ“ — თქვა „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰონესმა — „ამიტომ ის უნდა დაფიქრდეს“. ბასლერს კი არ სჯერა, რომ კლუბის თანამშრომელმა შემთხვევით დაინახა. აცხადებს, აშკარად დამდევენ და როცა დამდევენ, შინ ღამის თერთმეტ საათზე ფხიზელი მივდივარო, „ბაიერნს“ კი უკვე კარგა ხანია დაერქვა „ფკ ჰოლიგუდი“ იმ დიდი სკანდალების გამო, ამ კლუბში რომაა ატეხილი.

ესპანურმა გაზეთმა „ელ მუნდო დეპორტივომ“ გამოაცხადა, რომ „აიაქსის“ მცველი ფრენკ დე ბური უაბურსაა მომავალი წლიდან „ბარსელონაში“ ითამაშოს. დე ბურს 2003 წლამდე აქვს კონტრაქტი შობლიურ კლუბთან და ამიტომ კატალონიელებს გვარიანი თანხის დაფარვა მოუწევთ. გასულ კვირაში ფრენკი ბარსელონაში ყოფილა და თავის ყოფილ მწვრთნელ ლუის ვან გაალთან ულაპარაკია. ფრენკის ტყუპი ძმა რონალდი კი, თურმე არ შედის ვან გაალის სამომავლო გეგმებში. „ბარსელონას“ უფროსობა კი დუმს, კლუბის შინაგანწესით ასეთი ამბის კომენტირება აკრძალულია.

ესპანეთის თასის ფინალში სულ რაღაც მეორედ გასული „მალიორკა“ გადამწყვეტ მატჩში, 29 აპრილს 13 ათას გულშემატკივარს მოისაკლისებს. კუნძულ მალიორკას მცხოვრებლებმა იქვე განლაგებული აშშ-ის ვემებიდან ერთ-ერთის კაპიტანს სთხოვეს, მადრიდამდე გაგვიყვანე, თანხაზე პრობლემა არ გექნებათო, მაგრამ აშშ-ის წარმომადგენელმა ესპანეთში გულშემატკივართა ინტერესების დაკმაყოფილება აკრძალა.

ჰოლანდიელი ჯორდი კრუიფი, რომელიც დიდი ოიპან კრუიფის შთამომავალია, ალბათ, მოახერხებს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძირითად შემადგენლობაში სრულფასოვან დაბრუნებას. მთელი სეზონი ჯორდის ტრავმები სტანჯავდა, ახლა კი გუნდის სარეზერვო შემადგენლობაში ითამაშა „პრესტონის“ წინააღმდეგ და 6:1 მოგებულ მატჩში გოლიც შეაგდო. ჰოლანდიელმა აგვისტოში კოჭი იღრძო. ორი კვირის გამოჯანმრთელებულმა ნოემბერში უკვე კანჭის ოპერაცია გაიკეთა. შემდეგ მუხლის ტრავმამ შობის დღესასწაულის პირველ დღეებში დააბრკოლა მისი დაბრუნება. თებერვალში კი თითქოს ბოლო უნდა მოღებოდა ამ წვალებას, რომ კვლავ კოჭი დაიბიანა.

ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა განაცხადა, ხმები, თითქოსდა საფრანგეთის ჩემპიონი „მონაკო“ უნდა გავწვრთნა, ჭორიაო. ალბიონზე ბოროტი ენები ამბობდნენ, ფრანგებმა ჰოდლის გადაბირება გადაწყვიტეს და 5 მილიონი დოლარი შესთავაზეს, მაგრამ გლენმა თავი შორს დაიჭირაო. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი ემე ჯაკე ქვეყნის პირველ გუნდს მიატოვებს, მის შემცვლელად კი „მონაკოს“ ამჟამინდელი თავკაც ჟან ტიგანას ხედავენ. აი, „მონაკოში“ ვინ მივა ტიგანას ნაცვლად, უცნობია.

დარჩა FRANCE98 66 დღე

ფუტბოლის დროშით

ერთგული

— მოხარული ვართ, კონტრაქტის გახანგრძლივებას რომ დაგვთანხმდა. თამამად შეგვიძლია ბრაუნის ნაკრებში მოღვაწეობა ნაყოფიერად მივიჩნიოთ — განაცხადა შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელმა დაგ სმიტმა.

სქოთა მწვრთნელმა კრეიგ ბრაუნი საკმაო ფიქრის შემდეგ პარასკევს, გადაწყვიტა, ოთხი წლით ნაკრების თავკაცად დარჩეს — 2002 წლის აგვისტომდე.

53 წლის ბრაუნმა შოტლანდიის ნაკრების მესაჭედ 1993 წელს აირჩიეს, მაშინ, როცა მისმა წინამორბედმა ენდი როქსბურგმა გუნდის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაყვანა ვერ მოახერხა. ბრაუნის მოღვაწეობას ნაკრებში უდავოდ წარმატებული ეთქმის — გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც გავიდა და ახლა, ზაფხულში, რვაწლიანი შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშებს.

გუშინ გაფორმებული კონტრაქტით ბრაუნი შოტლანდიური ფეხბურთის ისტორიაში ნაკრების მწვრთნელად ყველაზე დიდხანს დარჩება — 1993 წლიდან 2002 წლამდე. ხელშეკრულების გაფორმებამდე ბრაუნზე დიდხანს ეროვნულ გუნდს ჯოკ შტაინი (1978-85) და ენდი როქსბურგი (1986-93) თავკაცობდნენ.

არგენტინა

შარშან არგენტინელთა თავკაცი დანიელ პასარელა ჯიუტად იცავდა თავის აზრს — „ფიორენტინას“ თავდამსხმელი გაბრიელ ბატისტუტა, მისი სათამაშო კონდიციებიდან გამომდინარე, ნაკრებში თამაშის ღირსი არაა. მაშინ მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონს ამის გამო ბევრი აკრიტიკებდა, ზოგიერთები კი იმასაც ამბობდნენ, პასარელას ბატისტუტასთან კონფლიქტი აქვსო. წელს ეჭვები გაქარწყლდა — მსოფლიოს 1978 და 1986 წლის ჩემპიონთა თავკაცმა ივანჯაში იუგოსლავიელებთან ამხანაგურ შეხვედრისთვის დაუძახა ბატისტუტას, ახლა კი სამმატჩიან ტურნეშიც იახლა. თუმცა, სანამ კონკრეტულად არგენტინელთა მზადებაზე ვიტყოდეთ, პასარელას ხუთშაბათს მიღებულ გადაწყვეტილებაზე მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას:

— როგორც კი ჩამთავრდება მსოფლიოს ჩემპიონატი, მე ალბათ სხვაგან გადავალ სამუშაოდ. სავარაუდოდ ევროპაში გავწვრთნი რომელიმე კლუბს.

კლუბების გაწვრთნის გამოცდილება კი პასარელას ნამდვილად აქვს — ნაკრებში გასვლამდე მან ბუენოს აირესის „რივერ პლეიტი“ ორჯერ გახადა ჭეშმარიტი ჩემპიონი.

რაც შეეხება ნაკრებს, გუნდი აპრილის შუა რიცხვებში სამმატჩიან ევრო-სამხრეთ ამერიკულ ტურნეს იწყებს. არგენტინელები 15 აპრილს იერუსალიმში ისრაელს შეხვდებიან, ერთი კვირის შემდეგ უკვე დუბლინში ირლანდიელთა დამარცხებას შეეცდებიან, 29 აპრილს კი დაუძინებელ მეტოქეს, ბრაზილიას, ან რიო დე ჟანეიროში, ანაც ფორტალეზაში დაუპირისპირდებიან.

ჯერჯერობით პასარელას ამხანაგური მატჩებისთვის ნაკრებში გამოსაძახებელი ყველა მოთამაშის ვინაობა არ დაუსახელებია, მაგრამ ლეგიონერები არ დაუმალავს: რობერტო სენსინი (პარმა), მაურისიო პინედა (უდინეზე), პაბლო პასი (ტენერიფე), ნელსონ ვივასი (ლუგანო), გუსტავო ლომბარდი (სალამანკა), მატიას ალმეიდა (ლაციო), არიელ ორტეგა, კლაუდიო ლოპესი (ვალენსია), გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა).

გულგარეთი

ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფური ტურნირის პირველ მატჩში ფეხბურთის უპირველესი ტურნირის დებიუტანტ ნიგერიელებთან 0:3 დამარცხების შემდეგ ბევრმა ბულგარეთის ნაკრები აუტსაიდერად მიიჩნია, თუმცა შემდგომ ექსპერტებმა ბერძნები და არგენტინელები დაამარცხეს, საბოლოოდ კი მეოთხე ადგილზეც გავიდნენ. მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღწეული წარმატების შემდეგ ბულგარელებს ევროპის 1996 წლის პირველობაში გამარჯვების უპირველეს კანდიდატად მიაჩნდათ თავი, თუმცა რაც მოხდა, ყველას კარგად ახსოვს. ახლა, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ბულგარელები აღარ არიან ისეთი ამბიციურნი, აქამდე რომ იყვნენ. ამჯერად ნაკრების ერთადერთი მიზანი საფრანგეთში რაც შეიძლება შედეგიანი თამაში ყოფილა.

მსოფლიოს ჩემპიონატამდე ტურნირის ყველა ფინალისტი ამხანაგურ მატჩებს მართავს-ხოლმე. ბულგარელებიც, ცხადია, არ არიან გამონაკლისები. წელს მათ უკვე მოასწრეს არგენტინასთან და მაკედონიასთან წაგება, მაგრამ, მიუხედავად ამ მარცხებისა, ხრისტო ბონევის გუნდი კიდევ სამ შეხვედრას ითამაშებს. რამდენიმე ხნის წინ თითქოს გადაწყვეტილი იყო 22 აპრილს სოფიაში ბულგარეთის და კამერუნის შეხვედრა, მაგრამ მოგვიანებით აფრიკელებმა უარი თქვეს. ბულგარეთის ფეხბურთის ასოციაციამ ბევრი ეძახა თუ ცოტა, მეტოქეც გამონახა — მაროკო. ასე რომ, 22 აპრილს ბულგარელები მთისაგით მსოფლიოს ჩემპიონატში ზედიზედ მეორედ მონაწილე მაროკოს დაუპირისპირდებიან.

ამ შეხვედრის გარდა, 1 ივნისს ბულგარეთს გერმანია უმასპინძლებს კაიზერსლაუტერნში, 5 ივნისს კი ნეიტრალურ მინდორზე მათი მეტოქე ალჟირი იქნება.

„სტად დე ფრანსი“ — პარადოქსი

როგორც კი გადაწყდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი საფრანგეთში ჩატარდებოდა, უდიდესი საფეხბურთო ტურნირის მასპინძლებმა უმალ ახალი, ულტრა თანამედროვე სტადიონის აგება განიზრახეს. ფრანგთა ჩანაფიქრი ზღაპრული რომ იყო, ამაში მსოფლიო წელს დარწმუნდა — იანვარში ოფიციალურად გახსნილი „სტად დე ფრანსი“ ძვირადღირებული სარბიელია, თუმცა ვერ იტყვი, მის აგებაზე დახარჯული ფული ქარს გაატანესო. „სტად დე ფრანსის“ ტევადობა 80 ათასია, ამასთანავე მოძრავი ტრიბუნები აქვს. ერთი სიტყვით, ყველა პირობაა იმისა, მას ბრწყინვალე ვუწოდოთ, მაგრამ დახეთ უბედურებას! — სტადიონის თავის საკუთრებაში აღება არავის სურს.

თითქმის ერთი თვის წინ საფრანგეთის სპორტის სამინისტრომ ქვეყნის უძლიერეს გუნდ პსჟ-ს, რომელიც ამასთანავე ფინანსურად საკმაოდ შეძლებულიცაა, „სტად დე ფრანსზე“ გადასვლა შესთავაზა, მაგრამ პსჟ-ს თავკაცობამ რამდენიმედღიანი ფიქრის შემდეგ მშობლიურ „პარკ დე ფრანსზე“ დარჩენა ამჯობინა. ახლადგებულ სტადიონზე გადაუსვლელობის მიზეზად კლუბმა ფინანსური მოსაზრებები დაასახელა, მაგრამ ამბობენ, აქ სხვა ამბავიაო.

„სტად დე ფრანსი“ შესანიშნავი კია, მაგრამ რად გინდა, თუ პატრონი არ გამოჩნდა? ქვეყნის სპორტის მინისტრმა მარი-ჟოზე ბუფემ ორიოდ დღის წინ ამ საკითხზე პრესკონფერენცია მოაწყო, რომელზეც სტადიონთან დაკავშირებულ ბევრ სხვა პრობლემასთან ერთად მის მომავალ მფლობელებზეც ისაუბრეს.

— რთული პრობლემაა. რაც დრო გადის, მისი გადაჭრა უფრო და უფრო გვიჭირს, მაგრამ როგორც ყველაფრიდან, აქედანაც მოიძებნება გამოსავალი. 15 მაისამდე სტადიონის მფლობელი აუცილებლად გაირკვევა — თქვა მან.

ვინ იქნება „სტად დე ფრანსის“ მფლობელი? პსჟ-ს ვარიანტი გამოირიცხა, პრეტენდენტებად კი ისეთი კლუბები დარჩნენ, მათ შეხვედრებს მაქსიმუმ 10 ათასი გულშემატკივარი რომ ესწრება — მეორე დივიზიონის „რედ სტარი“ და მესამე დივიზიონელები „სენ დენი“ და „რასინგი“.



„სტად დე ფრენსი“ — ბრწყინვალე, მაგრამ უპატრონო

სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ლატარია “CROCO”

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა.
XXIX ტური
4 აპრილი

ვერდერი — ბაიერნი	3,3	2,8	2,1
მიუნხენ 1860 — ჰამბურგი	2,1	2,8	3,3
ბოზუმი — შალკე	2,6	2,7	2,6
არმინია — ვოლფსბურგი	2,1	2,9	3,2
ლევერკუზენი — მიონხენგლადბახი	1,4	3,8	6,0
0:1	2,1	3,2	2,1
ჰანზა — დორტმუნდი	2,3	2,8	2,9
5 აპრილი			
შტუტგარტი — კიოლნი	1,6	3,2	5,0

გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა.
XXV ტური
5 აპრილი

გიუტერსლო — ფორტუნა	1,5	3,4	5,6
ზანქტ პაული — კიკერსი	1,3	4,2	7,0
0:1	2,1	3,2	2,1
მაინცი — ვატენშაიდი	1,9	2,9	3,6
ფიურტი — კოტბუსი	2,2	2,8	3,1
ურდინგენი — ლაიპციგი	1,25	4,4	8,0
0:1	1,8	3,2	2,9
6 აპრილი			
უნტერჰახინგი — ნიურნბერგი	2,6	2,7	2,6

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა.
XXXII ტური
4 აპრილი

ასტონ ვილა — ვესტ ჰემი	1,8	2,9	4,2
ლიდსი — ბარნსლი	1,4	3,8	6,0
0:1	2,1	3,2	2,1
ლესტერი — ქოვენთრი	2,0	2,8	3,5
შეფილდ უენსდეი — საუთჰემპტონი	2,0	2,8	3,5
ტოტენჰემი — ევერტონი	1,7	3,0	4,7
უიმბლდონი — ბოლტონი	1,8	3,0	4,0
5 აპრილი			
დერბი — ჩელსი	2,4	2,8	2,7
6 აპრილი			
ბლექბერნი — მანჩესტერ იუნაიტედი	2,9	2,8	2,3

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი.
XLI ტური
4 აპრილი

ბერი — ჰადერსფილდი	2,0	2,9	3,4
მანჩესტერ სიტი — სტოკპორტი	1,8	3,0	4,0
ნორვიჩი — ბრედფორდი	1,8	3,0	4,0
პორტ ვეილი — ოქსფორდი	1,8	3,0	4,0
პორტსმუთი — ბირმინგემი	2,2	2,9	3,0
რედინგი — სტოკი	1,8	3,0	4,0
სვინდონი — ჩარლტონი	2,6	2,9	2,4
ვესტ ბრომვიჩი — მიდლსბრო	4,0	3,0	1,8
5 აპრილი			
ნოტინგემი — იფსვიჩი	1,5	3,4	5,6

ინგლისის ჩემპიონატი.
თასის ნახევარფინალი
4 აპრილი

არსენალი — ეულვერჰემპტონი	1,4	3,6	6,5
ნიუკასლი — შეფილდ იუნაიტედი	1,5	3,4	5,6

იტალიის ჩემპიონატი. სერია A.
XXVIII ტური
5 აპრილი

ატალანტა — რომა	2,6	2,7	2,6
ბარი — მილანი	2,6	2,7	2,6
ბოლონია — უდინეზე	2,4	2,8	2,7
ემპოლი — ბრეშა	1,9	2,9	3,6
ინტერი — სამპდორია	1,25	4,4	8,0
0:1	2,1	3,2	2,1
ლაციო — იუვენტუსი	2,3	2,7	3,0
ნაპოლი — პიაჩენცა	3,5	3,0	1,9
პარმა — ფიორენტინა	1,8	2,9	4,2
ვიჩენცა — ლეჩე	1,2	5,0	9,0
0:1	1,8	3,2	2,9

იტალიის ჩემპიონატი. სერია B.
XXVIII ტური
4 აპრილი

სალერნიტანა — კალიარი	1,7	3,0	4,7
5 აპრილი			
ანკონა — პერუჯა	2,3	2,9	2,8
დი სანგრო — მონცა	2,6	2,7	2,6
კეივო — პადოვა	1,5	3,4	5,6
ფოჯა — ვერონა	2,3	2,9	2,8
ჯენოა — პესკარა	1,5	3,3	6,0
რავენა — რეჯინა	1,9	2,9	3,6
რეჯანა — ლუკეზე	1,4	3,6	6,5
0:1	2,0	3,2	2,3
ტორინო — ფ. ანდრია	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ვენეცია — ტრევიზო	1,4	3,6	6,5
0:1	2,1	3,2	2,1

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი.
XXXII ტური
4 აპრილი

ბარსელონა — ოვიედო	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,3	3,8
დეპორტივო — ბეტისი	2,5	2,8	2,6
რეალი — ბილბაო	1,35	3,8	7,0
0:1	1,9	3,2	2,6
5 აპრილი			
სოსიედადი — სალამანკა	1,3	4,0	7,5
0:1	2,0	3,2	2,3
ვალენსია — ატლეტიკო	2,1	2,9	3,2
სპორტინგი — ესპანიოლი	3,6	3,2	1,8
ტენერიფე — სარაგოსა	1,8	3,0	4,0
მალიორკა — მერიდა	1,4	3,8	6,0
0:1	2,1	3,2	2,1
რასინგი — სელტა	2,4	2,9	2,6
ვალიადოლიდი — კომპოსტელა	1,8	3,0	4,0

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი.
XXXV ტური
4 აპრილი

ოსასუნა — სევილია	2,2	2,9	3,0
5 აპრილი			
ნუმანსია — ლეიდა	2,1	3,0	3,1
ლას პალმასი — ორენსე	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ეიბარი — ხაენი	1,6	3,3	4,7
ალბასეტე — სერესი	1,5	3,5	5,3
ტოლედო — ელჩე	1,7	3,0	4,7
ვილიარეალი — ესტრემადურა	2,3	2,8	2,9
რაიო ვალეკანო — ბადაზოსი	1,8	3,0	4,0
ერკულესი — ლოგრონიესი	1,6	3,3	4,7
ლევანტე — ატლეტიკო B	2,5	2,9	2,5
ალავესი — ლეგანესი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2

საფრანგეთის ლიგის თასის ფინალი
4 აპრილი

პარი სენ ჟერმენი — ბორდო	1,9	2,9	3,6

პორტუგალიის ჩემპიონატი. XXVIII ტური
4 აპრილი

სპორტინგი — ლეცა	1,25	4,4	8,0
0:1	1,9	3,2	2,6
ბრაგა — ამადორა	2,2	2,9	3,0
ბოავიშტა — სალგეირუში	1,5	3,4	5,6
5 აპრილი			
აკადემიკა — სეტუბალი	2,2	2,9	3,0
რიუ ავე — კამპომაიორენსე	1,5	3,4	5,6
შავეში — ვარზიმი	2,7	3,0	2,3
გიმარაეშ — მარიტიმუ	1,6	3,1	5,3
ბენფიკა — ბელენენსეში	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,3	5,8

ჰოლანდიის ჩემპიონატი
4 აპრილი

მაასტრიხტი — ჰერენვენი	2,6	2,9	2,4
5 აპრილი			
ვოლენდამი — ვალვაიკი	2,6	2,7	2,6
ტვენტე — უტრეხტი	1,7	3,1	4,4
გრონინგენი — როდა	2,1	2,9	3,2
ვიტესი — ნაიმეგენი	1,3	4,2	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
ფეიენოორდი — აიაქსი	2,6	2,7	2,6

ბელგიის ჩემპიონატი. XXVIII ტური
4 აპრილი

ბევერენი — გენკი	3,4	3,1	1,9
ანტვერპენი — ლიერსი	3,4	3,1	1,9
აალსტი — ანდერლეხტი	3,1	3,0	2,1
მოლენბეკი — გენტი	2,0	3,0	3,3
ლომელი — ეკერენი	2,5	2,9	2,5
5 აპრილი			
ვესტერლო — მუსკრონი	2,1	2,9	3,2
სენტ ტრუიდენი — ლოკერენი	2,4	2,9	2,6
ბრიუგე — შარლერუა	1,15	6,0	9,0
0:1	1,5	3,3	3,8

ავსტრიის ჩემპიონატი. XXVIII ტური
4 აპრილი

ადმირა — ლუსტენაუ	2,2	3,0	2,9
გრაცერი — ტიროლი	1,45	3,5	6,0
0:1	2,1	3,2	2,1
რაპიდი — ლინცერი	1,6	3,2	5,0
რიდი — აუსტრია	2,6	2,7	2,6
5 აპრილი			
ზალცბურგი — შტურმი	2,6	2,7	2,6

შვეიცარიის ჩემპიონატი. VI ტური
4 აპრილი

სენტ გალენი — აარაუ	2,0	2,8	3,5
5 აპრილი			
გრასჰოპერი — სიონი	1,3	4,0	7,5
ლუცერნი — ლოზანა	3,3	2,8	2,1
სერვეტი — ციუნხი	1,5	3,3	6,0

თურქეთის ჩემპიონატი. XXIX ტური
4 აპრილი

ბეშიქთაში — ბურსასფორი	1,4	3,6	6,5
0:1	2,1	3,2	2,1
ტრაბზონსფორი — გალათასარაი	2,1	2,9	3,2
5 აპრილი			
ფენერბაჰჩე — ვანსფორი	1,05	8,0	14,0

შოტლანდიის ჩემპიონატი. XXXI ტური
4 აპრილი

აბერდინი — სენტ ჯონსტონი	1,8	3,0	4,0
დანდი იუნაიტედი — დანფერმლაინი	1,8	2,9	4,2

შოტლანდიის თასი. ნახევარფინალი
4 აპრილი

ჰართსი — ფალკირკი	1,2	5,3	8,0
5 აპრილი			
სელტიკი — რეინჯერსი	2,5	2,8	2,6

რუსეთის ჩემპიონატი. II ტური
4 აპრილი

როტორი — შინიკი	1,3	4,0	7,5
0:1	2,0	3,2	2,3
ურალანი — როსტსელმაში	2,2	2,9	3,0
კრ. სოვეტოვი — ალანია	2,6	2,7	2,6
ბალტიკა — ჟემჩუჟინა	1,5	3,6	5,0
ტიუმენი — დინამო	3,5	3,0	1,9
ცსკა — ზენიტი	1,7	3,1	4,4
ტორპედო — ჩერნომორეცი	1,35	4,0	6,5
0:1	2,0	3,2	2,3
5 აპრილი			
სპარტაკი — ლოკომოტივი	1,8	3,0	4,0

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

გერმანია (29-ე)	25 და ნაკლები — 1,9	27 და მეტი — 1,9	
იტალია (28-ე)	23 და ნაკლები — 1,9	25 და მეტი — 1,9	
ესპანეთი (32-ე)	26 და ნაკლები — 1,9	28 და მეტი — 1,9	

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

სპორტის კაცი
ჯანო ბაგრატიონი — 60

ბადრი კობლაძის ფოტო

ველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (1977). სსრკ ჩემპიონი და პრიზიორი ხელბურთში, სპორტის საპატიო ოსტატი, სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, დოცენტი. 1973–84 წლებში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგედ, 1984–86 — თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, 1986 წლიდან საქართველოს სპორტკომიტეტის (ამჟამად — დეპარტამენტის) თავმჯდომარის მოადგილეა. 1996 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად".

ამ სტრიქონებში გზის უმნიშვნელოვანესი მომენტებია აღნუსხული.

მხოლოდ მშრალი ბიოგრაფიული მონაცემით ძნელია იმსჯელო პიროვნების ხასიათზე, მის ღირსება-ნაკლოვანებებზე თუმცა თუნდაც ეს მწირი ინფორმაცია ადასტურებს: ჯანო ბაგრატიონი სპორტის კაცია.

ამას დაგიდასტურებთ ყველა, ვისაც ჯანო ბაგრატიონთან საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს.

შორი გზაა ჯარისკაცობიდან გენერლობამდე.

არანაკლებ შორია სპორტსმენობიდან — სპორტის კაცობამდე.

შეიძლება ნიჭიერი სპორტსმენი იყო, ალღოიანი მწვრთნელი, უნარიანი სპორტის მუშაკი, მაგრამ სპორტის კაცი ვერ გახდე.

და საერთოდ: რომ გახდე საქმის კაცი, ოჯახის კაცი, სიტყვის კაცი, სპორტის კაცი, უწინარესად კაცი უნდა იყო. სხვაგვარად, გვარიშვილობა — ბაგრატიონობაც ვერ გიშველის.

ბატონ ჯანოს გვარიშვილობაც მოსდგამს და ზნეკეთილობაც.

ალალია მისთვის სპორტის კაცობა.

ელგუჯა გერიშვილი

არ მინდა, გულწრფელი საუბილეო ბარათის ნაცვლად „ტრადიციული" ლამაზლამაზი და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების გროვა გამომეიდეს.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ამას თავად იუბილარი არ მომიწონებს.

ჯონი ბაგრატიონზე მოგახსენებთ.

დღეს სამოცისა გახდა.

მოიძებეთ ქართული ოლიმპიური ენციკლოპედია, გადაშალეთ 123-ე გვერდი: *„ჯანსულ (ჯანო) ბაგრატიონი. დაიბადა 4.4.1938 თბილისში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1962) და საქართ-*

რაც უნდა ვილაპარაკოთ, წამყვანი მოთამაშეების უცხოეთში წასვლით წლევანდელ ჩემპიონატში თამაშის კლასი დაეცაო (ალბათ, ეს ასეცაა), ერთი რამ ფაქტია, საქართველოს პირველობა წლეულს გაცილებით საინტერესოდ მიმდინარეობს, ვიდრე შარშან.

შარშან „ვითა" ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე და ასე თუ ისე საინტერესო მხოლოდ მისი „დინამოსთან" შეხვედრები გახლდათ, დინამოელებსაც მხოლოდ სდასუ-სთან უჭირდათ თამაში, დანარჩენ მატჩებში კი ყველაფერი თავიდანვე ნათელი იყო.

სასახლეში გამარჯვებისთვის მიდიან

„აზოტი" — „მაკაბი". გულიგერ ახალკაცი: „აზოტთან" რა უნდა გააწყო?

წელს ჩემპიონატს ხუთი ძლიერი გუნდი ჰყავს და საინტერესო თამაშების რაოდენობამ, რა თქმა უნდა, საგრძნობლად იმატა. ამ ხუთ გუნდშიც არის გამორჩეული ლიდერი — რუსთავის „აზოტი", მაგრამ მისი უპირატესობა დანარჩენებზე ისეთივე ულაპარაკო არაა, როგორც „ვითას" ჰქონდა.

თვლით არაა ყველაფერი. ჰოდა, რადგან ხუთი გუნდია, მეოთხედფინალში რომელიმე ორი ძლიერი ერთ წყვილში უნდა მოხვედრილიყო. ასეთები ჩემპიონატის შედეგების მიხედვით თსუ და სდასუ აღმოჩნდნენ. დანარჩენ ფავორიტებს კი ნახევარფინალებისკენ შედარებით იოლი გზა ელოდათ.

ასეც მოხდა. „მაკაბი" ასე თუ ისე გაძალიანება მხოლოდ პირველ შეხვედრაში მოახერხა რუსთაველებთან, „შევარდნამ" უფულობის გამო საერთოდ მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა „დინამოსთან", არმიელებმა კი „ვითასთან" ორივე შეხვედრა დიდი ანგარიშით წააგეს.

ვინც თსუ-სდასუ-ს თამაშებში დაძაბულ ორთაბრძოლას წინასწარმეტყველებდა, ასეთს, ალბათ, მაინც ვერ წარმოიდგენდა. გუნდები ერთობ თანაბარი ძალისანი აღმოჩნდნენ. სამივე მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა: მიელო პირველ მატჩში სანაძეს სწორი გადაწყვეტილება, გამარჯვებული თსუ-ს ნაცვლად სდასუ იქნებოდა, აეღოთ თსუ-ელებს ფარიდან ნაკოლაძის ნასროლი საჯარიმო, მეორე შეხვედრაში დამატებითი დრო გაარკვევდა ვითარებას, წოწელიას ჩაგდებული ბურთი დროში ჩატეულიყო და ბოლო მატჩში თსუ გაიმარჯვებდა. მოკლედ, ამ წყვილის მატჩებმა დიდი სიამოვნება მოჰგვარა მაყურებელს და გადამწყვეტ მატჩზე კი იმდენი ხალხი მოვიდა, ვერის ბაღში კარგა ხანი რომ არ ყოფილა. ორივე გუნდი ღირსი იყო, მეძლებისთვის ბრძოლა გაეგრძელებინა, მაგრამ ნახევარფინალებში ოდითგანვე მხოლოდ ოთხი გუნდია ხოლმე და არა ხუთი.

და ყველაზე სასიამოვნოც — მიუხედავად მატჩების ასეთი დაძაბულობისა, ორივე გუნდმა კორექტული, ვაჟკაცური თამაში უჩვენა და არც მწვრთნელებს და არც მოთამაშეებს ერთმანეთის პატივისცემის გრძნობა არ დაუკარგავთ, რაც ასე ხშირად გეხვედებოდა წინა ჩემპიონატში. ბოლო შეხვედრის ყველაზე საჭიმანი მომენტის დროსაც, როცა წოწელიამ ჟურისწამლებ ღრიანცელში ბურთი სდასუ-ს კალათში მოათავსა და მსაჯებზმა კი დრო უკვე გასულად ჩათვალეს, რა თქმა უნდა, მეტოქეებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია და სპორტი უამისოდ წარმოუდგენელიცაა. მაგრამ უკადრებელი არავის უკადრებია და დაუვიწყარი სანახაობა უაზრო გამოხტომით არავის შეუბღალია. ალბათ, ეს სამაგალითო უნდა იყოს ნახევარფინალური მატჩების წინ, რადგან ყველაფრიდან ჩანს, იმ თამაშებშიც ბევრი ასეთი წუთი იქნება, მით უმეტეს, რომ გუნდები ახლა სამ გამარჯვებამდე იბრძოლებენ.

რა უნდა ითქვას ნახევარფინალურ წყვილებზე?

„აზოტი"-სდასუ. რა თქმა უნდა, ფავორიტები რუსთაველები არიან. „აზოტი" ჩინებულად ატარებს ჩემპიონატს. ოთარ ხმელიძის გუნდს თავისი გამოკვეთილი სახე აქვს და საკმაოდ გრძელი სკამიც გაარნია. რუსთაველთა მეტოქეებმა უპირველესად ირაკლი ჯაფარიძის პრობლემა უნდა გადაწყვიტონ. მისი გამჩერებელი ამ პირველობაზე ჯერ ვერ მოიძებნა. ირაკლი შესანიშნავ ფორმაშია და დიდი ყურადღებას მოითხოვს. თუმცა, თუ ეს ყურადღება მოწინააღმდეგემ მთლიანად ჯაფარიძეს დაუთმო, რუსთაველებს სხვა კარგი კალათბურთელებიც ჰყავთ, რომელთაც შეუძლიათ მატჩის ბედი გადაწყვიტონ. გუნდის მეორე ლიდერის რამაზ გოგობერიშვილის უნებელყოფაც არაა ადვილი. ამათ დაუმატეთ ვლადიმერ ბოისა, მიხეილ ბერუაშვილი, ზაზა გაბისონია, ლევან წიკლაური და მიხვდებით, რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული რუსთაველთა დამარცხება.

თუმცა, სდასუ ერთადერთია ამ სეზონში, ვინც ეს მოახერხა. რა კოზირები აქვს სდასუ-ს? უპირველესად, ნიკო ჩერქეზიშვილი და გია სანაძე. თუ ამ ორს თამაში წაუვიდათ და მათი შორეული ტყორცნებიც ილბლიანად მოხვდა მიზანს, რუსთაველებს საკმაო პრობლემები შეექმნებათ. თსუ-სთან მეოთხედფინალურ სერიაში შესანიშნავად გამოჩნდა ვასილ ოთიურიძეც, რომელმაც თავისთვის უჩვეულო, ცენტრის ამპლუაში ითამაშა. დიდი სარგებლობა მოაქვს „ჯიჯოს" — გიორგი ჩხეიძეს, რომელიც ჩინებულად თამაშობს დაცვაში, ფარზეც და შეტევების დაგვირგვინებაც შეუძლია. ლევან მგალობლიშვილი და გიგი ნაცვლიშვილიც შეერწყნენ გუნდს და ამტომ, ალბათ, თამაზ ოქრუაშვილის გუნდი მთლად უიმედოდ არ უნდა იყოს, მაგრამ, ვიმეორებ, თუ ოთიურიძე, მუშკუდიანი და სხვები უპირველესად ჯაფარიძის პრობლემას მოაგვარებენ.

„დინამო" — „ვითა". ამ გუნდების მატჩები ჩვენს ჩემპიონატში „ბარსელონა" — „რეალის" დაპირისპირების მსგავსად იქცა. დინამოელები კახაბერ შენგელაიას დაბრუნებით მკვეთრად გაძლიერდნენ (ალბათ, ის ერთადერთიაა ჩვენს ჩემპიონატში, ვისაც ჯაფარიძის მეურვეობაც შეუძლია). გუნდს ძალიან კარგი უკანა ხაზი ჰყავს ირაკლი მაისურაძის და ირაკლი ხოშტარიას შემადგენლობით და ქვეყნის ერთერთი საუკეთესო ცენტრალშამბელი ვლადიმერ ბეჟანიშვილიც და გარეკანზეც დიდი ძალაა. გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეებიც ნელნელა უმატებენ თამაშს. ასე რომ, „დინამოს" ჩემპიონობისთვის ბრძოლის ძალაც შესწევს.

„ვითაზე" წელს ბევრი დაიწერა და ბევრჯერ ითქვა, რომ ჩემპიონი ფაქტობრივად ახალ გუნდს ჰქმნის, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი იოლად შეელევა ტიტულს. „ვითას" შემადგენლობა თანაბარძალოვანია, სხვა ნახევარფინალისტებისგან განსხვავებით არ ჰყავს გამორჩეული ლიდერები, რომელთაც კრიტიკულ მომენტში გუნდის სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტონ სიტუაცია, რაც აუცილებელია. თუმცა ნახევარფინალურ სერიაში შეიძლება ასეთები გამოჩნდნენ. გუნდს დაუბრუნდა მამუკა ტურაშვილი, რომელიც ჯერ არაა ჩვეულ ფორმაში, მაგრამ, სავსებით შესაძლებელია, ეს როლი შეასრულოს. დღითიდღე უმატებს ნორჩი ლაშა ლოსაბერიძე, რომელსაც აქვს პოტენცია, გუნდის ლიდერადაც იქცეს, მაგრამ რამდენად მოახერხებს ასეთ დაძაბულ მატჩებში, ძნელი სათქმელია. კარგა ხნის ტრავმის შემდეგ ფორმაში შედის ნუგზარ კოკოლიშვილი. მამუკა აბრამიძემ და ალეკო დავითულიანმა, რომელთაც შარშან შესანიშნავი სეზონი ჩაატარეს სდასუ-ში, რატომღაც „ვითაში" უკლეს თამაშს. თუ აბრამიძე მაინც „ვითას" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, დავითულიანი რომ შარშანდელ ფორმაში იყოს, „ვითას" მეტოქეებს ძალიან ბევრი პრობლემა შეექმნებოდათ. ასეა თუ ისე, ჩემპიონს ძლიერი შემადგენლობა ჰყავს და მისი მატჩები „დინამოსთან" უდიდეს ინტერესს იწვევს. გავბედავ და ვიტყვი, რომ წყვილს გამარჯვებულის გამოსავლენად, ალბათ, ყველა ხუთი მატჩი დასჭირდება.

მოკლედ, ერთი რამ ცხადია, ნახევარფინალში გასულმა ოთხივე გუნდმა მთელი ჩემპიონატის მანძილზე გამოამყღანა დიდი ბრძოლისუნარიანობა, გამარჯვებისკენ სწრაფვის წყურვილი და უბრძოლველად მეტოქეს არაფერს დაუთმობს. ეს კი გულშემატკივრებისთვის იქნება სასიხარულო, რადგან ისინი, უეჭველია, უაღრესად დაძაბულ შეხვედრებს იხილავენ.

გია აგლაძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

თსუ — სდასუ. გოჩა წოწელიას და გიგი ნაცვლიშვილის (15) ორთაბრძოლა

სამარანჩი როგს მემკვიდრედ ამზადებს

ლოზანიდან ამბავი მოვიდა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მემკვიდრე შესაძლოა გახდეს ბელგიელი ქირურგი ჟაკ როგი.

როგი სოკ-ის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოღვაწეა და სიდნეისა და ათენის ზაფხულის ოლიმპიადების საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარეა. მას დიდი როლი აქვს სოკ-ის მმართველ საბჭოშიც.

ქირურგი-ორთოპედი ჟაკ როგი ადრე იახტსმენი და მორაგბე იყო.

რახან სამარანჩმა გამოაცხადა, 2001 წელს ქუდს დავიხურავო, მისი სახელიც ამის გამო წამოტივტივდა. მოხუც ესპანელს ხომ ძალიან მოსწონს ენერგიული ბელგიელი.

ჟაკ როგი ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ერთობის თავკაცის რანგში თბილისს არაერთხელ სწვევია. ეს ფოტო 1995 წლის ოქტომბერშია გადაღებული. მაშინ ბატონი როგი (მარცხნიდან მესამე) საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მუზეუმის გახსნაზე საპატიო სტუმრად იყო წვეული.

აბა, მუშტი-კრივიც ვნახოთ!
ხვალ თბილისში პირველად გაიმართება
ბრძოლა წესების გარეშე

წესგარეშე ბრძოლის ორგანიზატორებმა გუშინ სპორტის სასახლეში პრესკონფერენცია გამართეს.

ბრძოლები, ადრეც გაცნობეთ, 5 აპრილიდან დაიწყება და რვა კვირადღის განმავლობაში გაიმართება. ჩხუბები ეტაპებადაა დაყოფილი ოლიმპიური სისტემით. პირველ კვირას ერთმანეთს 12 სპორტსმენი შეერკინება, რომელთაგანაც ოთხი ალტერნატიული იქნება. ასე გაგრძელდება ყოველ კვირას, ოღონდ სხვა თორმეტეული ჩხუბებს. ეტაპებზე გამარჯვებულები საბოლოოდ ნახევარფინალში და ფინალში სცდიან ერთმანეთის ცემას, გამარჯვებული კი პრემიად 8500 ლარს მიიღებს. იქვე იმუშავებს ტოტალიზატორი. ჩხუბები ურაუნდო 12-წუთიანი იქნება. გამარჯვებულის ვერგამოვლენისას კი დამატებით ორი 3-წუთიანი რაუნდი დაინიშნება. გამორიცხულია წინასწარ დადგმული ჩხუბები, ქართველი კაცი ამას ვერ შეეგუებაო — თქვეს ორგანიზატორებმა. ამაში დასარწმუნებლად ისიც გამოდგება, რომ მონაწილეები თავიანთი მეტოქის ვინაობას ჩხუბამდე რამდენიმე წუთით ადრე, პირდაპირ რინგზე შეიტყობენ.

მოკლედ, ხვალიდან ორი თვის ყოველ კვირადღეს, 16 საათზე, სპორტის სასახლე გიმასპინძლებთ. ბილეთები 3 და 4 ლარი ღირს.



თსუ — სდასუ. მესამე მატჩის შემდეგ: კამათი იყო, შეურაცხყოფა არა!

რეგულარული ჩემპიონატი

შაკილ ონილი

ნიუ ჯერსი 106:117 ლეიკერსი

ნიუ ჯერსი: კასელი (18)
ლეიკერსი: ონილი (50), ბრაიანტი (20)



შაკილ ონილი ისეთი ბიჭია, 50 ქულას კიდევ და ალბათ არაერთხელ მიითვლის

წააგო პლეი ოფის საგზურის კიდევ ერთმა მაძიებელმა, არადა, კარგად ითამაშა. მისი მარცხის თავი მიზეზი ლეიკერსის სუპერცენტრი შაკილ ონილია, რომლის იმდღეანდელ თამაშზე ერთი ითქმის — ბრწყინვალე! ექსორლანდოელმა შაკმა ნიუ ჯერსის ტრავმირებული ცენტრის ჯეისონ უილიამსის შემცვლელი, ასევე ექსორლანდოელი რონი საიკლი დაჩაგრა და სეზონში ყველაზე მეტი, 50 ქულა მითთვალა. აქამდე ონილს 50 ქულაზე მეტი ერთხელ, 1994 წელს მიუთვლია, როცა ორლანდოში მყოფმა 54 ქულა გაახარა. ონილის შედეგი საუკეთესოა სეზონში ვაშინგტონელ ტრეისი მიურეისთან ერთად.

1 აპრილი

იუტა 98
პორტლენდი 89

იუტა: ჰორნაჩეკი (31), მელოუნი (29)
პორტლენდი: სტუდემაიერი (22)

NBA-ში გუნდი არ მოიძებნება, იუტას რომ მოუგოს სოლტ ლეიკ სიტიში, თუ რა თქმა უნდა, ეს თამაშის იშტაზეა. პორტლენდმა ეს კარგად უწყოდა: შარშან პლეი ოფის პირველ წრეში პორტლენდელები სწორედ მომავალ ფინალისტ იუტას გადაეყარნენ და მხოლოდ იმიტომ წააგეს, რომ იუტას შინ უფრო მეტმა თამაშმა მოუწია. 1 აპრილს სტუმრებს აკლდათ უბერველესი ბომბარდირი ალზია რაიდერი, რომელიც მწვრთნელმა მარკ დანლივიმ დასვა, ვარჯიშებზე დაგვიანებას შეეჩვიეო. ასე თუ ისე, პორტლენდმა რაიდერის გარეშე დაიწყო და საკმაოდ კარგადაც, მაგრამ ბედი არ გინდა?! მეორე ნახევრის ბოლოს დაშავდა სტუმართა ლიტველი ცენტრი არვიდას საბონისი. და მაინც, პირველი ნახევარი პორტლენდს დარჩა 47:43, მაგრამ მეორეში თავი გამოიდეს იუტელთა ლიდერებმა კარლ მელოუნმა და ჯეფ ჰორნაჩეკმა, უფრო კი ამ უკანასკნელმა, ვინაც მეორე ნახევარში 20 ქულა გაახერხა, სულ კი სეზონში სარეკორდო — 31.

დენვერი 100:106 მილუოკი

დენვერი: ფორსტონი (24+10 მოხსნა), ალექსანდერი (23)
მილუოკი: ალენი (21), ჰონიკატი (20)

უთმელო დენვერს ჰქონდა შანსი, თავისი მოგებების ოდენობა ორნიშნა ციფრით გამოეხატა, მაგრამ მილუოკის და მისმა ახალბედა ჰონიკატმა არ დაანებეს. ჰონიკატმა ბოლო მეოთხედში 12 ქულა გაახერხა, აქედან სამი სამქულიანი და კარიერაში სარეკორდო 20 ქულას გამოჰკრა ხელი. დენვერმა კი მისთვის კოშმარულ ამ სეზონში 30-ე საშინაო მარცხი იწვნია.

ორლანდო 87:98 ბოსტონი

ორლანდო: ანდერსონი (18)
ბოსტონი: უოლკერი (18+15 მოხსნა)

ორლანდოს შეუერთდა მისი ლიდერი ნიკ ანდერსონი (რომელმაც მცირე ტრავმის გამო სამი თამაში გამოტოვა) და, რა თქმა უნდა, გუნდში ყველაზე შედეგიანი ის იყო, მაგრამ ბოლო 12 მატჩიდან ათის წამგებ ბოსტონს ახლა მოუნდა თავის გამოდება და პლეი ოფისთვის მებრძოლ გუნდს ზედიზედ მეორე მარცხი აწვნია.

დეტროიტი 90:92 კლივლენდი

დეტროიტი: ჰანტერი (17)
კლივლენდი: კემპი (26+14 მოხსნა)

ამ წაგებამ დეტროიტელები სიზმრიდან გამოარკვია. მათი ოცნება, მოხვედრილიყვნენ პლეი ოფში, ოცნებადვე დარჩა, რაც ცხადია, მათივე ბრალია: შარშანდელ სეზონში აღმოსავლეთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს წლეულს იმდენიც ვეღარ მოუგია, რამდენსაც აგებს. იმ დღეს მასპინძლებმა დიდი ომი გაუწიეს მეზობელ კლივლენდს, მაგრამ იღბალმა მათ ზურგი აქცია. ეს შეხვედრა საერთოდაც ერთობ დრამატული იყო, განსაკუთრებით კი ბოლო წუთი, რომლის დასაწყისში სტუმრები ოთხი ქულით იყვნენ წინ. დეტროიტელმა ბრაიან უილიამსმა (12 ქულა) ჩატენა, რასაც ჯო დუმარმა (15 ქულა) სამქულიანი დაურთო და თავისიანები 23 წამით ადრე 88:87 დააწინაურა. სტუმრები არ დაბნეულან და სედრიკ ჰენდერსონის ორი საჯარიმოთი კვლავ წინ გავიდნენ. აქ კი დუმარსს არ გაუმართლა, სამქულიანი აცილა. კლივლენდმა კიდევ მისცა შანსი დეტროიტს, როდესაც სურამ ორივე ჯარიმა აცილა, მაგრამ ვეტერანი დუმარსი კვლავ არაზუსტია. მისი აცილებული კლივლენდის ახალბედა გამთამაშებელმა ბრეინ ნაიტმა (14 ქულა, 15-პასი, 5 ჩაჭრა) მოხსნა, მას კი ჯერი სტეკჰაუზი ისე უხმოდ ეთამაშა, რომ იატაკზე გაშხლართა. ჩია, 180-სანტიმეტრიან ნიტს თანაგუნდელები კემპი, პოტაპენკო, სკოტი გამოექომაგნენ და სტეკჰაუზს საქმის გარჩევა დაუწყეს. ამ დავადარების ჩაწყნარებისთანავე კლივლენდელმა უესლი პერსონმა (15 ქულა) სამქულიანი ჩააგდო, რის შემდეგაც დეტროიტელთა ბოლო ორი ქულა კარის გაჯახუნებასღა გავდა. ზემოთ ნახსენები ინციდენტი ლიგამ სასწრაფოდ განიხილა და სტეკჰაუზს 5000 დოლარი გადაახდევინა; ნაიტს გამოქომაგებულ სამ კლივლენდელს კი 2500-2500 აკმარა.

ვაშინგტონი 91:112 ფილადელფია

ვაშინგტონი: მიურეი (18)
ფილადელფია: კოულმენი (30+11 მოხსნა), აივერსონი (30)

2 აპრილი

სიეტლი 107:86 დალასი

სიეტლი: პეიტონი (22)
დალასი: გრინი (21)

ჰიუსტონი 94:104 გოლდენ სტ.

ჰიუსტონი: უილისი (24+12 მოხსნა), ოლაჯუონი (21)
გოლდენ სტეიტი: ჯეკსონი (33+11 პასი), მარშალი (21+11 მოხსნა)

ლიგაში ერთ-ერთი უსუსტესი გოლდენ სტეიტი ბოლო დღეების უმთავრესი სენსაციის მომხდენია: მოუგო 1994 და 95 წლების ჩემპიონს, რომელსაც საუკეთესო დღეები არ უდგას.

სან ანტონიო 103:89 მაიამი

სან ანტონიო: დანკანი (22+14 მოხსნა), რობინსონი (21+14 მოხსნა)
მაიამი: პარდევეი (21)

სტუმრებს აკლდათ ყბაგატეხილი ყორი ალონზო მურნინგი, მის გარეშე კი მაიამი ვერას გახდა დანკანთან და რობინსონთან. ამ უკანასკნელს ერთი პასი დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

ინდიანა 111:108 მინესოტა

ინდიანა: ა. დევისი (23+11 მოხსნა), მილერი (21)
მინესოტა: გარნეტი (24+12 მოხსნა), მიტჩელი (22)

ინდიანამ მშვენივრად დაიწყო, საწყისი მეოთხედი 35:16 მოიგო და საქმე მოთავებულად ჩათვალა. მაგრამ სტუმრები სხვას ფიქრობდნენ. მინესოტამ გარნეტის მეთაურობით ნელ-ნელ შეამცირა სხვაობა და მატჩის დამთავრებამდე 13 წამით ადრე ენტონი პილერს სამქულიანი რომ არ აეცილებინა, მინესოტა ალბათ არ წააგებდა.

ნიუ იორკი 81:70 კლიპერსი

ნიუ იორკი: ჯონსონი (21)
კლიპერსი: ოსტინი (18+12 მოხსნა)

აღმოსავლეთი კონფერენცია

ჩიკაგო*	56	17	76,7
მაიამი*	52	22	70,3
ინდიანა*	51	22	69,9
შარლოტი*	46	26	63,9
ატლანტა	43	29	59,7
კლივლენდი	42	31	57,5
ნიუ იორკი	41	33	55,4
ნიუ ჯერსი	37	36	50,7
ორლანდო	37	37	50,0
ვაშინგტონი	36	37	49,3
დეტროიტი	34	40	45,9
მილუოკი	32	41	43,8
ბოსტონი	32	41	43,8
ფილადელფია	27	46	37,0
ტორონტო	15	57	20,8

დასავლეთი კონფერენცია

სიეტლი*	55	18	75,3
იუტა*	54	18	75,0
ლეიკერსი*	53	20	72,6
სან ანტონიო*	51	23	68,9
ფინიქსი*	48	32	65,8
პორტლენდი*	40	32	55,6
მინესოტა*	38	35	52,1
ჰიუსტონი*	37	36	50,7
საკრამენტო	26	47	35,6
დალასი	19	55	25,7
ვანკუვერი	16	56	22,2
კლიპერსი	16	57	21,9
გოლდენ სტეიტი	16	58	21,6
დენვერი	9	64	12,3

* *გაკვიდნენ პლეი ოფში*

მთავარმა ხარმა კარგად მოხნა

1 აპრილს ლიგამ თვის რჩეულნი გამოავლინა. საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა „ჩიკაგო ბულზის“ ლეგენდარული მაიკლ ჯორდანი, რომელმაც ეს ტიტული დეკემბერშიც ირგუნა. ჯორდანის საშუალო შედეგიანობა მარტის 14 თამაშში 28,9 ქულა, 5,3 მოხსნა, 3,5 პასი და 2,1 ჩაჭრაა. მარტის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს იუტას დამრიგებელი ჯერი სლოუნი, ვინაც გუნდს 17 თამაშიდან 15 მოაგებინა, აქედან 10 სტუმრად. საუკეთესო ახალბედად კი, ზედიზედ მეხუთედ, დაასახელეს სან ანტონიოს თავდამსხმელი ტიმ დანკანი (საშუალო შედეგიანობა 23,8 ქულა, 12,6 მოხსნა).

ვილნევმა გიტარა ვერ აბნყო

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1-ის ჩემპიონატის მეორე ეტაპის შემდეგ „მაკლარენის“ უპირატესობა კვლავ აშკარაა, თუმცა კი გუნდმა ამჯერად ვერ მოახერხა ყველა დანარჩენის ერთი წრით ჩამოტოვება.

„ფერარის“ ხელმძღვანელმა ჟან ტოდტმა, რომელმაც წლეულს თავი გამოიჩინა როგორც მომჩივანმა (პირველი ეტაპიდანვე უჩივის „მაკლარენს“ მუხრუჭების გამო), კვალიფიკაციის შემდეგ განაცხადა, პოულის მფლობელთან ჩამორჩენას ველოდი, მაგრამ იმედი მაქვს, მომავალში სხვაობა კიდევ უფრო შემცირდება და რბოლაც გამწვავდებაო.

მშვიდად იყო მიხაელ შუმახერიც, თუმცა უკმაყოფილებას არ მალავდა იმის გამო, რომ მესამე სასტარტო პოზიცია ფრენცენს დაუთმო, ხოლო კვალიფიკაციის პერიოდში ბოლიდის დარეგულირების შეცვლამ შედეგი ვერ გამოიღო. იგი მაინც იმედოვნებდა, რომ „დანარჩენებს“ შორის საუკეთესო იქნებოდა.

ირვინი კი ხარობდა, რომ ბევრით არ ჩამორჩა „შუმის“ და მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობის გამო წუხდა.

მართლაც, რბოლაში შუმახერი მხოლოდ რონ დენისის დუეტს ჩამორჩა და გუნდს წლეულს პირველი პოდიუმი მოუტანა. რბოლის შემდეგ მან ასე შეაფასა ასპარეზობა: „ეფიქრობ, იმ ტექნიკით, რაც გაგვაჩნია, საუკეთესო შედეგს მივაღწიეთ. მინდა, გუნდს, რომელმაც კარგად იმუშავა, მადლობა გადაუხადო. არგენტინისთვის კი ცელილებები დავგეგმეთ და ეს, ალბათ, „მაკლარენის“ ბიჭებთან გაკიბრების საშუალებას მოგვცემს“.

კმაყოფილი გახლდათ ტოდტიც: „ჩვენმა მანქანამ რბოლა საპრიზო ადგილზე დაასრულა, ორივე ბოლიდი კი ფინიშამდე მივიდა, ეს უკვე კარგი შედეგია. ვიცით, რომ ბევრი სამუშაო გველის, განსაკუთრებით საბურავების მხრივ, სწორედ აქას შეეძლება მომავალში ტიტულისთვის ბრძოლა — წინ ხომ კიდევ 14 რბოლაა“.

იტალიელთაგან განსხვავებით, უკმაყოფილება იერძნობოდა „უილიამსის“ ბანაკში. ჟაკ ვილნევი არ მალავს, რომ მათი ბოლიდი არ არის სასურველ დონეზე: „ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი მანქანა გაუმჯობესდა პირველ რბოლასთან შედარებით. მე ისევ კმაყოფილი ვარ ბოლიდით, როგორც ჩემი ვიტარის ჟღერადობით ახალი სიმღერის შესწავლისას. ვარჯიშებზე რამდენჯერმე ვცადეთ ბოლიდის ახლებურად დარეგულირება, მაგრამ უშედეგოდ“.

წინა ორივე ეტაპზე მაკლარენელებმა „რკინის ფრენკის“ ბიჭები ერთი წრით ჩამოიტოვეს, რაც კონსტრუქტორთა შორის ჩემპიონისთვის მართლაც სამარცხვინოა. ამათ სანუგეშოდ ისღა დარჩათ, რომ ორივე რბოლაში გუნდის პილოტებმა ფინიშამდე მაღწიეს.

საშუალონიც არ არიან ერთ ჭკუაზე და თუ პროსტმა კომენტარისგან თავი შეიკავა და ესღა განაცხადა, ჩემი გუნდის უკეთესი დღეები ჯერ კიდევ წინააო, პეტერ ზაუბერმა თავისი გუნდის გამოსვლა დადებითად შეაფასა: „მიუხედავად იმისა, რომ ქულები ვერ მოვიპოვეთ, კმაყოფილი ვარ. ჩვენ მივაღწიეთ სისწრაფის მომატებას, რაც ასე გვაკლდა კვალიფიკაციაში. ორივე მანქანა და ძრავა მშვენივრად მუშაობდა. ალეზიმ შესანიშნავი სტარტის შემდეგ საუკეთესოდ იასპარეზა, ჰერბერტს კი ფინიშამდე რამდენიმე წრით ადრე ბოქსებში გამოუვიდათ. ფიციპალდი ნელსონ პიკემ შეცვალა, რომელმაც სამჯერ (1981, 1983, 1987) მოირგო ჩემპიონის გვირგვინი. ამას გვერდში „ჯადოქარი“ აირტონ სენა ამოუდგა და მანაც ჩემპიონური „ჰეთ-თრიკით“ ისახელა თავი. ამასთან სენა თავისი გამარჯვებით ბრაზილიელებში აბსოლუტური რეკორდსმენია. ხოლო მისი რეკორდი — 65 პოული, ალბათ, კარგა ხანს ხელუხლებელი დარჩება. 1987-91 წლებში გამართულ ჩემპიონატებში პიკემ და სენამ ჩემპიონის 4 ტიტული გაახარეს სამშობლო.

აირტონ სენა

ამ გრანდების გარდა, მსოფლიოს ჩემპიონატებში სხვა მათ თანამემამულეებიც მონაწილეობდნენ: მამა-შვილი ვილსონ და კრისტიან ფიტიპალდები, ინგო ჰოფმანი, ალექს რიბეირო, ჩიკო სერა, მაგრამ მათ თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

1994 წლის ტრაგედიის შემდეგ (ამ წელს „იმოლაზე“ სენა დაიღუპა) ბრაზილიელებმა იმედის თვალი ახალგაზრდა რუბენს ბარიჩელოს მიაპყრეს, მაგრამ „რუბინიომ“ ვერც ერთით ვერ მოახერხა ისეთ გამართულ გუნდში მოხვედრა, რომელიც გამარჯვების საშუალებას მისცემდა. ისე კი, ჰქონდა სენსაციური წარმატებებიც — პოული „ჯორდანით“ და შარშანდელი მეორე ადგილი მონტე კარლოში „სტიუარტით“.

ბოლო ხანებში ევროპაში გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები სენას სამშობლოდან — ჟილ დე ფერანი, რიკარდო ზონტა, ტორსუ მარკეში, მაგრამ მათ ფორმულა 1-ში ფეხი ვერ მოიკიდეს. ზოგი უფრო დაბალი კლასის პირველობებში მონაწილეობს, ხოლო დე ფერანი აშშ-ში გადაბარგდა, სადაც CART-ის პირველობაში ბრაზილიელები მონაწილეობენ რაოდენობით მხოლოდ მასპინძლებს თუ ჩამორჩებიან.

იმოტსონ ფიციპალდი

ბრაზილიელებს პირველი სერიოზული წარმატებები ამერიკაში კვლავ ემერსონ ფიტიპალდის მოუტანა, შემდეგ კი მრავალ ახალგაზრდა თვისტომს დაეხმარა „ინდიკარში“ მოწყობაში. თვით „ემომ“ კი რბოლები მხოლოდ ხერხემლის ტრავმის შემდეგ მიატოვა. მისი „პროტეჟეები“ და მიმდევრები კი საკმაო წარმატებით გამოდიან ამ პირველობაში. დე ფერანი უკვე ორი წელია, ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია, ხოლო „ემოს“ ძმისშვილი — კრისტიან ფიტიპალდი, მაურისი გუჟელმინი და რობერტ მორენო ყოველ რბოლაში წარმატებისთვის იბრძვიან. ასე რომ, ბრაზილიელ ავტომოყვარულთა ყურადღება ძირითადად CART-ის პირველობის კუნაა მიპყრობილი, თუმც კი ბრაზილიელები მოუთმენლად ელიან ახალ სენას გამოჩენას, რომელიც ამ ქვეყანას ძველ დიდებას დაუბრუნებს ფორმულა 1-ში.



ნელსონ პიკე

გრაზილიელთა სევდა და სიხარული

გასულ კვირას ბრაზილიის დიდი პრიზი 26-ედ გაიმართა და კვლავ გააწბილა იქაური მაყურებელი, რომელიც უკვე ხუთი წელია, ამაოდ ელის თვისტომის წარმატებას. ბრაზილიელთა მთავარმა იმედმა, 25 წლის რუბენს ბარიჩელომ, რომელიც ამ ასაკისთვის უჩვეულო, მექვსე სეზონს ატარებს ფორმულა 1-ში, 56 წრის შემდეგ დატოვა რბოლა, კიდევ ორი ბრაზილიელი — როსეტი და დანიელი კი უფრო ადრე გამოეთიშნენ ასპარეზობას.

აირტონ სენა

რამდენიმე წლის წინ კი ასობით ათასი ბრაზილიელი ისეთივე ზარზეიმით მიემართებოდა რბოლების სანახავად, როგორც ფეხბურთის მატჩებზე და თავიანთ პილოტთა შესანიშნავი გამოსვლითაც იწონებდა თავს. შინ ბრაზილიელებს 8-ჯერ გაუმარჯვიათ. საერთოდ კი, ამ ქვეყნის ოთხ პილოტს ჯამში 79 დიდი პრიზი მოუპოვებია: აირტონ სენას — 41, ნელსონ პიკეს — 23, ემერსონ ფიტიპალდის — 14, კარლოს პრის — 1. ამ შედეგით ბრაზილიელები მხოლოდ ბრიტანელებს ჩამორჩებიან. ეს უკანასკნელნი კი ფორმულა 1-ში გაცილებით მრავალად არიან.

პირველი გამარჯვება ბრაზილიელებს ემერსონ ფიტიპალდიმ მოუტანა 1970 წელს აშშ-ის დიდ პრიზზე. ამის შემდეგ კი მან ორჯერ — 1972 და 1974 წლებში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. გამარჯვებებით გათამამებულმა ბრაზილიელებმა საკუთარი წარმოების ბოლიდით „კოპერშუკარ-ფიტიპალდით“ სცადეს ბედი მსოფლიოს ჩემპიონატებში, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ფიციპალდი ნელსონ პიკემ შეცვალა, რომელმაც სამჯერ (1981, 1983, 1987) მოირგო ჩემპიონის გვირგვინი. ამას გვერდში „ჯადოქარი“ აირტონ სენა ამოუდგა და მანაც ჩემპიონური „ჰეთ-თრიკით“ ისახელა თავი. ამასთან სენა თავისი გამარჯვებებით ბრაზილიელებში აბსოლუტური რეკორდსმენია. ხოლო მისი რეკორდი — 65 პოული, ალბათ, კარგა ხანს ხელუხლებელი დარჩება. 1987-91 წლებში გამართულ ჩემპიონატებში პიკემ და სენამ ჩემპიონის 4 ტიტული გაახარეს სამშობლო.

ნელსონ პიკე

ამ გრანდების გარდა, მსოფლიოს ჩემპიონატებში სხვა მათ თანამემამულეებიც მონაწილეობდნენ: მამა-შვილი ვილსონ და კრისტიან ფიტიპალდები, ინგო ჰოფმანი, ალექს რიბეირო, ჩიკო სერა, მაგრამ მათ თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

1994 წლის ტრაგედიის შემდეგ (ამ წელს „იმოლაზე“ სენა დაიღუპა) ბრაზილიელებმა იმედის თვალი ახალგაზრდა რუბენს ბარიჩელოს მიაპყრეს, მაგრამ „რუბინიომ“ ვერც ერთით ვერ მოახერხა ისეთ გამარჯვებში მოხვედრა, რომელიც გამარჯვების საშუალებას მისცემდა. ისე კი, ჰქონდა სენსაციური წარმატებებიც — პოული „ჯორდანით“ და შარშანდელი მეორე ადგილი მონტე კარლოში „სტიუარტით“.

ბოლო ხანებში ევროპაში გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები სენას სამშობლოდან — ჟილ დე ფერანი, რიკარდო ზონტა, ტორსუ მარკეში, მაგრამ მათ ფორმულა 1-ში ფეხი ვერ მოიკიდეს. ზოგი უფრო დაბალი კლასის პირველობებში მონაწილეობს, ხოლო დე ფერანი აშშ-ში გადაბარგდა, სადაც CART-ის პირველობაში ბრაზილიელები მონაწილეობენ რაოდენობით მხოლოდ მასპინძლებს თუ ჩამორჩებიან.

იმოტსონ ფიციპალდი

ბრაზილიელებს პირველი სერიოზული წარმატებები ამერიკაში კვლავ ემერსონ ფიტიპალდის მოუტანა, შემდეგ კი მრავალ ახალგაზრდა თვისტომს დაეხმარა „ინდიკარში“ მოწყობაში. თვით „ემომ“ კი რბოლები მხოლოდ ხერხემლის ტრავმის შემდეგ მიატოვა. მისი „პროტეჟეები“ და მიმდევრები კი საკმაო წარმატებით გამოდიან ამ პირველობაში. დე ფერანი უკვე ორი წელია, ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია, ხოლო „ემოს“ ძმისშვილი — კრისტიან ფიტიპალდი, მაურისი გუჟელმინი და რობერტ მორენო ყოველ რბოლაში წარმატებისთვის იბრძვიან. ასე რომ, ბრაზილიელ ავტომოყვარულთა ყურადღება ძირითადად CART-ის პირველობის კუნაა მიპყრობილი, თუმც კი ბრაზილიელები მოუთმენლად ელიან ახალ სენას გამოჩენას, რომელიც ამ ქვეყანას ძველ დიდებას დაუბრუნებს ფორმულა 1-ში.

კორაჩის თასი პატრონს ჩაბარდა

ევროლიგა

მესამე დამატებითი მატჩები ფინალურ ეტაპზე გასასვლელად

ბენეტონი (ტრევიზო, იტალია) — ეფეს პილზენი (სტამბოლი, თურქეთი) 76:68; პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია) — ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) 89:77

ბენეტონი და პარტიზანი დაემატნენ ადრე გასულ ათენის აეკ-ს და ბოლონიის კინდერს და ეს ოთხი გუნდი იბრძოლებს ევროპის საუკეთესო კლუბის ტიტულის მოსაპოვებლად.

ევროთასი

ნახევარფინალი

სტეფანელი (მილანი, იტალია) — პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) 86:61 (პირველი მატჩი 58:77)
ავტოდორი (სარატოვი, რუსეთი) — ჟალგირისი (კაუნასი, ლიტვა) 73:63 (პირველი მატჩი 74:96)

სტეფანელი და ჟალგირისი თასის ფინალს 14 აპრილს ითამაშებენ ბელგრადში.

რაღოვოე კორაჩის თასი

ფინალი

ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია) — მარკეტი (რომი, იტალია) 64:73 (პირველი მატჩი 74:68)

კორაჩის თასი იტალიელებმა მოიპოვეს.

თურქებს კაცები შნდათ, ფრანგებს — ქალები

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა, რომ კაცთა შორის 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი თურქეთში ჩატარდება, ქალები კი საფრანგეთში შეერკინებიან ერთმანეთს. ფიბამ ასევე გადაწყვიტა, რომ 2003 წლის კაცთა პირველობა შვედეთში გაიმართოს, ქალთა შეკიბრის მასპინძელი კი ჯერ ვერ დადგინდა.

2001 წლის კაცთა მსოფლიოს ჩემპიონატი 1-9 სექტემბერს ჩატარდება სტამბოლსა და ანკარაში. ქალები კი 25 მაისიდან 8 ივნისამდე შეერკინებიან ერთმანეთს ორლეანში, ნანტსა და გრენობლში.

მაიკლ ჯერკოვიცის რჩეული საპრიზო ფურცლები

თუხცელი მეკათე



ძია ჯორჯი ჯახის შემდეგ: სათვალე დასიებულ თვალებს უფარავს

წერილი

„ძვირფასო ჯორჯ

როგორა გაქვს თვალი? ბოლოჯერ რომ გნახე, მტრისშემდგომ ინტერვიუს ძლეული შულცთან ორთაბრძოლის შემდეგ. მარწმუნა თვალი იმედგარად გქონდა გახიებული, რომ ხათვალის გაკეთებას დაპირდი, მაგრამ შენი ცხვირის ხრულიად განსაკუთრებული ფორმა და ათრთოლებული ხელები ამის საშუალებას არ გაძლევდა.

განა არ მეხმის? ხისხლხაქცევები და დახიებული თვა-ბირი შენი ბროფესიის ნაწილია, მაგრამ თვალებს უნდა გაუფრთხილდე. ხომ უნდა დაინახო, რამდენი ნული მიემატება შენს ხაბანკო ანგარიშს. ამ ნულების რაოდენობა დღითიდღე იზრდება, მაგრამ შენი დაწუნარება არა და არ იქნა. მატარებელი გვიდა, ჯორჯ. შენ 46 წლისა ხარ? რა მოქცა შულცის დამარცხებამ? უფრო ხწორად იმან, რაც შენს გამარჯვებად მოინათლა. შენ ჩემპიონი ხარ და რა გამოდის ამით? არც არაფერი. შენ მოხაწყენი ხარ, ხპორტი სხვა გზით მიდის. გხიამოვნებს რინგზე დგომა? ძალიან მგეწყება ამიხა. თუ მართლა გიეუარს კრივი, დაამტკიცე ეხ მახთან გამოთხოვებით. ამით შენთვისაც კარგ ხაქმეს გააკეთებ და კრივისთვისაც.

მარად შენი,

ნაიჯელ კოლინზი

„რინგის“ მმართველი რედაქტორი

P.S. მეკობრეებად კრჩებით?“

ეს წერილი ორწელიწადნახევრის წინათ გამოქვეყნდა, მაშინ, როცა ჯორჯ ფორმენი ფედერაციის ჩემპიონის ქამარს მისწვდა და დამთვლელ მსაჯთა, კერძოდ კი, სამიდან ერთ-ერთის, ჯერი როტის მიერ მის სასარგებლოდ დათვლილი ორი დარტყმით ლას ვეგასის ტრიუმფატორი შეიქნა.

ამას როგორი ამბავიც მოჰყვა, წერილიდანაც ჩანს. ყველას მობეზრდა უვარგისი ძია ჯორჯი, რომელიც ღმერთმა იცის, რატომ იდგა რინგზე. ზონზოროხა, დუნე, ხელგამრუდებული, ძალაგამოცლილი კაცი, რომელიც თავს არ გვანებებს. რა, მის ფულის კეთებას უნდა შევეწიროთ?

შემდეგ ფორმენი მშიშარა კაცივით მოიქცა. შულცს უარი უთხრა რემატჩზე, ყველა ტიტული ჩამოერთვა და ლაქლაქს მოჰყვა, ყველას ყელში გავეჩხირეო. ამით დამთავრდა რინგზე დაბრუნებული რკინისკვინტელის ამბავიც, იფიქრა ხალხმა, მაგრამ ჯერ სად იყო? ფორმენი ვერ წავიდა.

თუნდაც ათასი დამცინავი და სალანძღავი წერილის ფასად, ბებერი ჯორჯი რინგზე დარჩა.

ფულზე გადარეული კაციაო, ამბობენ ერთნი. გაგიჟდაო, თვლიან მეორენი, ჭკვიანი როდის იყოო, უმატებენ მესამენი, არა, ძალიანაც ჭკვიანიაო, ფიქრობენ სხვანი.

პრ არსებობს მეორე ასეთი კაცი...

„ტიტა კაცი ჯერ არ გამხდარა ღმერთვარჯა წლისა და მაინც პესიმისტია, მეცხი ცამ სცოდნია ამ ქვეყნისა, მაგრამ, ტიტა კაცი ღმერთვარჯას გადასცდომა და ოპტიმისტად ცჩეომა, არათუცხი სცოდნია.“ ***მარკ ტვენი***

ფულით გატენილი გულია ასე ჩხუბობდეს, არც გვსმენიაო, ეს კიდევ სხვათა აზრია.

ჯორჯ ფორმენი კი ბარე მეოცედ აცხადებს, ამ შემოდგომაზე კრივს გამოვთხოვები და საქმეს მივხედავო.

შრჩხულის დაბრშნება

ყველას დაავიწყდა ამ ამბის დასაწყისი. ყველას დაავიწყდა, ვინ იყო ჯორჯ ფორმენი, როდის იყო ჯორჯ ფორმენი და როგორ ჩხუბობდა ჯორჯ ფორმენი. ყველამ იცის, რომ ჯორჯ ფორმენი არის. ის თითქოს კრივთან ერთად დაიბადა. ჯორჯ ფორმენი უკვე იქცა ისტორიად, ოღონდ მისი თავისებურება ის არის, რომ ის ცოცხალი ისტორიაა. ალბათ, საკრივო ღმერთმა სწორედ ამ კაცში გადაწყვიტა თავისი უკვდავების განივთება.

რატომ დგას ფორმენი რინგზე?

ამ კითხვაზე ასი პასუხი მაინც არსებობს. როგორ შეუძლია ორმოცდათს მიტანებულ კაცს ორმოცდახუთი წუთი გაატაროს ხელების ქნევაში? ოთხი გაცილებული ცოლის, რვა შვილის, მრავალი ვირო ბიზნესის პატრონს, ბარე ოცი ჰამბურგერის ერთბაშად შემთქლეფს, თავადაც ჰამბურგერების, კენტუკური შემწვარი წიწილების კოლოფებზე გამოხატულს, ვიდეოთამაშების გმირს, ეკლესიების ამშენებელს, განა კიდევ კრივის თავი აქვს?

ერთხანს ჯორჯ ფორმენი ბიბლიის სახალხო მკითხველად, მქადაგებლად იყო. იმასობაში ლუდსაც ეძალებოდა. განთქმული მსმელი იყო მთელს ტეხასში. ლუდისმხვრეპთა საკრივო შეჯიბრებებშიც მონაწილეობდა და ბარე სამ კაცს ერთად გააბურთავებდა ხოლმე. ჭამა-სმას არ იკლებდა და ღიპიც გვარიანი ედო. ის ერთ-ერთი პირველი იყო, ხოტორა თავი რომ დაამკვიდრა ზანგთა შორის. ეჰ, სადღა იყო ძველი ქოჩორი. ქონებაც, ასე ვთქვათ, ველარ... ჯიბე უძირო ხომ არ ჰქონდა?

ძია ჯორჯი, მაშინ ოცდათვრამეტი წლისა იყო და უპატრონოთა თავშესაფრისა და სამლოცველო სახლის აშენებაზე ფიქრობდა. ამისთვის გვარიანი ფული იყო საჭირო და ვიღას ახსოვდა მშობელ სამხრეთში ჩაკარგული ძველი მებრძოლი?

ერთხელაც, ლუდით გაბერილმა გაიფიქრა: „რა სისულელეა?“ და იმ დღეს დაიბადა მოკრივე ჯორჯ ფორმენი.

ასე იყო — ეს სხვა ჯორჯ ფორმენი გახლდათ, არა ის, ძველი, კანშასაში წაქცეული მანამდე უძლეველი ჩემპიონი, არამედ სხვა, ახალი, ორმოცი წლის კაცი.

თავიდანვე ამბობდა: „იმიტომ ვბრუნდები, რომ მაიკ ტაისონი უნდა გავლახო. ამონაგები ფულით კი ეკლესია ავაგო“.

ტაისონს უკვირდა: „სად გაგონილა, ხალხის ცემით მოგებული ფულით ღვთის სახლს აშენებდნენ. თანაც, ჩემამდე შორია“.

ტაისონამდე მართლაც შორი იყო. ფორმენმა რომ პრეტენდენტობის უფლება მოიპოვა, ტაისონი უკვე აღარ იყო ჩემპიონი. ბასტერ დუგლასისგან ნაგვემი გახლდათ. დუგლასს კი ევანდერ ჰოლიფილდი მოერეოდა. ასე რომ, ძია ჯორჯი ჰოლიფილდს შეება და ქულებით დამარცხდა. და ეს არ იყო დასასრული. დასასრული დღესაც არა აქვს ამ ამბავს, რადგან ამ შერკინებიდანაც ბარე შვიდი წელიწადი გადის. არავის ახსოვს დასაწყისი. არავის ახსოვს ფრეზერისა და ნორტონის მომრევი დაუნდობელი ახალგაზრდა.

სამაგიეროდ, ყველას ახსოვს მეორე — ორმოცს მიტანებული კაცი, რომელიც რინგზე გამოჩნდა და ზეღიზედ ოცდახუთი ბრძოლა მოიგო, რათა ქამრისკენ გაეკვალა გზა.

ჭამა-სმა საყვარელი საქმიანობაა

„ურჩხული დაბრუნდა!“ — დაწერეს გაზეთებმა.

ძაან სანახავი იყო, ნოკაუტებით სცემდა ძირს ყველას.

ორ დუიხ რიხკზე დაბრუნებულ ყველაზე სხელოვან ჩემპიონს შორის ვერც ერთი გამოდგა ასეთი. ვერც ერთმა გაძლო ამდენ ხანს. არც ერთი არ ჩამოშორებია რინგს ამდენი წლით. ისვენებდა ათ წელიწადს, მას შემდეგ კრივობს ათ წელიწადს, ამ ათ წელიწადში წაიგო მხოლოდ სამჯერ და მოიგო ოცდათზე მეტი შერკინება.

სხვა არავინ ყოფილა ასეთი. არავის ჰქონია გაძლება და ჟინი. ფული? ეს თავისთავად გამოვიდა, ჯორჯ ფორმენმა თავად შექმნა თავისი ახალი სახე, ე.წ. „დადებითი იმიჯი“.

„ახალგაზრდობაში არავის მოვწონდი, ცხოველს მეძახდნენ. ახლა კომპიუსებში მხატავენ როგორც კეთილ მოხუცს“.

ძია ჯორჯი...

ძია ჯორჯ, გეკამეც ზღაპარი შენი ცხოვრებისა, გვითხარი, რა ხდება და როგორ? საკრივო ქომაგთა შორის უწლოვანმაც კი იცის, რომ დღეს ბერიკაცი ფორმენი ვერაფერს გაუწყობს უძლიერესთა წინააღმდეგ. სამი წლის წინათ კიდევ შეიძლებოდა ამაზე ფიქრი, მაგრამ ახლა სასაცილოც კია.

როცა ტაისონი ციხიდან გამოვიდა, წამსვე ატყდა ხმაური. ერმა და ბერმა საოცნებო ჩხუბად მისი და ჯორჯის შეყრა გამოაცხადა. ფორმენმა ერთი-ორი დამამცირებელი სიტყვა ესროლა მაკს და იდეა ამით ამოიწურა. ცხადი იყო, ჯორჯს არ უნდოდა. გასულ ზამთარს შენონ ბრიგსმა ქულებით დაჯაბნა ფორმენი ატლანტიკ სიტიში. აგერ ახლა შენონ ბრიგსი ძლივს გამოაცალეს ხელიდან ლენოქს ლუისს. რაღა დიდ ბრძოლაზეა ლაპარაკი?

და ჯორჯ ფორმენს აღარც უნდა დიდი ჩხუბები. მან კარგა ხანია ყველაფერი წააგო, შემდეგ ისევ მოიგო და ისევ წააგო. მისთვის საიდუმლო აღარ არსებობს.

საიდუმლო მხოლოდ სხვებისთვის დარჩა.

როგორ არის, რომ ორმოცდაათს მიტანებულ კაცს ასეთი ვაძლება აქვს?

ორმოცდათის მუჰამედ ალი თოთხმეტი წლის პენსიონერი და ინვალიდი იყო და სხვანი და სხვანი.

ამბობს პრომოუტერი რასელ პელტცი: „ფორმენი ჯან-ღონის საოცრებაა. დედამიწის ზურგზე არ არსებობს მეორე ასეთი კაცი. ეგებ გაგიკვირდეთ, მაგრამ ხალხს სჭირდება ფორმენი. ადამიანი არ გადაიხდის ორმოც დოლარს ჯოზეფ კოვანაკას და ენტონი ბერდის ჩხუბის საცქერლად. მძიმე წონაში სულ ოთხი მოკრივეა ისეთი, ვის სანახავადაც კაცს ფული არ დაეხანება. ჯორჯი ამ ოთხს შორისაა. რით არის საოცარი ეს კაცი? სანამ ის რინგზე დგას, ის საჭიროა. თავადაც მშვენივრად იცის ეს ამბავი“.

სანამ რინგზე დგასო?

დგას კი არადა, ეს კაცი რინგს შეუერთდა.

რიდევიდე?

როგორც კი ძია ჯორჯი მორიგ მოწინააღმდეგეს შეირჩევს, ერთი ამბავი ატყდება ხოლმე. სად გამოძებნა კროუფორდ გრიმსლი? ეგ ბიჭი მოკრივეც კი არ არის, კიკბოქსერია? რად უნდა ასეთი ჩხუბი?

ფორმენი კი უკვე ბრძენკაცია. მან იცის, რამდენს ასწევს. დღეს კროუფორდ გრიმსლის თუ გასწვდება, ხვალ ეგებ მეტიც შეძლოს. ასე არ იყო ერთი წლის წინათ, როცა ატლანტიკ სიტის „ქონვენშენ სენთერში“ ძია ჯორჯი მთელს თორმეტ რაუნდს დაუდგა ლუ სავარეზეს? სავარეზე კი არ არის კროუფორდ გრიმსლი, არც გუშინდელი ბიჭია. მძიმე წონის დივიზიონში მას თავისი წონა აქვს და ათეულის პირასაა. ჯორჯმა კი აიღო და ერთი მაგრად გაასილაქა. ორმოცდახუთ წუთს იდგა რინგზე და ქულებით გაიმარჯვა. იხუმრეს კიდეც, ბებერმა ნოკაუტის უნარი დაჰკარგა, ახლა მხოლოდ ქულებით იგებსო. „ქონვენშენის“ კაზინოს საპერსპექტივო სისტემა კი განუწყვეტლივ რეკდა. ტექსტი ერთნაირი, ან თითქმის ერთნაირი იყო: „ჯორჯ ფორმენს. ჯიგარი ხარ, კაცი ხარ...“

საკრივო ამენიციის ფირმა „სპარტანის“ სამოსში გამოწყობილი ფორმენი კი მართლაც სპარტელ მეომარს ჰგავდა. მის ასაკში კი მართლაც ძნელია ნოკაუტის მოხერხება. ასეთი რამ ასი წლის წინადაც ვერ ჰქნა ბობ ფიცსიმონსმა, რომელიც, რა დასამალია და, კარგა ბებერი კრივობდა. თუმცა ის დროება და დღევანდელი ამბავი, ძნელი შესადარებელია.

თანაც ჯორჯ ფორმენის განსაკუთრებულობა მის დაბრუნებაშია. ალისთან მარცხით გულდამწვარი რომ წავიდა კრივიდან, მთელს ათ წელიწადს იყო სხვაგან და მერეღა დაბრუნდა, რათა ხალხისთვის სხვანაირი, ბიძაკაცად ქცეული „ხორცის საკეპი მანქანა“ ეჩვენებინა.

კარიერაში 68 ნოკაუტი მიუთვლია ჯორჯ ფორმენს. 81 შერკინებაში კი მხოლოდ ხუთჯერ დამარცხებულა. განა მისწვდა არჩი მურის განუმეორებელ რეკორდს, რომელიც 145 ნოკაუტს მოიცავს?

ქვემძიმე წონის ჩემპიონსა და ლეგენდას, არჩი მურს არასოდეს შეუწყვეტია კრივი, რაც 39 წლისა მოიყარა, კიდევ ერთხელ მოიგო ტიტული და ამის შემდეგ 59 ბრძოლა გამართა, რომელთაგან მხოლოდ ოთხი წააგო, მათ შორის მძიმე წონის მომავალ ჩემპიონებთან როკი მარჩიანოსთან, ფლოიდ პატერსონთან და კასიუს კლეისთან. 49 წლისა იყო არჩი მური, როცა ალის (მაშინ კლეის) ოთხი რაუნდი გაუძლო.

მური ახლაც ცოცხალია, 83 წლისაა და სან დიეგოში ცხოვრობს. მას რომ ჰკითხოთ, ფორმენმა რინგიდან წასვლაზე არ უნდა იფიქროს და ერთი ოცოდ მილიონი კიდევ უნდა იშოვოს. მურისავე განსჯით, სრულიად წარმოუდგენელია, რომ მსოფლიოს რომელიმე მძიმეწონოსანმა ჯორჯი ნოკაუტში ჩააგდოს. „დღეს ეს შეუძლებელია“ — აცხადებს ბებერი მანგუსტა.

ვინ, ვინ და, არჩი მურმა კარგად იცის ფორმენის ამბავი. როდესაც ჯორჯი ახალგაზრდა იყო, მური მის სამწვრთნელო ბანაკში ირიცხებოდა და შემხვედრი დარტყმების ფანდიც დაამზეცებინა. ასე რომ, მათ მხოლოდ ალისგან ნაგემი ნოკაუტები არ აერთიანებთ.

ისტორიას მართლაც არ უჩანს ბოლო.

ამასწინათ კიდევ ორმოცდაშვიდი წლის ლარი ჰოლმსმა განაცხადა, ჯორჯთან ჩხუბი მწადიაო.

როდემდე?

ამბობენ, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისამდე.

ვინ არის ეს კაცი?

ჯორჯ ფორმენზე რომ გადაწყვეტ რაიმეს დაწერას, უეჭველად რომანტიკული განწყობილება დაგეუფლება. აუცილებლად მოგინდება აღწერო თავგადასავალი ბობოქარი და გაუტეხელი კაცისა, რომელმაც იპოვა ძალა ღირსეული დაბრუნებისა.

მაგრამ ჯორჯ ფორმენი რომანტიკოსი არ არის.

ძია მოგიწოდებთ: მიირთვით კენტუკური შემწვარი ვარიაა!



ლუდხანიდან ახალგამოსული რინგის კუთხეში

ის არასოდეს ამბობს გულის ამაჩქროლებელ სიტყვებს.

არც გმირს ძერწავს საკუთარი თავისგან.

უბრალოდ, ჯორჯი ცხოვრობს და საქმიანობს.

ბრძოლისშემდგომ პრესკონფერენციებს, ჩვეულებრივ, სახუმარო სიტყვებით იწყებს და ეს სიტყვები ყოველთვის ერთნაირად ჟღერს:

„აბა, სად არის ჩემი ფული?“

და სწორიცაა, მართალია.

შენ შეგიძლია წერილი გაუგზავნო და გალანძღო, რადგან ორმოცდაათს მიტანებული დგას რინგზე და ფულს აგროვებს, მაგრამ ის ყურს არ გათხოვებს.

რადგან მშვენივრად იცის, არ არსებობს სხვა მისნაირი კაცი.

არ არის მეორე ჯორჯ ფორმენი, არ ყოფილა და ალბათ არც იქნება.

ყოველგვარი რომანტიკის, განდიდების, სიდიადის, საღი აზრის და კრიტიკის გარეშე, არ არის მეორე ასეთი კაცი რინგზე.

რატომ?

ალბათ, იმიტომ, რომ კრივის ღმერთს გადაუწყვეტია ერთი ისეთი მებრძოლის შექმნა, რომელსაც ვერაფერს დააკლებდა წლები, საამისოდ კი მისთვის აქამდე გაუგონარი ჯანი და უნარი დაუნათლებია. სწორედ ამიტომ, კრივის ღმერთს ლუდხანიდან გამოუყვანია სქელუა სახალხო მქადაგებელი და ვიღში შეუყვანია.

„ეს შენი საქმეა, ჯორჯ!“

„და, სად არის ჩემი ფული?“

ჩ ი ნ ო ახალი გმირი

მარსელო „ჩინო“ რიოსი
დაიბადა სანტიაგოში, 1975 წლის 26 დეკემბერს
სიმაღლე: 1,75 მ.
წონა: 63 კგ.
ცაცია, პროფესიონალია 1994 წლიდან
მოუგია 8 ტურნირი
საპრიზოები: 3,8 მილიონი $

თუ გინდათ, მსოფლიოს ახალი პირველი ჩოგანი და ჩოგბურთის მხსნელად შერაცხული მარსელო რიოსი წარმოიდგინოთ, დავიწყეთ იდეალური ჩოგბურთელის იმიჯი — სუფთად გაპარსული ორმეტრიანი რობოტი, კეთილი ღიმძლით რომ არიგებს ავტოგრაფებს და წაგების შემდეგ იმედგაცრუებას მხოლოდ თავის ქნევით გამოხატავს. წარმოიდგინეთ საყურეები, სახეზე ხშირი ჯაგარი და ნაყვაილარი ორმოები, კოკინა და მუდმივად მოღუშული იერი, და ეს ყველაფერი მხოლოდ 1,75 მეტრი სიმაღლის კაცზე. ამას დაუმატეთ ავტოგრაფის მაძიებელთა სიძულვილი, ორგანიზატორთა აბუჩად აგდება და სხვა ჩოგბურთელთა დაცინვაც და მიხვდებით, რატომ მონათლა რიოსი ერთ-ერთმა პრესტიჟულმა ჟურნალმა „ჩოგბურთის ყველაზე საძულველ ადამიანად“.

რიოსი ის კაცია, საჭმლის რიგში მონაკა სელეშის უკან აღმოჩენილმა ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელ ქალს რომ მიაძახა, გააქანე შენი ქონიანი უკანალიო, ხოლო როდესაც ერთ-ერთ ტურნირზე თავისი დაკარგული ჩემოდნის დაბრუნებისთვის მადლობის თქმა სთხოვეს, მარსელო სულ მთლად გადაირია, „დაიტოვეთ ეგ ნაგავი, ჩემგან გეთაყვას და მადლობას ვერასოდეს ელირსებითო“.

აქვე ისიც გამოგვრჩა, რომ მარსელოს ღამის კლუბში დილის ოთხ საათამდე გრიალი და კაზინოებში ასობით ათას დოლარზე თამაში უყვარს, ჩილეს სილამაზის დედოფალს ხვდება და გაზეთებში ყველაფერი ამის წაკითხვა საშინლად აღიზიანებს. იმდენად, რომ შარშან მასმედიის ყოველწლიურ შეკრებაზე, პარიზში, ზედიზედ მეორედ დაიმსახურა ლიმონის პრიზი — როგორც პრესისადმი ყველაზე ცუდად განწყობილმა, ჯიუტმა, გამაღიზიანებელმა ან უბრალოდ მოსაწყენმა ჩოგბურთელმა. ასეთი მიღწევით მანამდე ვერავინ დაიკვეხნიდა.

რიოსს „ფრიადი“ არც კორტზე მოქცევაში ჰყავს, მეტიც, ბურთის მიმტანების ნამდვილი რისხვაა. ნერვების დასაწყნარებელ საუკეთესო საშუალებად მას ზემოხსენებულთათვის ბურთის მოთხოვნა და მთელი ძალია ბადეში დარტყმა მიაჩნია და მხოლოდ იმიტომ, რომ უკან მიტანილი კვლავ მოისროლოს. მარსელოს ჩოგნის გამძლეობისა და დრეკადობის გამოცდაც უყვარს კორტზე დახეთქებით და ერთადერთია ჩოგბურთელთა შორის, განმაცვიფრებელი დარტყმის შესრულების შემდეგ გამომეტყველება წამითაც რომ არ ეცვლება.

ყველაფერი ზემოთქმულის შემდეგ, ბუნებრივია, იფიქრებთ, რითია ეს კაცი ჩოგბურთის მხსნელიო, მაგრამ ნუ დაიჯერებთ, რომ ბოლო ხუთი წელია, კაცებში უემოციო, უპრეტენზიო, ზედმეტად სრულყოფილ და ზედმეტად წესიერ კაცი — პიტ სამპრასი მეფობს, ჟურნალისტებს კი ახალი მსხვერპლი, ჩოგბურთის „გაზა“ სჭირდებათ, თორემ აბა, როდემდე შეიძლებაა წერო აგასისა და მის „გელფრენდებსა“ თუ მეუღლეზე, ან ყველასთან გაბუტულ ტომას მუსტერზე და მისი „ნიჭის დამფასებელ“ სარა ფერგიუსონზე.

რაც მთავარია, კიკინიან ჩილელს ხომ ყველაფერთან ერთად სუპერვარსკვლავობისთვის საკმარისზე მეტი ნიჭი და შესაძლებლობებიც გააჩნია, რის გამოც კოლეგები „ჩოგნიან ჯადოქარს“ ეძახიან.

რიოსს თამაში უკანა ხაზიდან ურჩევნია, სადაც მისი სწორი „ტურზე“ ერთი-ორი შეიძლება იყოს. მას არცთუ ძალიან მძლავრი, მაგრამ მომაკვდინებლად ზუსტი ფორჰენდი და ოდნავ უარესი, თუმცა არანაკლებ სტაბილური ბექჰენდი აქვს, ბურთი ერთი კიდიდან მეორეში ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე გადაქცევს და დარტყმებისთვის არაჩვეულებრივად ბარი კუთხის შექმნა შეუძლია, რისი დახმარებითაც ბევრ მეტოქეს თოკვინასავით ათამაშებს. მოწოდება მარსელოს 190 კმ-სათზე მეტზე იშვიათად აუდის, მაგრამ ისე ზუსტად მიმართავს და ცაციობის შემწეობით მეორე კეადრატში იმხელა მოჭრით უშვებს, რომ მიმღებისთვის ამოცანა ორმაგად რთულდება, თანაც გაჭირვების დროს მას ბადესთან გასვლა და დაუშვებელი ბურთით მშვენივრად თამამიც ეხერხება.

რიოსის ძირითად იარაღად, ჯერჯერობით მაინც, შესანიშნავი მიღებები და შემოვლებები ითვლება, რისი წყალობითაც მარსელოს რუზეცკისნაირებთან გამკლავება ხელეწიფება, თანაც ჩანგთან ერთად ივი ტურის უსწრაფესი ჩოგბურთელისა და კარგი ტაქტიკოსის რეპუტაციითაც სარგებლობს. მოკლედ, სუსტი წერტილები ჯავშანში არ, ან თითქმის არა აქვს.

რიოსის სახელი საჩოგბურთო სამყაროში პირველად 1993 წელს წამოტივტივდა, როდესაც 17 წლის ჩილელმა იუნიორთა შორის ამერიკის ღია პირველობა მოიგო და წელი პირველ ნომრად დაამთავრა. პროფესიონალად ივი 1994 წელს ეკურთხა, უკვე 1995-ში კი სამი ტურნირი მოიგო და სეზონის ბოლოს 25-ე იყო, მომდევნო წელს მე-11, შარშან — მე-10. უფრო მაღლა ასვლაში მას მატჩებისადმი „განსაკუთრებული“ მიდგომა და სიზარმაცე უშლიდა: თუ თამაშის ხასიათზე არ იყო, ან შეხვედრის დასაწყისი ცუდად წაუვიდოდა, მატჩის ხსნაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, თამაშს თავს ანებებდა და ინდიფერენტულ მაყურებლად იქცეოდა ხოლმე.

საქმეს ახალმა მწვრთნელმა და ძალად დანიშნულმა ფსიქოლოგმა უშველეს, შარშან როლან გაროსზე რიოსმა ორი მატჩი პირველი ორი სეტის წაგების მერე მოიგო, ამერიკის ღია პირველობაზე მაიკლ ჩანგს ორხელიანი ჩამორჩენა აუნაზღაურა და იმ დასკვნამდეც მივიდა, რომ თუგინდ ორი პარტიის წაგებით მატჩი დამთავრებული სულაც არ არის და მას საუკეთესოებთან ბრძოლაც შეუძლია.

შედეგად, წლეულს მარსელომ პირველად უწია დიდი სლემის ტურნირის ფინალს, აპრილის დამდეგისთვის უკვე სამი ტურნირი აქვს მოგებული, საუკეთესო მაჩვენებლები — 25 მოგება - 3 წაგება გააჩნია და, რაც მთავარია, მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელია.

მარსელოს მშობლიურ ჩილეში კი ამასობაში „მარსელომანია“ იკრებს ძალებს. ოთხშაბათს სანტიაგოში რამდენიმე საათით ჩასულს ჟურნალისტებისა და ფანატების რამდენიმე ათასიანი არმია რომ დახვდა აეროპორტში, თავს უკანა კარიდან გაქცევით უშველა, თუმცა ერთ გულშემატკივარს თავი საბოლოოდ მაინც ვერ აარიდა: რიოსი თვით ქვეყნის პრეზიდენტმა — ედუარდო ფრეიმ მიიპატიჟა. „ჩემთვის დიდი პატივია მისი მიღება, მთელი ჩილეს სახელით მადლობა მინდა მოვუხადო ამ დიდი სპორტული მიღწევისათვის“ — განაცხადა ფრეიმ და ასეთი საზეიმო შემთხვევისათვის მეტად შეუფერებლად — შავ ჯინსებსა და ხასხასა ლურჯ პერანგში გამოწყობილ ჩოგბურთელს ავტოგრაფიანი ვერცხლის ყუთი გადასცა, რომელსაც ჩვეულებრივ ჩილეში სტუმრად ჩასულ უცხოელ პრეზიდენტებს ჩუქნიან-ხოლმე. თან დაუმატა, აბა, შენ იცი, ამიერიდან ყველა ჩილელი ახალგაზრდისთვის მაგალითი გახდიო.

„ჩინო, ჩინო“ — განუწყვეტლივ მღეროდა „ლა მონედას“ საპრეზიდენტო სასახლის წინ შეკრებილი მრავალათასიანი ბრბო მარსელოს ზედმეტსახელს, რაც ჩილეს ნიშნავს და ისიც სასახლის აივნიდან მიესალმა გულშემატკივრებს, რამდენიმე წუთი გაოცებული და აღელვებული გადაჰყურებდა მის სანახავად ხუთი საათით ადრე შეკრებილ ხალხს. რიოსის გამოჩენისთანავე პირთამდე სავსე მოედანმა ფრეის გულის გასახეთქად ახალი სიმღერა წამოიწყო — ჩინო პრეზიდენტადო. „ეს ძალზე ემოციური მომენტია ჩემთვის. არაჩვეულებრივია, რომ ყველაფერი ეს საჩოგბურთო ტრიუმფითაა გამოწვეული“ — განუცხადა ჟურნალისტებს მსოფლიოს ახალმა პირველმა ჩოგანმა, თავად კი იმავე დღესვე არგენტინაში გადაფრინდა, სადაც ჩილეს ნაკრებს დევისის თასის შეხვედრა ელის.

ამიერიდან ჩოგბურთის ცუდი ბიჭი ეროვნული გმირი და მსოფლიოს პირველი ჩოგანია, თუმცა რამდენად მოერგება ივი ახალ როლს, ამას მხოლოდ დრო გვიჩვენებს.

ავთანდილ სვანიძე

მარსელო რიოსი და ედუარდო ფრეი საპრეზიდენტო აივანზე

მსოფლიოს ყველა პირველი ჩოგანი

1. ილიე ნასტასე (რუმინეთი)	1973 წლის 23 აგვისტოდან	(სულ 40 კვირა)
2. ჯონ ნიუკომბი (ავსტრალია)	1974 წლის 3 ივნისიდან	(8 კვირა)
3. ჯიმი კონორსი (აშშ)	1974 წლის 29 ივლისიდან	(268 კვირა)
4. ბიორნ ბორგი (შვედეთი)	1977 წლის 2 ივლისიდან	(109 კვირა)
5. ჯონ მაკინროი (აშშ)	1980 წლის 3 მარტი	(170 კვირა)
6. ივან ლენდლი (ჩეხეთი)	1983 წლის 28 თებერვლიდან	(270 კვირა)
7. მათს ვილანდერი (შვედეთი)	1988 წლის 12 სექტემბრიდან	(20 კვირა)
8. სტეფან ედბერგი (შვედეთი)	1990 წლის 13 აგვისტოდან	(72 კვირა)
9. ბორის ბეკერი (გერმანია)	1991 წლის 28 იანვრიდან	(12 კვირა)
10. ჯიმ კურიე (აშშ)	1992 წლის 10 თებერვლიდან	(58 კვირა)
11. პიტ სამპრასი (აშშ)	1993 წლის 12 აპრილიდან	(218 კვირა)
12. ანდრე აგასი (აშშ)	1995 წლის 10 აპრილიდან	(32 კვირა)
13. ტომას მუსტერი (ავსტრია)	1996 წლის 12 თებერვლიდან	(6 კვირა)
14. მარსელო რიოსი (ჩილე)	1998 წლის 30 მარტიდან	(1 კვირა)

მარსელო რიოსი: მე კარგი არა ვარ

— რით განასხვავებდით წლევანდელ და შარშანდელ სეზონებს? ასე კარდინალურად რა გამოასწორეთ: დარტყმები, მოძრაობა, ფსიქოლოგიური მზადყოფნა თუ რაიმე სხვა?

— ეს ცვლილება უეცარი ან მოულოდნელი მხოლოდ გარეგნულად ჩანს, თორემ ისე ხანგრძლივი და მძიმე ვარჯიშების შედეგია. ვცდილობ, კორტზე მუდმივად კონცენტრირებული ვიყო, არ დავუშვა უაზრო შეცდომები, თამაშის დროს ჭკუა ვიხმარო და ადრინდელისგან განსხვავებით, რთული დარტყმები ბოლომდე განვახორციელო. მინდა, აზრიანი ჩოგბურთი ვუჩვენო. თანც ისიც მიწყობს ხელს, რომ შესანიშნავ ფორმაში ვარ. არანაირი ტრავმა არ მაწუხებს, სწრაფად ვმოძრაობ და თითქმის არ ვიღლები. კვირიდან კვირამდე დასვენებასაც კი ვასწრებ.

— საკუთარ ძალებში ერთობ დარწმუნებული ჩანხართ...

— ამაზე მეტი თავდაჯერება, ალბათ, წარმოუდგენელია. ბევრ მატჩს ვიგებ, ბნელებს, იოლებს, ფინალებშიც გავდივარ და ჩემპიონიც ვხდები, ასე რომ, თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

— თქვენი ბოლოდროინდელი მიღწევები ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში კორდასთან წაგებულმა მატჩმა ხომ არ განაპირობა? მაშინ, ალბათ, ძალიან იმედგაცრუებული იყავით. იმ მარცხმა უფრო მიბანსწრაფული ხომ არ გაგხადათ?

— დიახ, ეფიქრობ, როცა დიდი სლემის ტურნირის ფინალში გააღწევ, ხვდები: თუ კარგად ითამაშებ, ნებისმიერის დამარცხება შეგიძლია. ის წაგება კი, კორდასთან, მართლაც მტკივნეულად აღვიქვი. ინდიან უელსში პეტერი რომ დავამარცხე, საკუთარ თავს ვკითხე, ასე ფინალში რატომ არ ითამაშე-მეთქი.

— მსოფლიოს პირველი ჩოგანი ხართ. როგორ ფიქრობთ, ეს ახალ დონეზე გადასვლას ნიშნავს?

— არა, კლასიფიკაციაში რომელ ადგილზეც უნდა იყო, თუ ოდნავ მაინც მოდუნდები, მაშინვე წაიგებ, ახლა ჩოგბურთს ბევრი თამაშობს კარგად. შეიძლება, ამ მომენტისთვის სხვებს ვჯობივარ, მაგრამ სულაც არ მგონია, რომ მათ ჩემი დამარცხების შანსი არა აქვთ, ეს ნებისმიერს ძალუძს. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ამით არაფერი შეცვლილა.

— ლინდსი დევენპორტმა თქვა, პირველი ჩოგნობა, თუ დიდი სლემის ტურნირი არ მოგიგია, ბევრს არაფერს ნიშნავსო. ეთანხმებით ამ აზრს?

— არ ვიცი, შეიძლება, ქალებში სხვანაირადაა ყველაფერი, იქ დიდი სლემის ტურნირის მოგება გაცილებით იოლია, ვიდრე ჩვენთან. სლემი მხოლოდ ოთხი, თუგინდ უფრო მნიშვნელოვანი ტურნირისგან შედგება, მაგრამ მე კლასიფიკაციაში ადგილის გასაუმჯობესებლად მთელი წელი ვთამაშობ — 30 ტურნირზე. ტური ხომ მხოლოდ დიდი სლემი არ არის, აქ უამრავი პირველობაა.

— ბოლო ხანს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ თანამედროვე ჩოგბურთში წარმატების მისაღწევად ივანიშვილის ან სამპრასის ძალა და მოწოდებები უნდა გაგაჩნდეს. თქვენი მაგალითი კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

— სამპრასის მსგავს მოწოდებაზე უარს არ ვიტყოდი, მაგრამ ვფიქრობ, ძალა ყველაფერს არ წყვეტს. თუ გონივრულად ირჯები და საკუთარ შესაძლებლობებს შესაბამისად იყენებ, მოგების არანაკლები შანსი გაქვს.

— ზოგ ჩოგბურთელს მიაჩნია, რომ ინიღბებით, ცდილობთ დამალოთ, საით აპირებთ დარტყმას. ასეა?

— განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ, თავადაც ასევე მიჭირს ზოგი ჩოგბურთელის განზრახვის ამოცნობა. ყველას განსხვავებული სტილი და მოძრაობები გააჩნია, თუმცა მე ის მიწყობს ხელს, რომ ცაცია ვარ, რაც მეტოქეთა ამოცანას კიდევ უფრო ართულებს.

— მარსელო, რას ნიშნავს პირველი ჩოგნობა თქვენთვის და თქვენი ქვეყნისთვის?

— უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ვთქვა, რომ ნებისმიერ სახეობაში პირველი სპორტსმენის ყოლა ჩილესთვის ცოტა ანომალურიც კია, მით უმეტეს, ჩოგბურთში. მე მგონი, ჩემი წარმატება ბევრს გაუხარდება. ძალიან ვამაყობ ჩემი ქვეყნით.

— ჩოგბურთი ძალიან პოპულარულია ჩილეში?

— არც ისე, ჩილელებიდან ტურზე მარტო მე ვასპარეზობ, სხვები დიდ ტურნირებზე არც კი თამაშობენ. ყველაზე პოპულარული ჩვენთან ფეხბურთია.

— მარსელო სალასს იცნობთ?

— ახლო მეგობრები არ ვართ, მაგრამ რამდენჯერმე შევხვედრივართ ერთმანეთს, გვისაუბრია. მე მას კარგად ვიცნობ.

— ესე იგი, ჩილეში ნამდვილი ვარსკვლავები მხოლოდ ფეხბურთელები არიან?

— დიახ. იქ ჩოგბურთელს ვარსკვლავად არავინ მიიჩნევს. ყოველ შემთხვევაში აქამდე ასე იყო.

— მაშინ რატომ არჩიეთ ჩოგბურთი?

— კარგი კითხვაა. პატარა რომ ვიყავი, ფეხბურთელობა მინდოდა, მაგრამ ძნელად წარმომედგინა 11-კაციან გუნდში თამაში. სახელის მოხვეჭა იქ ძალიან ძნელია, ჩილეში სულ სამი ცნობილი ფეხბურთელია.

— ჩოგბურთის თამაში როდის დაიწყეთ?

— ათი თუ თერთმეტი წლისამ.

— ეს შედარებით უფროსი ასაკია. ამდენი ხანი რას ელოდით?

— ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი და სკოლაში დავდიოდი, ჩოგბურთისათვის არც მეცალა. ეს სახეობა არ მომწონდა და პროფესიონალად გახდომაც არასოდეს მიფიქრია.

— მაშ, რით დაგაინტერესათ ჩოგბურთმა?

— მთავარი ის იყო, რომ სკოლა მძულდა და იქ სიარული არ მინდოდა. როდესაც მითხრეს, ან ჩოგბურთს ითამაშებ, ან სკოლაში წახვალო, ბევრი არ მიყოყმანია, მაშინვე ჩოგბურთი ვარჩიე. სწავლისთვის თავის დასაღწევად თავი უნდა გამომეჩინა და იუნიორთა ათი ტურნირიდან სამხრეთ ამერიკაში ცხრა მოვიგე, მერე კი ვიფიქრე, ასე პროფესიონალობაზეც შეიძლება ფიქრი-მეთქი.

— სკოლას როდის დაანებეთ თავი?

— 12 წლამდე რეგულარულად ვსწავლობდი და იქიდან არავის გამოვუგდივარ, როგორც წერენ ხოლმე. ბოლო სამი წელი სკოლისკენ აღარ გამიხედავს, მაგრამ დილაობით მაინც ვმეცადინეობდი და წლის ბოლოს გამოცდებსაც ვაბარებდი.

— ასე რომ, საშუალო სკოლა დაამთავრეთ?

— დიახ.

— ჟურნალისტები ამბობენ, რომ ხშირად ცუდად იქცევით. ნუთუ არ გსურთ, ხალხს აუხსნათ, სინამდვილეში როგორი ხართ?

— თავადაც ვიცი, რომ კარგი არ ვარ.

— არა?

— *(თავს აქნევს).*

— და ეს არ გაღელვებთ?

— აბსოლუტურად.

— საკუთარი თავი მოგწონთ?

— სრულიადაც არა.

— როგორ გგონიათ, მას მედიას ცუდად ესმის თქვენი?

— არა, მასთან დიდი პრობლემები არასოდეს მქონია. უბრალოდ, არიან ისეთები, რომლებსაც კარგის სათქმელად არასოდეს მოუბრუნდებათ ენა. ბევრი ჩილელი ჟურნალისტი რას არ დაგაბრალებს სენსაციების შესათხზავად. იმის მაგიერად, რომ სპორტსმენს დაეხმარონ, პირიქით, ძირს უთხრიან ხოლმე. ასეთი ხალხის არ მესმის.

— წეღან თქვით, რომ არ ხართ კარგი და ამას არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებთ. რატომ?

— როდესაც გაზეთებში ასე შემამკეს, საკუთარ თავს ვუთხარი — წერონ, რამდენიც გაუხარდებათ-მეთქი. რატომ უნდა ვიშალო ნერვები?

— ესე იგი, ფიქრობთ, რომ ზოგერ კარგიც შეიძლება იყოთ?

— ზოგჯერ.

— მაგალითად, დიდი ტურნირის მოგების შემდეგ?

— ტურნირის მოგება უკეთესს ნამდვილად არ მხდის.

TENNIS MAGAZINE

რეგულარული ჩემპიონატი

ჩხუბი იყო და იძნება

დეტროიტი — კოლორადო 2:0

შაიბები: ფიოდოროვი 4 (1:0), ფიოდოროვი 5 (2:0)

გულშემატკივრებს, რომელთაც კარგად უწყიან ამ ორი კლუბის დაძაბული ურთიერთობა, მატჩის პირველი ორი პერიოდის ხილვისას ეჭვე კი შეეპარებოდათ, ძველი მეტოქეების მტრობა საბოლოოდ ხომ არ გაქრაო. საქმე ის გახლდათ, რომ მთელი 40 წუთის განმავლობაში მოედანზე ფხიზელი პოზიციური ბრძოლა მიმდინარეობდა — მოწინააღმდეგენი რისკს ერიდებოდნენ. მესამე მესამედში კი მოსახდენი მოხდა — ემოციებმა იძალა და მაყურებელი ამ გუნდების შეხვედრებისთვის ჩვეული შეუპოვარი და უშეღავათო ბრძოლის მოწმე გახდა. თითქმის თანაბარ თამაშში მასპინძლებმა ოსტატობით დაჯაბნეს სტუმრები და ბოლო ხანს საშუალო დონეზე მოთამაშე „მილიონერმა“ სერგეი ფიოდოროვმაც გაიბრწყინა. ოთხი წუთის განმავლობაში რუსმა ორჯერ დალაშქრა რუას კარი, თანაც თუ პირველად მხოლოდ დაასრულა პარტნიორების სწრაფი კომბინაცია, მეორე გოლი მთლიანად მისი დამსახურებაა. ცხადია, ასეთ დაძაბულ პაექრობაში ორშაბიანი სხვაობა სოლიდური უპირატესობა გახლდათ, მით უმეტეს, მატჩის დამთავრებამდე სულ რვა წუთი რჩებოდა. მეტოქეთაც ნერვებმა უმტყუნა და ის სიმწვავე, რომელიც თამაშს ახლდა, ბოლოს გრანდიოზულ ჩხუბში გადაიზარდა.

...კრის ოსგუდი, დეტროიტის მეკარე, მშვიდი ხასიათით გამოირჩევა და კარიერაში არასდროს უჩხუბია, მაგრამ ახლა სხვა გზა არ ჰქონდა — უიღბლობით განაწყენებულმა კოლორადელმა პატრიკ რუამ უკვე ამტყდარ შეხლა-შემოხლაში ისიც ჩაითრია. შედარებით ტანმორჩილ ოსგუდს თავდაპირველად გვარიანად მოხვდა მუშტების ქნევაში ჭიპმოჭრილი რუასგან, მაგრამ მერე თანდათან იმარჯვა და ბოლოს პარტერშიც კი უთავაზა ერთი-ორი კოლორადელ კოლეგას. რუა კი ჩხუბით ერთობ კმაყოფილი გახლდათ, აკი განაცხადა კიდეც, ბოლოდროინდელი ჯავრი ვიყარეო.

ამ მატჩის შემდეგ დეტროიტისა და კოლორადოს შეხვედრების ჯამი გათანაბრდა (+1=1-1), მეტოქეების უკანასკნელი დაპირისპირება კი, რომელიც ჩემპიონატის ბოლოსწინა დღეს, 18 აპრილს შედგება, უთუოდ ააფორიაქებს ჰოკეის ქომაგებს.

ნიუ ჯერსი — კაროლინა 0:4

შაიბები: შეპარდი 16 (0:1), ემერსონი 19 (0:2), რობერტსი 16 (0:3), ონეილი 18 (0:4)

ეს კი ნამდვილი სენსაციაა! პლეი ოფში გასასვლელად მებრძოლმა კაროლინამ, შეუდარებელი მარტინ ბროდოს თავკაცობით, გააკამტვერა ნიუჯერსელთა დაცვა. რაც მთავარია, „ქარიშხლებმა“ სტენლის თასის ფინალის წინ უდიდესი ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვეს — თუ მათ სანუკვარ რვეულში შეაღწიეს, პირველ რაუნდში სწორედ „ეშმაკებთან“ მოუწევთ დაპირისპირება.

აღსანიშნავია, რომ ნიუ ჯერსის ყოველთვის უჭირდა კაროლინასთან (ყოფილ ჰართფორდთან) თამაში, რაც გუნდის მწვრთნელმა ჯაკ დემერმაც აღნიშნა. ამჯერადაც მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები უფრო ხშირად უტევდნენ, მათ ეერაფერი მოუხერხეს მეკარე ტრევორ კიდს (37 მოგერიება და სეზონში პირველი „შათაუტი“), „ქარიშხლებმა“ კი ჩინებულად გამოიყენეს ყველა შანსი და ულამაზესი გოლიც გაიტანეს — კარსუკან გაჩაღებულ ბრძოლაში ონეილმა (1+1) იმარჯვა და ზუსტი პასი მიაწოდა ვეტერან რობერტსს (1+1). უნდა ითქვას, რომ „ეშმაკებმა“ მხოლოდ მეოთხედ დატოვეს მოედანი უგოლოდ, გარდა ამისა, ბოლო 30 მატჩში მეორედ გაუშვეს 3 შაიბაზე მეტი. რაც შეეხება კაროლინას, რომელმაც ბოლო 6 მატჩში 9 ქულა დააგროვა, იგი, პირველად 1991-92 წლების სეზონის შემდეგ, ახლოსაა პლეი ოფთან.

1 აპრილი. პიტსბურგი — სან ხოსე 2:3, ბუფალო — ლოს ანჯელესი 4:0,. ბილენდერსი — ტამპა 4:0, რეინჯერსი — ბოსტონი 2:4, ფლორიდა — მონრეალი 3:4, ტორონტო — სენტ ლუისი 4:6, კალგარი — დალასი 3:1, ვანკუვერი — ედმონტონი 4:2, ანაჰაიმი — ფინიქსი 1:5.

2 აპრილი. ოტავა — სან ხოსე 3:3, ფილადელფია — ლოს ანჯელესი 3:0, ვაშინგტონი — ტამპა 4:1, ჩიკაგო — კოლორადო 2:1.

ორი კვირის წინანდელი მე-10 „შრალი“ მატჩი დომინიკ ჰაშეკმა მეტად მნიშვნელოვან იუბილედ მიიჩნია, მავანთა კითხვას კი, ეს რიცხვი 15-მდე თუ გაიზრდებაო, უპასუხა, ეს უჭეულო შედეგია და მისი მიღწევა არ ძალმიძსო.

თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჭირს, ჰაშეკი არარეალურს სინამდვილედ აქცევს. მას შემდეგ, რაც ლოს ანჯელესის 37-ივე დარტყმა მოიგერია და ბოლო 4 შეხვედრაში ხელშეუხებლად შეინახა კარი, „შათაუტების“ რაოდენობა 13-მდე გაიზარდა, ასე რომ, დარჩენილ 9 მატჩში „დომინატორს“ საკმაებით ხელეწიფება თავისი მიღწევის გაუმჯობესება. არადა, „მეფეებთან“ შეხვედრა უაღრესად დაძაბული და უშეღავათო იყო — მსაჯები მოთამაშეებს წესის მცირეოდენი დარღვევებისთვისაც კი სჯიდნენ და საკმაოდ ხისტ ორთაბრძოლაში მეტოქეებს ხშირად ჰქონდათ რიცხვმრავლობის გამოყენების შანსი. მარტო კალიფორნიელებს ათჯერ მიეცათ ამგვარი შესაძლებლობა, მაგრამ ჰაშეკის მოტყუება იოლი როდი იყო. მას მერე კი, რაც ბრაუნმა (8) ანგარიში 2-მდე გაზარდა, ნათელი გახდა, რომ მასპინძლები მოგებას ხელიდან არ გაუშვებდნენ. მოვლენები ასეც განვითარდა: ბუფალოელთა საუკეთესო სნაიპერმა დონალდ ოდეტმა 2 გოლი (სულ — 22) გაიტანა. საინტერესოა, რომ ჰაშეკს წლეულს ყველაზე მეტი დარტყმის (1968) მოგერიებამ მოუწია.

ოტავა — სან ხოსე. სან ხოსეს კარში ვერნონის გამოჩენამ კალიფორნიელები აშკარად გააღიზიანა

ბუფალომ, რაკიღა ოქტომბრივად, უკვე გაინაღდა პლეი ოფში გასვლა, სან ხოსეს კი საამისოდ ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა ელის. ამიტომ კალიფორნიელთა პირველი მეკარის მაიკ ვერნონის გამოჯანმრთელება ერთობ დროული გახლდათ, რადგან მის არყოფნაში ძირითადად ქცეული კელი ჰრუდი არასტაბილურად თამაშობდა. ორი დღის განმავლობაში „ზეიგენებმა“ ორი მატჩი ჩაატარეს სტუმრად და ვერნონის საამდო თამაშის წყალობით — იღბლიანადაც. სან ხოსე დასავლეთში მე-8 ადგილზე მყოფ ედმონტონს გაუტოლდა.

ჯერ იყო და, პიტსბურგში ვერნონმა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იაგრი (1 პასი) არ გაახარა და ფრიზენის (28) მიერ უმცირესობაში შეგდებული შაიბით კალიფორნიელებმა თავიანთი ყოფილი მწვრთნელი კევინ კონსტანტინი გაანაწყენეს. მერე კი სანხოსელებმა მთისაგან პლეი ოფში გასასვლელად მებრძოლ ოტავას (ოღონდ აღმოსავლეთში) ქულა წართვეს, რომელსაც მატჩის გმირმა სტეფან მატომ (1+1,14) „დიდი ქულა“ უწოდა. მართლაც, შინ ძალიან კარგად მოსპარეზე ოტავა თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა ინიციატივას და მეორე პერიოდში მიურეისა და დებიუტანტ არველდსონის (8) შაიბების შემდეგ შეხვედრის ბედი თითქოს თავის სასარგებლოდაც გადაწყვიტა, მაგრამ სტუმრებმა მანც შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. საინტერესოა, რომ მეტოქეებმა მყისიერად მოასწრეს გოლების გაცვლა.

ტორონტოში დერეკ კინგმა (17) უკვე მე-14 წამზე დააწინაურა თავისიანები, მაგრამ მერე „ნეკერჩხლის ფოთლებს“ ბედმა უმტყუნა — ეგრეთ წოდებული „მეკარის მოედნის წესის“ დარღვევისთვის (გოლის გატანისას შემტევი გუნდის ჰოკეისტი ამ მოედნის ფარგლებში არ უნდა იმყოფებოდეს) მსაჯებმა მასპინძლებს 2 შაიბა არ ჩაუთვალეს. სამაგიეროდ, სტუმრებმა კანადელთა სამივე შეცდომა გამოიყენეს და, ზედიზედ მეორედ, 6 გოლი გაიტანეს. ისევ ჩინებული იყო ასისტენტის როლში ბრეტ ჰალი (2 პასი), ხოლო ჯეფ კურტნოლმა (29), ტერი იეიგმა (10) და პიერ ტარდიფმა (18) თითო გოლი და პასი მიითვალეს. ტორონტოს საუკეთესო ბომბარდირმა, დებიუტანტმა მაიკ ჯონსონმა 2 პასით 43 (13+30) ქულამდე გაზარდა თავისი მარაგი. ერთადერთი ახალბედა, ვისაც მისი მეტოქეობა ძალუძს, ბოსტონელი სერგეი სამსონოვია. ოთხშაბათს რუსმა თავის პარტნიორებთან — ხრისტიჩთან (1+2,28) და ელისონთან (2 პასი) ერთად კვლავ დაუწიოკა რეინჯერსი, თანაც ჩვეულ სტილში შეაგდო შაიბა, როცა გარღვევის შემდეგ მეკარე რიხტერი მოატყუა. 18 წლის სამსონოვი, რომელიც სისწრაფითა და ოსტატობით ძალიან ჰგავს პაველ ბურეს, 41 (17+24) ქულით ჯერჯერობით მეორეა ახალბედებს შორის. რაც შეეხება მის „რეინჯერ“ თანატოლ გონოს, მან სეზონში პირველი გოლი გაიტანა. აილენდერსელი დარიუშ ჩერკავსკი ბოლო 3 თამაშში დუბლს ასრულებს, მაშინ, როცა მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ 5 შაიბა ჰქონდა. ახლა მან ტამპასთან გაილაღა, თუმცა მატჩის გმირი გუნდის კაპიტანი ტრევორ ლინდენი გახდა: მესამე პერიოდში, როცა ანგარიში 1:0 იყო, მან ზედიზედ ორჯერ (სულ — 15) იხეირა უმცირესობაში, რაც მანამდე ორად ორმა ჰოკეისტმა შეძლო.

დაშავებული წამყვანი მცველის სერგეი ზუბოვის დაბრუნებამ და მისმა გოლმა დალასს ვერ უშველა კალგარისთან შეხვედრაში. „ალები“ ისე ჩაიკეტნენ თავიანთ ზონაში, რომ მესამე პერიოდში დალასელი ტურეკის კარში არც ერთხელ დაურყამთ (!).

ფინიქსმა კი ტრავმირებული კაპიტნის კეიტ ტკაჩუკის გამოუცხადებლობით გაიხარა. პირველი პერიოდის შემდეგ „კოიოტები“ აგებდნენ ანაჰაიმში, მაგრამ მეორე მესამედში 5-ჯერ დალაშქრეს მეტოქის კარი. ყველაფრის თავი და თავი ტკაჩუკი გახლდათ: მან ჯერ გაათანაბრა, შემდეგ კი თავის პარტნიორ რენიკს (1+1,21) გაატანინა და მისმა კლუბმა ერთობ საჭირო 2 ქულა მიითვალა.

ვაშინგტონელმა პიტერ ბონდრამ (ბოლო 2 მატჩში 4 შაიბა) თავისი მონაგარი 17 გოლამდე გაზარდა და უპირველეს სნაიპერს ტეემუ სელიანეს სერიოზულად დაემუქრა. აღნიშნოს ღირსია: დედაქალაქელებმა პირველ პერიოდში 7 დარტყმიდან 4 გოლად აქციეს!

დაბოლოს, გამოვყოფთ თამაშს ვანკუვერში, სადაც იქაურმა გუნდმა მოუგო ედმონტონს. თუმცა საყურადღებო არა „კენაქსის“ გამარჯვება, არამედ ის გარემოება, რომ მიზანმიმართული საკადრო პოლიტიკის ხარჯზე, რაშიც მაიკ კინერის ხელი ურევია, ვანკუვერი ლიგის ყველაზე აგრესიულ კლუბად იქცა. გუნდის „აგრესორები“ გამუდმებით ეკინკლავებიან მოწინააღმდეგეებს, იმის მიუხედავად, აგებენ თუ იგებენ კანადელები. არც ახლა დაზოგეს მუშტები ბერტუცის, ჰასკროფტმა და სტრადეიკმა, რომელთა ვანკუვერში მისვლითაც გუნდის „მეომართა“ რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა და ამჟამად ძირითად შემადგენლობის ლამის ნახევარს შეადგენს.

სამგელ ღარიგიანი

რაც კარგები ვართ, ჩვენები ვართ

ზედიზედ მეორე თვეა, ლიგის საუკეთესო მოთამაშეობა ჩეხ ჰოკეისტთა ხვედრია. ამჯერად ეს საპატიო წოდება პიტსბურგელმა იარომირ იაგრმა დაიმსახურა, რომელმაც მარტში ჩატარებულ 13 მატჩში 20 (5+15) ქულა დააგროვა და ერთპიროვნულად გაუძღვა ბომბარდირთა სიას. აღსანიშნავია, რომ ჩეხმა ფორვარდმა კარიერაში მესამედ მიაღწია ასეთ წარმატებას, კონკურენტებად კი მას თვისტომი დომინიკ ჰაშეკი, ნიუჯერსელი მარტინ ბროდო და რეინჯერსელი უეინ გრეცკი ჰყავდა.

ფრეზერი მარტში აღმოაჩინეს

გასული თვის მთავარ აღმოჩენად ედმონტონელი სკოტ ფრეზერი მიიჩნიეს. 14 შეხვედრაში დაგროვებული 5 გოლიდან და 5 პასიდან გამოსარჩევი მაინც ის 2 შაიბა იყო (აქედან ერთი ოვერტაიმში), „მენავთობეთა“ ფორვარდმა 2 მარტს კოლორადოს რომ გაუტანა. ისიც სათქმელია, რომ ფრეზერი მხოლოდ სეზონის მეორე ნახევარში გამოიძახეს ფარმ-კლუბიდან და ჯერჯერობით 22 მატჩზე მეტი არ ჩაუტარებია. სკოტმა ბოსტონელებს — სერგეი სამსონოვს და პიერ ოიჰან აქსელსონს, ანაჰაიმელ მეტ კალენს და სანხოსელ პატრიკ მარლოს გაუსწრო. ედმონტონელს ნაკლად ის ეთვლება, რომ პირველად 25 წლისამ შეაბიჯა ლიგაში.

ყოჩაღად მცველმა შეეპლიქა კონტრაქტი გაიგრძელა

რიხარდ შმეჩლიკისა და ბუფალოს თავკაცების მოლაპარაკება იმით დასრულდა, რომ ჰოკეისტმა მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა კლუბთან (დეტალები უცნობია).

შმეჩლიკი ერთ-ერთი უმთავრესი მცველია გუნდში, რომელიც გაშვებული შაიბებით მხოლოდ ნიუ ჯერსისა და დალასს ჩამორჩება. 28 წლის ტანსრული ჰოკეისტი (190 სმ, 97 კგ) ნჰლ-ში მეექვსე სეზონს ატარებს (კარიერის 328 თამაშში 35 გოლი და 95 პასი) და ოლიმპიური ჩემპიონიც გახლავთ ჩეხეთის ნაკრების შემადგენლობაში.

მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge



ათასად კაცი დაფასდა

ბიგლიტერატურა

ხათრიანი სელიანეც გამდიდრდა

ზოგჯერ თავმდაბლობასაც მოაქვს სასურველი შედეგი. ჯერ კიდევ სეზონის წინ, როცა ლიგის ელიტა კლუბების ხელმძღვანელებს ახალი კონტრაქტების გამო ეომებოდა, ტეემუ სელიანე, ანაჰაიმის წამყვანი ფორვარდი, მოკრძალებულად ამბობდა, სრულიად კმაყოფილი ვარ იმ გასამრჯელოთი, რომელსაც მიხდიანო (წლეულს ფინელი 2,8 მილიონს მიიღებს). საკუთარ თავზე მეტად იგი თავის პარტნიორ პოლ კარიაზე წუხდა, რომელსაც კლუბის მეპატრონეები არასგზით უმატებდნენ ხელფასს. ტეემუს ღვაწლი ახლაღა დაფასდა — ანაჰაიმის გენერალური მენეჯერის ჯეკ ფერეირას თქმით, სელიანემ იმხელა ამაგი დასდო გუნდს, მასთან თანამშრომლობის გაგრძელება ამის ღირსეული საზღაური იქნებაო.

როგორც ცნობილი გახდა, სელიანე კიდევ ორი წლით, ესე იგი, 2002 წლამდე დარჩება ანაჰაიმში და, აშშ-ის სპორტული არხის ESPN-ის ცნობით, ამ ხნის განმავლობაში 19,5 მილიონს მიიღებს.

სელიანე, უდავოდ, წლეულს თავის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს ლიგაში. ხუმრობა როდია — 50 შაიბა, „ოლ სტარის“ მატჩში შესრულებული ჰეთ-თრიქი და MVP-ს წოდება, ამას დაუმატეთ ჩინებული თამაში ნაგანის ოლიმპიადაზე. ყოველივე ეს „ფინელ მსრილელს“, ალბათ, ლიგის ელიტარულ ჰოკეისტთა შორისაც კი გამოაჩენს.

სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ჯოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კუნტალია, ონისე შენგელაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნთელა გოროგობანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დეევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოძრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29